

4.078.

2

F



ფრიდონ ნაროუშვიდი

პოემები

- ბ ა ნ ე დ ა შ ი

F
UNIVERSITY OF CALIFORNIA
LIBRARY

UNIVERSITY OF CALIFORNIA
LIBRARY





ФРИДОН НАРОУШВИЛИ
П О Э М Ы
Книга первая

899.962.1

ფრიდონ ნაკოშვილი



56

პ რ ე მ ე ბ ი

წიგნი პირველი

F 4.078
2

ს ა ხ ე ლ ბ ა მ ი

1 9 3 0





ამ წიგნს ვუძღვნი
ამბაკო ნაროუშვილს
ავტორი

და
ემატება
აგურს
აგური



ქალაქი ოფუცხოვოში

გაგიგონია ქედი ურალის?—
გამოვიარე ცეცხლით, ნალარით,
მოვედი შენთან გულით მხურვალე—
მზე მოგიტანე ნაყაჩაღარი.

შენ მომიყვები მჭედელ მიქავამ
როგორ შებოჭა მტერის ქვა-გული,
მეტყვი: ვიყავი, ახლაც იქა ვარ
მე, ლეგენდების გამოქვაბული...
იდგა ეზოში მრავალ-რტოება
დიდი მუხა და ყეფდა გუგული,
იყო სოფელი, გარემოება
ცეცხლის ჰაერით გადაბუგული...

სადაც მდინარე გიჟად ვარდება
და ცისარტყელას მალლა აისვრის,—
ნეტავი ვის არ შეუყვარდება
მოოქროვილი დილა—აისი.

მთები ყვაოდენ იქ საუცხოვოდ;
შენ, მეწისქვილეთ ხარ არჩეული,
გიყვარს აბაშა და ოფუცხოვო—
შენი ფერადი ტყის ფარჩეული.



ფეთქს მანქანა, სახერხავის...
 აღრე დილით გერიესთან
 გლებს საფქვავე მიაქვს ვირით...
 და მამალზე უფრო დროით
 დაიყვირებს აქ საყვირი.

გააქვს ღმუილი შეშლილ ლალუმებს,
 გვალვაა, დაშრა, გაშიშვლდა ლელე,
 ღამე დაისთან ფიქრებს აღამებს
 და შიშით აღმა მირბის კურდღელი.
 გააქვს გუგუნის ისევ ლალუმებს,
 და ემატება აგურს აგური,
 ღამეში ეძებს ღამეს ღამურა,
 ჰა, დამთავრდება მალე სადგური.

რჩება კლდეები პირდაღებული,
 ხავსი დაფარავს მშიერ კალაპოტს,
 მდინარეც, ძალად განაღებულს,
 შუქს, განათებას სოფელს დაათოვ.

გააქვს გუგუნის ისევ ლალუმებს,
 ძლივს ქვების სეტყვა მოვიგერიე,
 და მეწისქვილე მაინც ღონდება —
 ჩუმად ქვითინებს გულში გერიე:
 ჩემო წისქვილო, კვდება ზღაპარი,
 ველარ იხილავ ქინკების არულს:
 მე ლეგენდების წიგნი დავხურე —
 ხავსი დაალპობს ყაერის სახურავს.

მე წავიკითხე გუშინ აფიშა,
 რომ გამარჯვებით გათავდა ომი,

მოკვდა დღის და მზის ღამით გათიშვა—
სადგურის, ვაწერ ხელს ადგილკომი.
გაინავარდებს ეკრანზე ასე:
ჩვენი ქალაქი ოფუცხოვოში!
მღერი სიხარულს და გაფასებენ,
მღერი სიხარულს შენ საუცხოვოთ...
ხომ გაიგონე, ქედი ურალის
გამოვიარე, ცეცხლით, ნალარით,
მოვედი შენთან გულით მხურვალე—
მზე მოგიტანე ნაყაჩაღარი.

ტფილისი

21/1

**მე ვუმღერ გლახებს
 არა გლახურად**



ხოლტი ეწევა აბიტაციას

4.078
2

თენდება: გარბის შინდორზე შხეცი,
 მშიერია თუ ლეშით მაძლარი,
 ცის აღმოსაველეთს უჩნდება ცეცხლი —
 ამომავალ მზის რუხი ხანძარი.
 ათას კავებთან იწყება შებმა,
 ხარ-კამეჩებით გამოდის „ძველი“,
 ჩამოსულ ხოლტის თვალწინ იშლება
 საბრძოლი სივრცე, საბრძოლი ველი.

პირველს მეორე ეზო მიყვება,
 შუა საზღვარი და ნაშენია;
 მათ შორის ჩხუბი ასე იწყება:
 „ეს მიწა ჩემია, ის მიწა შენია“.
 „აქ სახურგოზე ხე არი დარგული,
 იქით გადასვლა მე არ მინდება,
 აქეთ არ განახო ფეხებ დადგმული,
 ქათამიც ნულარ გადმოფრინდება“.





ერთიც, მეორეც იყო ღარიბი,
 მათ შუა ნაჯახმა გააპო ძმობა:
 ერთმა გამრუდა ზღვარი და გოჯი
 მეზობლის მიწა შემოიღობა.
 ათასი ეზო, ათასი ლობე,
 მთელი სოფელი მიქრილ-მოქრილი,
 ათასი ზღვარი, ათასი გზები —
 გზები შეკრული და შებოჭილი.
 აი საბრძოლი გარემოება...
 ზღუდე ქვიტკირის და აკაციის.
 მოვიდა ხოლტი, რომ ეზოები
 წაშალოს გმირულ აგიტაციით.

ვინმეს ამაოდ გაუაზრია
 „ძირს ეზოები“-ს დროშა დახაროს,
 ომში გამოსულ ხოლტის რაზმია:
 ცალხარიანი და უცალხარო.
 ხოლტზე შემჯდარი ჯან-გულმამაცი
 „ცალხარიანი“, მატორს განაგებს.
 ააგუგუნა რკინის ვაჟკაცი
 ეპოქის გმირმა და მოქალაქემ.

ველზე გუგუნებს შავი მღვდარი,
 ოცდახუთ ცხენის ძალის სიმკაცრით,
 უკვე მტრის მიწის მღებარეობას
 მიუახლოვდა რკინის ვაჟკაცი.
 მტერს შეეჯახა ჯარისკაცივით:
 „ომს გიცხადებ! მოგერევი!
 არა სიტყვიერ აგიტაციით“ —
 აყარა ხურგი და გაარღვია
 ზღუდე კვიტკირის და აკაციის.



ისევ გუგუნებს შავი მღევარი
 ოცდახუთ ცხენის ძალის სიმკაცრით,
 გარღვეულ ეზოს მღებარეობას
 უკვე გასცილდა რკინის ვაჟკაცი.
 შავ ყამირს ებრძვის შავი მღევარი
 ოცდახუთ ცხენის ძალის სიმკაცრით,
 დგას გუთანი და ოთხი ყვეარი,
 დგას, ხოლტს უცქერის მღიღარი კაცი;
 გაარამებულს გულშივე უთქვამს:
 „სიამოვნებით დავშლიდი გუთანს,
 რომ მანქანები მყავდეს მონებად,
 რომ ხოლტი იყოს ჩემი ქონება“.
 ხოლტი გუგუნებს: ძირს ეზოები!
 თავგამეტებულ ჯარისკაცივით:
 „უცალხარონი“ ქმნიან კომუნას
 ამხანაგ ხოლტის აგიტაციით.

ველზე მიწყნარდა ხოლტის გუგუნი.
 დააღვეინეს ბაქტის ბენზინი.
 მინდვრად, მთელი დღე ნამუშევარი
 დგას კომუნისმის აგიტატორი.

თავისებური ვახშამი უნდა
 მოქალაქე ხოლტს.

რუხი ღამე დამდგარიყო,
 ჩამქრალიყო შუქი მზისა,
 ჩამდგარიყო, გამქრალიყო
 სიცხე დღის და მტვერი გზისა —
 გაშავებულ მინდორ-ველზე
 „ნისლი იდგა შავი ზღვისა“.



ჯოგს გამოთიშა ბებერმა ბულა,
 ბულა იქნება კერძი ხეალისა,
 მას იზიდავდა წინეთ კისერი
 გამძლეობა და ღონე ხარისა...
 ეხლა უყურებს როგორც ყასაბი —
 „ექნება ხორცი კარგი ხარისხის“.

ამაღლებული მიწა ქვიანი
 ღვართქაფა სისხლით იყო სოველი,
 ბებერმა დაჰკლა ბულა რქიანი,
 ხორცით გააძლო „მთელი სოფელი“.
 როცა საკმაოდ შემოიღამა,
 სასაკლაოზე ჯოგმა იბლავლა,
 ბულას გლოვობდენ, დიდხანს ბლაოდენ,
 ნასისხლ მიწაზე რქით ბულრაობდენ.
 ყოველ ზაფხულის სიცხე და ბნედა
 ბერიკაცს სცემდა ვით მზის ლახვარი,
 მუდამ ღარიბი გუთანის დედა
 ბელტებს ებრძოდა კავით და ხარით.

იყო, არაა გასაკვირალი
 ველზე ტრაქტორი შემოყვანილი,
 ხოლტის სისტემის ვაჟკაცი,
 რომელმაც ტეხა შავი ყამირი.

მოდის ბებერი, ვახშამმა დაღლილთ
 ჯანი და გული გაახალისა,
 თქვა ბერიკაცმა შუბლ გაღიმებით:
 „შეირგეთ ხორცი ბულა ხარისა,
 მაგრამ ვინც ტეხა შავი ყამირი,
 ბელტებს-ბელტებზე გმირულ კეცავდა —
 ხოლტზე მჯდომარე ვაჟკაცმა
 მიირთვას კერძი გაორკეცებით“.

ეს ასე მოხდა: ღამე, ნისლი და
ყრუ სოფლის გული რომ გაეღზარა,
მოხსნეს მატორი და ტფილისიდან
მივლინებაში მათ გაეგზავნა;
თავად დაშლის და თავად ააწყობს,
„ცალხარიანი“ უვლის განაგებს,
ასვამს ბენზინს და ფოლადის სხეულს
თავის ნებაზე ალაპარაკებს.
მანქანის მმართველს სახე ეწვება,
უსმენს, მის გუგუნს გაუტაცია,
შავი მატორი ქედში ეწვევა
კომუნისტური აგიტაციას.
ძირს საკუთრება! ძირს ეზოები! —
ასე გუგუნებს ეს მოქალაქე ..
ვისაც ეკუთვნის, ვინც მას განაგებს
ხოლტი მის ენით ილაპარაკებს.

ივანეს ცხოვრება

მალლობებს მოსდევს საყანე ველი,
ველს თემშარა და შარას მდინარე,
მდინარის პირას მუხა დგას ძველი —
ზღაპრებითა და წლებით მდიდარი;
მუხის წინაშე ეზოა ვრცელი —
მაღალ მესრებით შემოზღუდული,
ეზოში დადის ველური მცველი
ძალდი და კბენა იცის ქურდული;
როცა მზე ჩავა ამ ეზოშიაც
ქოხზე დადგება კვამლის გოროთი —
სალამოისას მოვა პატრონი
ძალღზე ველური, ძალღზე ბოროტი.

2

მისი სახელი არის ივანე,
მოდის ღვარძლიან სულის ობობა,
შედის წისქვილში გულამაყი და
წელგამართული გლეხი — ბობოლა.
გლეხები თვითონ გაიძახიან:
ივანე არის სისხლის მდომელი,
ივანე ჩვენი სოფლის ძალღია —
პირცბიერი და დაუნდობელი.
ივანე არის ხმა ჩაწყვეტილი,
თემმა ღირსება იმას ახადა,
გულღვარძლიანი გახდა და მიტომ
ვახრჩობთ სასოფლო გადასახადით.

3

ერთხელ მდინარე აღიდებული
 გაცდა, მომდევნო ნაპირ საფარებს,
 მაღალ ჯებირით გამაგრებული
 მოსპო წისქვილის არხის სათავე.
 მოსპო სტიქიამ მღვრიე ხელებით
 ხის საცალფეხო ხიდე-ბოგირი,
 ნაპირ-ნაპირას ყანის ველები
 მოზიდულ ქვებით იყო მოყრილი.
 — ასეა, წისქვილს კიდევ გავაღებთ,
 სტიქიას კიდევ გადავეყრებით,
 რაც იყო, იყო — ნურას ვინაღვლებთ —
 ასე ამბობდენ მაშინ გლეხები.

4

დილით მოვიდენ მზის ამოსვლამდი —
 ბობოლა გლეხზე ვინ რას იტყვისო,
 ყველამ ერთი თქვა: — ერთი კაცია
 ამხანაგობას მუხლებს გვიჭრისო.
 შეკრეს პირი და უთხრეს ივანეს:
 წისქვილი ყველამ ერთად ვაგეთო —
 შენ მოისურვე რომ მთლად გეუფლა
 და რიგებიდან გამოგაგდეთო...
 ივანემ სინჯა მთელი ძალ-ლონე
 იწყო ღრიალი და ახმაურდა —
 მაგრამ ვინ იყო მისი გამგონე;
 ვინ უშველიდა მას რა თქმა უნდა.

5

ბოლოს მან სიტყვა თქვა გულ მწუხარეთ:
ვისაც ენაზე „ჩვენ“ უკერია —
დავსწყევლოთ ყველა მათი მომხრენი
იყონ უცეცხლო და უკერიო.
ვინ გაგვიშავა ჩემობის დღენი,
ვის უნდა შენი ქედი მოხაროს,
ვინ ჩაგვიღეწა ოჯახის ბქენი —
ვის ძალუძს ჩემი კერა მოთხაროს.
მოდგმიდან-მოდგმას გადასცემია
ქობი და წმინდა ძველთა-ძველობა,
დგმას-დგმა უცვლია, მაგრამ უცვლელად
მოდის კერიის მსოფლმხედველობა.

6

უქმი დღე იყო, ისხდნენ მუხის ქვეშ,
ბელატმა თავზე ხელი გადისვა,
ამოისუნთქა და მოფიქრებით
გლებმა, გლებობა იუკადრისა:
ჩემი ხელები უწინდებურად,
ჩემივე მიწის წიაღს თხრიანო,
მუდამ გარჯითა სისხლი მიწურავს
და მუშა მაინც არა მქვიანო.
მეორემ უთხრა: ორივე ვმუშაობთ,
შენ გლები ხარ თუ მე პროლეტარი,
გლებნი კერას და ეზოს ვგუშავობთ
და საკუთრების შხამსა ვატარებთ.

7

მუშა ძალაა, ნათელი, მტკიცე,
ჩვენ ძლიერების ნედლი მასალა;
ჩვენ მშენებლობას ყველაფერს მივცემთ
რომ შეგვიცვალოს გული და სახე.
საბჭოთა ქვეყნის გაშლილ სივრცეზე
ჩვენსა ცხოვრებას დაწვრილმანებულს,
მხოლოდ მზე მუშის გადააკეთებს —
გლებთა მასები მივალთ აქეთკენ.
მე ვუმღერ გლებებს, არა გლებურად,
გლებურ ბუნების უარყოფელი:—
ისაობა ძველი კერა და ეზო,
ახლად შენდება ჩვენი სოფელი.

8

აღვა ივანე ბრაზ-მორეული,
ყვიროდა: ჩემი სული გლებური,
დღესაც ძლიერი და შორეული
ჩემს შვილის-შვილებს შთაუნერგეო.
მათ მიუჩინე ცალკე ნივთები,
საკუთრის დაცვას რომ შეეჩვიონ,
ეხლაც ერთმანეთს არ-რას უთმობენ —
ჩემი არის და არა შენისო.
ჩვენ აღვადგინოთ ეხლავე მიწის
ურყვევი მტკიცე დასაბუთება,
ჩვენ ვილუბებით ნუ თუ არ იცით—
ირღვევა კერა და საკუთრება.

9

საკუთრებაა მტკიცე ცხოვრება,
 შენი, ჩვენობას მუდამ სჯობია,
 ბედნიერია იგი, რომელსაც
 კერაზე ცეცხლი არ ჩაქრობია.
 გაქვს შენტვის ეზო შემოლობილი,
 დაგიდგამს ქოხი და სასიმიინდე,
 შენს ნებაზედა ცოლი მოგივლის —
 შენი მონა და შენი სიმდიდრე.
 შენ დაულალავ შრომას ეწევი,
 ეზო მიგაჩნის თვალის ჩინებათ;
 შენი ხარი და ძროხა მეწველი
 შენ და მხოლოდ შენ გემორჩილება.

10

თუ გიყვარს სტუმარ-მასპინძელობა,
 თუ სადღეობით გაშლი სუფრასა —
 მღერი, იცინი და დღეგრძელობას
 ვერცხლით მოქედნილ ყანწებითა სვამ.
 გყვანან ქათმები, ღორი, გოჭები
 დიასახლისის შემონახული,
 შენს სიაყვარგით ხარ შებოჭილი,
 გინდ ქეიფობ და გინდა მარხულობ.
 ქათამს დაიკლავ თუ უვახშამით
 შენი საქმეა — როგორ გადახვალ,
 შენს სამეფოში ხელებ გაშლილი
 გაიხუმრებ თუ ცოლსა გალახავ.



11

რის ჩვენობაა, რას მეხუმრები:
 სიმინდის კალო მომაქვს ურმებით,
 ავიტან, შევყრი ჩემსავ ბელელში
 წლიურ სარჩოსა მაშვრალი გლეხი.
 რამდენიც მინდა იმდენს დავხარჯავ,
 ხომ ჩემი იყო შრომა და გარჯა;
 ალიონიდან საღამომდისინ
 ვილუნებოდი მზის ქვეშ ველზედა,
 ვის რა ხელი აქვს, გული მომდისო,
 რა საჩვენოა ჩემი ბელელი,
 ალიონიდან საღამომდისო
 ვარო, მინდორზე ოფლისა მღვრელი.

12

მე აქ ერთი ვარ, გადამემტერა
 გარშემო მთელი მოსახლეობა,
 ესენი ჩემი მეზობლებია
 მე, რომ ბობოლა გლეხად მსახავენ.
 მომდის უზომო გადასახადი,
 წელს შარშანდელზე ერთობ მეტია,
 თქვენ მეზობლებო, რომ გეცინებათ,
 ისვენებთ ტკბილად ჩემდა სამტროდა —
 საქმე მუდამ ეამს მიწასთანა მაქვს
 თოხით, სახნისით, წალდით, ბარითა,
 მეზობლებისთვის მკრელი დანა მაქვს —
 გულში ამბობდა ბობოლა გლეხი.



13

შვილს არიგებდა: სხვისათვის ნუ ხარ,
 არვის დაუთმო ერთი მისხალი,
 ეზოში სადაც დაბადებულხარ
 იქ, შენთვის ნაყოფს უნდა ისხამდე.
 საკუთარ ძმასაც ნულარ ენდობი,
 შენ სხვაი ხარ და იგი მეორე,
 შენ შენტვის სთესე და შვილებისთვის
 ჩემი ნათქვამი გაიმეორე.
 მხათ იყავ მუდამ: გაჭირვებული
 ჩასალუქმავათ თუ კი გელირსა,
 შენს მიუმატე შენი მხნე გულით
 ქობი, დაცემულ მეზობელისა.

14

ამის შესახებ ერთხელ ვამბობდი,
 გასულ თვის დამდეგს წვიმა რომ იყო,
 დაქანებულმა ლელემ მალლობით
 საყანე ველი ქვებით მორიყა.
 წვიმდა, ივანემ ტომრა გადიცვა,
 ლელე ჯირკით და ქვებით გაგუბა,
 ბარით მოთხარა მტკაველა მიწა —
 თანამოსახლეს უმტრო ორგულმა:
 ლელეს გზა მისცა, ადიდებულსა,
 სხვისსა ეზოში გადასულიყო,
 ღარიბ მეზობლის წლიური სარჩო,
 რომ წყალდიდობით დაღუპულიყო.



მთები, ველები, თვალ უწვდომელი,
 ძღვევამოსილი ჩვენი მშეობა,
 პურიტ მდიდარი ჩვენი ქვეყანა,
 მისი გლახური მოსახლეობა.
 გადავშლი ფერად საბჭოთა რუქას,
 მისი საზღვრებით ვარ შებოჭილი,
 სადაც გლახებში ივანე სუნთქავს
 გულღვარძლიანი, მუხლებ-მოკრილი.
 აქ ქალაქიდან ჩამოასახლეს
 მუშური მზე და გვაძლევს სინათლეს,
 რომ წაიშალოს ივანეს სახე
 მისი ცხოვრება და ზასიათი...
 მე ვუმღერ ზღვებებს არა გლახურად,
 გლახურ ბუნების უარყოფელი:
 ისობა ძველი კერა და ეზო,
 ახლად შენდება ჩვენი სოფელი.



მას შეიზარალებს ვინმე მწერალი,
 ვინმე მეძველე

მთაზე გადატყდა სხივთა ისრები
 და დღე და ღამე უკვე იყრება,
 მე, კომუნარი სამთავისელი
 ამილახვარზე ამბავს მიყვებხ:
 „შენებრ ქაბუკი, მხნე გონებიანს,
 ასჯერ, ათასჯერ მსმენად მყოლია,
 ვხედავ და ახლაც მომგონებია
 ამბავი, რაც აქ მოსაყოლია.
 ამბავი ჩემი ბრძოლის გზა არი, —
 ღველფად ქცეული რკინის დუღილი,
 ვხედავ და როგორც გრიგალი, ზარი,
 მესმის გამოვლილ დროის ქუხილი.

ჩამოდიოდა აგიტატორი,
 თმებგადაყრილი, წითელ ხალათით,
 მას ენა ქონდა დინჯი, ხალასი,
 დაულალავი როგორც მატორი.
 მან პირველ რიგში მე ჩამითრია:
 „ბრძოლით ცხოვრების ბოღმას გამოცლი“,
 ვიბრძვი, ორმოც წელს ქვები მითლია,
 დამიხოცია წლები სამოცი.



კლდე-გალავანი, სადაც მარხია,
 ჩვენი ძეგლები და ჩვენი უნარი,
 სადაც დღეს ჩვენი კომუნა არი —
 იყო სასახლე ამილახვრიანთ.
 ნარდს ითამაშებს ამილახვარი,
 მეუღლეს ყელი მოუღერია;
 თვალი მოავლე, აი რაც არი —
 მისი მთები და მისი ველია.
 ამილახვარმა სასახლიდანა
 გვაქო და ყველას დაგვეცა დანა:
 „დუ იაქე... გული გამიხარებია —
 ჩემი გლეხები კარგი ხარებია“.

ჩამოდოდა აგიტატორი,
 თმებგადაყრილი, წითელ ხალათით,
 მას ენა ქონდა დინჯი, ხალასი —
 დაულალავი როგორც მატორი.
 ეზივართ, ღამეა, გათენდეს ბარემ,
 მიწის ქვეშ ჩვენი საუბარია,
 ძაღლები, ძაღლებს უყეფენ გარედ,
 ზეცას ღრუბლები წაუფარია.

ჩვენი ცხოვრება აბა რა არი,
 ხარი გვყავს ბულა — მისი ხარია,
 თუ თავადს მიაქვს შრომის ბარაქა —
 ჩვენ მზის ამოსვლა რათ გვიხარია?
 ჩრდილში ცხოვრობდა ჩაძაღლებული,
 ჩრდილში სიბერე წამოეწია,
 ერთხელ ამალით, გალაღებული
 მას გენერალი, შვილი ეწვია.

არ მოეწონა ძველი ქარავმა,
 ოდის ჩუქურთმა და საკეტური,
 სასახლის გეგმა მოიმარავა
 მან უკანასკნელ არქიტექტურით.
 აგური სოფელს გამოუწვია,
 მასალა სოფლის ზურგმა მოზიდა,
 სამაგიერო არ მოუცია —
 გარდა გინების, გარდა როზვისა.
 მე თვით ხელობა მაქვს კალატოზის,
 თუ დამიჯერებ, ვარ გულმართალი,
 ქვები, რაც სოფლის ზურგმა მოზიდა —
 ჩემი ხელებით არის ნათალი.
 იქ სადაც იდგა სუროიანი
 ოდა უშნო და იერით ძველი —
 ჩვენში უცხო და ნათელმზიანი
 ახლის ჩაკვირეთ ჩვენ საფუძველი.
 აივანიდან ხედავ მთა და ხევს,
 თითქოს უმზერდე ქვეითს, ზევიდან;
 ამართულია დიდი სასახლე
 უშშვენიერეს დარბაზებითა.
 დგას მოურავი, მეტყველი მგელი,
 ასწლოვან მუხას დაჯახებია,
 ხელში უკირავს მათრახი გველის, —
 ჭაღარას სისხლი განახლებია,
 მისი ულვაში ჩამოგრეხილი
 გველისებური მათრახებია,
 მისთვის ერთია ხარი და გლეხი —
 მათი სარჩენი ბალახებია.
 დგას მოურავი, მან ჩაიბარა
 გივის სასახლე, მთები და ხარი.



დილით გაუდგა გზას გენერალი,
 ტან ათქორებულ შავი მერანით.

ჩამოდიოდა აგიტატორი
 თმებგადაყრილი წითელ ხალათით,
 მას ენა ქონდა ისევ ხალასი,
 დაულალავი, როგორც მატორი.
 მიწის ქვეშ, სადაც მუქი ფერია
 გამოქვაბულის ყველა კედლები,
 სად დავიბადეთ და ვბერდებოდით,
 არის ლარიბი გლახის კერია —
 სადაც ფიქრობენ, ჯებირებიან
 ციხეს ლაშქარი შემოუსიონ,
 სადაც გლახები იკრიბებიან
 ამ აგიტატორს რომ მოუსმინონ.

სად ყოველ დილით, მზის დანახვამდი
 ვინმე „აბრაგი“ მთებისკენ გარბის —
 გალურჯებულა ამილახვარი
 და მოურავი სიმკაცრით ქარბი —
 მამასახლისი გადმოყირავდა
 ხელისუფლების ჯაჭვ აგლეჯილი,
 თავზარს სცემდენ და აღარ ყვიროდა
 სოფლელთა მიერ ზურგ დაბეეილი.
 მაღლობებიდან სცემდა საყვირი,
 მთებიდან მოსკდა ცხენების ტორი,
 შესდგა ტრიბუნზე თმებგადაყრილი
 ცხრაასხუთელი აგიტატორი.

ცაზე ღრუბელი მარტო მავალი,
 რომელსაც ვინც არ დაკვირებია,
 მებხიერებას მის ნატამალი
 ვით ზღვაში კენჭი ჩასძირებია.
 მიდის დღეები — მათი მაგვარი
 მოგონებაში დღე თუ იჭრება,
 დაგაეწყდება, რა გინდ მაგარი
 გაძლიერებით ცამ დაიკეჭოს.
 დღეების წარღვნით არ ისერება,
 მე ისე მახსოვს დღე — სამშაბათი —
 ქალაქებმა და კრეისერებმა
 გამოუცხადეს მეფეს შამათი.

„ნაგლეჯ-ნაგლეჯად ეზო დაყავით,
 ნაგლეჯ-ნაგლეჯად თვით მოურავი“.
 — ხალხმა დაღეწა ალაყაფი და
 სასახლეს დროშით შემოუარა.
 გამოჩნდა იგი გველის მათრახით,
 გული ერჩოდა „თავს მოუარე“...
 სასახლის კართან ძლივს თავდახრილი
 გაფითრებული დგას მოურავი:
 — რაებს სჩადიხართ გლეხებო,
 აგრე რამ გაგაგულისათ,
 გივი მოვა და შეხედავთ
 ბარს რისხვით გადაუვლისა.
 მეფის ნაჩუქარ ლახვარით
 და მეფის მათრახებითა,
 ჩამოვა ამილახვარი
 ურიცხვი ყაზახებითა.



„ნაგლეჯ-ნაგლეჯად ეზო დაყავით,
 ნაგლეჯ-ნაგლეჯად თვით მოურავი“.
 — მოზღვავებული ხალხი ყვიროდა,
 ძლიერდებოდა ლელვა მუქარის...
 მაგრამ... ქვემეხი შემოტრიალდა,
 ჯარმა ქვემეხი ჩვენ დაგვიმიზნა,
 დაცალიერდა ჩვენი ტრიბუნა —
 სოფელი მთებში გადაიხიზნა.

„ქედმაღალია ვით მუხა,
 მოდის თქეშით და ქირითო,
 სადაც არ იყო, იქუხა
 შავი ქვემეხის პირითო“.
 აერში, ახალ-ახალი
 ისმოდა ხმალთა წკარუნნი,
 შარაზე ამილახვარის
 თეთრი ცხენების თქარუნნი.

რა წესრიგია (!) დაცული,
 რა ნადირობა გაშლილი:
 ცრემლ მორეული ქალწული
 სახეს იღებავს ნახშირით.

მეფის ნაჩუქარ ლახვარით
 და მეფის მათრახეებითა,
 თარეშობს ამილახვარი
 ურიცხვი ყაზახებითა...

კარებთან იდგა ბრმა მეჩონგურე,
დაღონებული ვით სახედარი,
მოწყალებისთვის ერჩოდა გული
ლექსი იმღერა მან საქებარი:

„ამილახვარო თავადო,
მეფეო, თავის თავადო,
იცხოვრე დღეგრძელ მარადო,
მოსულო, ციდან ბარადო“.

ამ შემთხვევაში თავადი მოლბა,
მის წინ მათხოვარს გადუგდო გროში,
ბრმა მეჩონგურემ უთხრა მადლობა —
კმაყოფილებით თავი დახარა,
რა შემობრუნდა, წყველით, მუქარით
ჩაილულუნა: „ამილახვარო,
მეხმა შენს ტანში გაილახვაროს“.

გაუვალ ტყეში შემოგალამდა
სადაც ქედებზე ცა დამხობილა?..
თუ ძალლი ყეფს და ყივის მამალი,
მაშასადამე, სოფელი ყოფილა.
რაზმები კლდეზე გადაყრილია.
მთებზე სდგას ზეცა ღრუბლების მოფენით,
ძალლები ყეფენ, მამლები ყივიან,
მაგრამ სადღაა ჩვენი სოფელი?!

დედაკაცს სდივა სისხლის კამარა,
იქვე, მოკლული ძეგს ცის ამარა...
როცა სოფელი სისხლმა დაფარა,
კარზე მიაკრეს ემალის დაფა:
„მე ვარ თავადი ამილახვარი,
სოფელს დაეცა ჩემი ლახვარი“.



ცხრაას ჩვიდმეტში წითელ ხალათით,
 გულ თამამი და ენა-მატორი
 ჩამოდიოდა აგიტატორი,
 როგორც მტერი და ჩენი ჯალათი:
 „თავისუფლება თქვენში ვიყუფე,
 ჩამოგაშორეთ გველის მათრახი,
 მეტი რა გინდათ, დაეცა მეფე —
 განხორციელდა ჩემი ნათქვამი“.

საიდან არი, ან რომელია
 გულში რას ამბობს, ან რა მარხია,
 წითელ ხალათში რა ცხოველია,
 ჩემთვის ადვილი დასანახია.
 გახსოვთ, ბატონო აგიტატორო,
 როგორ ვიბრძოდით, ბომბით, ბერდანიტ...
 თქვენ კი სოფელში საორატოროთ
 ცეცხლის მქრობ რაზმით მობრძანებულხართ.
 თმები კისრამდი ჩამოგიყურიათ
 და გაგილიათ ჩვენთვის საკანი,
 ორატორი ხართ — ასე იტყვიან,
 თქვენ გემარჯვებათ ენით კაკანი.
 ჩენი არაა თქვენი ნაპირი,
 ერთი არაა ჩენი გზა-პირი...
 საპირდაპირო ხმალი გავლესე
 მე ცხრაასხუთელ მეუმრავლესემ.

გასაბჭოების წინა ღამეში,
 მიწაში როცა ოქროს მარხავდენ,
 ჩენ, რაზმელები მთიდან დავეშვით
 და დავეჭირეთ ამილახვარი.

— თქვენ გამოგზარდათ სისხლმა მშრომელათ,
თქვენმა მშობლებმა ჩვენი მშობელთა
სასაკლაონი, მინდვრათ გამართა —
თქვენ, სისხლი გმართებთ მამა-პაპათა.
მაგრამ, ჩვენ სისხლი თქვენი არ გვინდა,
ჩვენივე სისხლით განალალებო,
განთავისუფლებთ ამგვარ ხარკიდან —
წადით, იცხოვრეთ ძალღებო!
გადით მინდორზე, ჩრდილში გეყოფათ!
იციოთ? ძალღებო უკვე დრო არი,
გადაივიწყოთ კბენა და ყეფა —
შედით გომურში! ირჩინეთ თავი
საკუთარ შრომის მონაპოვარით...

დილის ძილს ველარ გადაეჩვია,
მზე იყო მისთვის გულშემხუთავი,
თავი კი თვითვე უნდა ერჩინა,
ანდა როგორმე მოეკლა თავი.
მზეს გაუბოდა მზის გადახრამდი,
სახნავი იყო მისი ნახნავი,
გულში დაფარულ ბოლმის მმარხავი,
მინდორზე იღვა ამილახვარი.
ზატხული მიდის, მინდორზე არი!
შრომობს ცხოვრება რა ნაირია?!
ყველგან მზე არი, ყველგან მზე არი,
მზე მაინც როგორ გადაირია?
უნდა იშრომო, რაც არ იქნება,
გამვლელს ხელებზე მაზოლს აჩვენებს,
მან აღმასკომში მისვლა ინება,
რა შემოაკლდა ლუკმა, სარჩენი.



მშვიერს კარებთან შემოეგება
 მოხუცებული გლეხი კომბალით:
 „შენ, დახმარების სახით გარგუნეს
 ამილახვარო, ფუთი ხორბალი“.

რატომ დავხვრიტეთ?

ძველ ქალღმერთის კიდობანი და
 წლობიდან წლობით გადანარჩენი,
 ცეცხლში ჩავეყარეთ ნასყიდობანი,—
 მამა-პაპური „შენი“ და „ჩემი“.
 დე! ჩაიფერფლოს ეს საბუთები,—
 დღეიდან არ ვართ მესაკუთრენი.
 ერთობ ქიშპობა დაგვეჩემებია,
 შულლი და მტრობა, ლანძღვა საზარი,
 „მიწა შენია! მიწა ჩემია!
 აქვე მიჯნაა, აქვე საზღვარი“.
 მამა-პაპური სიგელ-გუჯრები
 ჩვენ შორის იყო მტრობით მდალარი,
 მიჯნას ვიცავდით, შეჯახებულნი
 თვით უკანასკნელ სისხლის დაღვრამდი.
 საბუთებშია ყვითლად ნაფერი
 თვით წინაპართა სურნელი მყრალი,
 ფერფლად ვაქციეთ ჩვენ ყველაფერი —
 ძველი ცხოვრების კლდე და ნაპრალი.
 ფერფლად ვაქციეთ შავი ფიცარი:
 „სოფელს დაეცა ჩემი ლახვარი“ —
 ქარმა წაიღო ნარჩენ-ნაცარი,
 დამწვარი ხელი ამილახვარის.



ჩამოდისოდა აგიტატორი,
 როგორც მტერი და პრაეკატორი,
 უკანასკნელად წითელ ხალათით,
 დამუნჯებული, თანვე ნილაბით;
 მას გვერდით უდგა მეფის ჯალათი,
 მოულოდნელად დაგვეცენ ლამით,
 და „გენერალის ცეცხლი“ გაისმა...
 მაგრამ ხელები ვერ გაისვარა
 სისხლით, რაც ველურ წყურვილს უკლავდა —
 შემოგვიბრუნა ძველი ლახვარი,
 ჩვენი კომუნის დასალუპავად
 ჩვენ შეგვებრძოლა ამილახვარი.

(მისი სამარე იქვე გაეთხარე,
 მეგობართ შორის, სადაც მარხია
 აგიტატორი წითელ ხალათით)
 — გზა მშვიდობისა! ბოლოს ვახარე:
 მე ვარ ჯალათო, შენი ჯალათი!
 მონანიებით მან ჩუმად მითხრა:
 „პურსაც მარილი თან მოაყარეთ,
 ამიერიდან ენას ჩავიგლეჯ,
 შევცდი... მაუზერს ნუ მოაკარებთ...
 ძველი კაცი ვარ... აღარ ჩავიდენ!!
 — ამილახვარო მთას სიდან უვლი?
 (მგელი იყო და ისევ მგელია)
 რა შებრალება რა სინანული —
 დავხარჯეთ, უკვე გამოგველია.
 უნაყოფოა თავი დახარო,
 მაუზერების კედელს ეძგერე!
 შენ შეგიბრალებს ამილახვარო,
 ვინმე მწერალი — ვინმე მეძველე.

უნდა ვებრძოლოთ
მესაკუთრეთა განწყობილებას

კრემა სვადასხვა საკითხებზე

ბოლშევიკური ცხოვრების პროზა

მაშინ მეც გახლდით კაცი ისეთი,
 კაცი იმ ტიპის, მრავალთავანი,
 როცა ჭერქვეშელ კომკავშირელმა
 ყუთში ჩავკეტე შავი ნაგანი.
 შემოქმედების ვიგრძენ ახალი
 ცეცხლი მარტივი, გასაგებარი,
 და ჯერჯერობით აუსახავი
 ჭერქვეშელების თავდადებანი.
 ჩემი თვალეები სად არ არიან,
 რას არ ხედავენ, სად არ მეგულვის!
 მე ჭერქვეშელი მესაუბრება
 ცხოვრების სიღრმით დამძიმებული.
 მივდივარ ზუსტად სინამდვილესთან,
 როგორც ბრძოლაში თავს არ ვიზოგავ,
 რომ რიტმიულად გადაგიშალო
 ბოლშევიკური ცხოვრების პროზა.



ვინ წაიკითხავს? ვინ მოიწონებს
 გააზრებულს და აქვე წარმოთქმულს,
 ამ საკითხებზე ლექსის სტრიქონებს?
 ვინ უნდა მყავდეს მხედველობაში?
 იზიდავს ყველას თავისებური,
 ზოგი მოითხოვს პირ-მამშვენიებელს,
 ზოგს ლექსი უნდა შეყვარებულის.
 ზოგი სიძველით არის გართული,
 ხიბლავს მიმჭრალი მშვენიერება,
 საეკლესიო სტილის ქართულით
 გრძნობს უძლიერეს ბედნიერებას.
 ზოგს ეროვნული „დრამა“ მოუნდა
 და თამარ მეფის დარბაზს იგონებს,
 დღესაც ამას სწუხს: „რათ იქორწინა,
 თვალმა ქვეყნისამ ბოგოლიუბოვზე“!!
 ზოგი ნეპმანი, მანუფაქტურას
 ყიდის, ყიდულობს, აწყობს თაროზე,
 მას ფარჩეული უნდა მხატვრულად
 ძლივს მოტანილი უცხოეთიდან.
 ზოგს კი რა უნდა?
 ვარსკვლავებს ეტლით შემოუვლიო,
 დგას სინამდვილის უარმყოფელი,
 ზევიდან უმზერს ფუნქულიორს
 და კვდება მთვარის ავადმყოფობით.
 კიდევ ვინ მოსთვლის ძმაო სხვაგვარებს,
 კიდევ ვინ რა გვარ ცეცხლით იწვება!!
 ვინ წაიკითხავს, რისთვის იწვალეთ
 ან ლექსი ვისთვის დაგიწერიათ?..



პროლეტარული მწერლის მავობრები

მე ახლა გეტყვი თუ გამოწყვები,
მის გულის წყურვილს რამე გაუგო,
ვინ გამოდგება მგოსნის მეგობრად
მინდა ამაზე გაგესაუბრო.

ჭერქვეშელებთან იცი გავსულვარ,
ისინი სად არ იმყოფებიან,
ჭერქვეშელები, სისხლის წარსულით
პროლეტ-მწერალის მეგობრებია.

ზოგიერთი შენიშვნები პროლეტკითხველზე

მაგრამ ძვირფასო თანამებრძოლო
შენც გაჯანსაღდი, გზა კი ერთია:
დროა რომანის პორნოგრაფიულ
ქაობებიდან ამოეთრიო.

შენი მჩქეფარე, ჯანსაღი სისხლი
თანამებრძოლო მტრულად საღდება,
მიტომ დაისვა დღიურ წესრიგში
შენი უნარის გაჯანსაღება.

რა ჭერქვეშელი ბოლშევიკი ხარ
პორნოგრაფიით თუ იხიბლები...
(პროლეტ-მწერალმა თვით უნდა ზარდოს
პროლეტ-მწერალის, პროლეტ-მკითხველი).



ბრძოლების დროს ის სად არ ყოფილა,
 მას ამბობება სად არ აკისრეს,
 ვით ინტენერი და ბოლშევიკი
 იყო მრავალში გამონაკლისი.
 აბა მითხარით სად გეგულებათ,
 კაცი მეორე, ვისაც წარსული
 ქონდეს ასეთი და დღესაც იყოს
 ბოლშევიკი და აღმშენებელი.
 თურმე პოეტებს თემაც ელევათ,
 როცა ჯერ ლექსიც არ დაწერილა:
 რჩება ისევე დაუძლეველად
 ამ იშვიათი კაცის გმირობა.
 ჩვენი ლექსები ამ კაცს არ უნდა,
 ის გეგმებს ხაზავს, საჰმის კაცია,
 გეზრთა ლოლიკას მისდევს კვალდაკვალ,
 გეზრებს სივრცეშიც ხედავს გაქცეულს...
 ფიქრობს დღე ღამე, აშენებს გეგმებს
 ელსადგურების, გზის თუ გემისას,
 აღმშენებლობის რომანტიკოსი
 მუშაობს, იბრძვის გამარჯვებისთვის.
 ასევე წვალობს სტატისტიკოსი,
 წარმოადგინოს სწორი სურათი
 დღევანდელი მრავალ კითხვებზე
 და სინამდვილეს ხედავს ციფრებში.
 დაფიქრდე უნდა რომ გახდე კაცი,
 უნდა დასწერო ლექსი დამჯერი,
 იქნეს საჭირო და კითხულობდეს
 სტატისტიკოსიც და ინტენერი.

კაცი პუშკინს რომ ბაძავს პოზაში, —
 ყვირის: ამაღლდით იალბუზამდი:
 თქვენ, პოეტებო: ლექსი ლამაზი,
 იცით?—ცხოვრება და მიზანია...
 ამბობს: პოეტი არის ნათელი,
 მას ყოველ-დღიურს ნულარ აკისრებთ,
 მისი სახელი რადგან გასთელეს
 დაშვებულ იქნას გამონაკლისი.
 დღიურ ზღუდეთა შემოსარღვევად
 იგი მოითხოვს: კანონთა შორის
 რომ შეიტანონ მგოსნის შესახებ
 მუხლი შემდეგი, მტკიცე და სწორი:
 „ეპათიოს მას ქვეყნად ბევრი რამ
 როგორც იშვიათს, და როგორც პოეტს,
 ეპათიოს მას, თუ გინდ გაფლანგვა
 მთელ სახელმწიფო ავლადიდების.
 ეპათიოს მას, თუ ბოგემაა
 სულით დაცემა და სხვა ასეთი,
 ეპათიოს მას ლანძღვა-გინება
 ქუჩაზე რბევა მოქალაქესი.
 მას ხშირად იპყრობს „ცეცხლი“ უაზრო,
 და წუმპეშიაც უცებ შესტოპავს,
 ეპათიოს მას, ამხანაგებო
 „აერის ყლაპვა“ და ზედმეტობა.
 იგი ტიპია, მსგავსი ათასი
 ქუჩამ მრავალი მი-მო-ატარა...
 ასე დაეცა „სიმაღლე მისი“,
 ფეხქვეშ გასთელეს „მისი დიდება“, —
 თავში აწუხებს ქარი და ნისლი,
 მიდის გამზირზე და იგინება...



— ამ კაცს ხომ იცნობთ, იყო სარდალი.
 დღეს წვრილმანებით ვაქრობს ხელდახელ,
 რა ქნას აწუხებს მას სისადავე
 და „დიდკაცობის“ დახურდავება.
 ჩვენდამი შურით არის აღსავსე,
 ფიქრობს სიძველის შემობრუნებას,
 იგი გახუნდა და შენც მასაგით,
 გზაზე ამთქნარებ და გახუნდები.
 მას უდგას ყუთი, ყიდის თამბაქოს,
 თან ამალლებას ისევ აპირობს,
 გწყურია მაგრამ, აღარც გენდობა
 ჩემო პოეტო ერთ ცალ პაპიროსს.
 ინგლისელ სარდალს იგი მოგავედა
 როგორც ჯალათი შაჰმიანის...
 დღეს შენც და ისიც უსარგებლოა
 ვით ნიკოლოზის შაჰურიანი.

და მთვარეს უყვას ეს მთვარეული

მღეროდა იგი ძველი მოტივით,
 ცისკენ ახელდა ამღვრეულ თვალებს...
 და ეს პოეტი იდიოტივით
 გათენებამდი უყეფდა მთვარეს...
 მთვარეო, არსად ბედი არ გიცდის,
 რომ შენზე ცეცხლის აგზნება ითქვას:
 გახუნდი ისე, გაუარგისდი,
 როგორც ათასჯერ ნახმარი რითმა.

ბოლოს და ბოლოს ეს საქართველო
 ჩვენს წინ იშლება, როგორც სოფელი,
 ამას თუ გნებავთ თავი ვანებოთ,
 ისევ შევხედოთ ქალაქს ყოველმხრივ.
 ახლაც სოფელი ურმით გვეწვევა,
 შეშით, ნახშირით და სხვა მარაგით,
 ტფილისი ჯერაც ველარ გაშლილა,
 როგორც მძიმე და დიდი ქალაქი.
 როგორ ვიცრუო, ყოველი ღამე
 და საქართველოს პირ-ლურჯი ზეცა
 მეჩვენოს მუშკორს, დიდ ინდუსტრიის
 კვამლით და ნისლით გაშავებული.
 მე ვაღმა ნაწილს ვხედავ გაშლილად
 ქალაქს, ანთებულს ურიცხვ ქალებით,
 შუალამისას თითქოს ქართლში ვარ,—
 როგორც სოფელში ყეფენ ძაღლები.
 აქ ქარხანაში, ქართველ მუშასაც
 რომელსაც ვიცნობთ ჩვენ პროლეტარად,
 თვალწინ უდგება შორი სოფელი
 და ინტიმურად არის გლეხებთან.
 ქალაქის ზეცა ვარსკვლავიანი
 საკუთარ სოფლის ცად ეგულება,
 ფიქრობს: მთვარემ თუ დაიგვიანა
 სჩანს დედამისი ესაუბრება.
 გაივლის მის წინ ახალგაზრდობა,
 მისი ძვირფასი ოდა და ზვარი,
 როცა მკერდ ღია დინჯად მუშაობს
 ფიქრობს კერაზე, დაზვასთან მდგარი.



ვებრძოლვით მესაკუთრეთა განწყობილებას

რადგან ქარბია სხვა სინამდვილე
 მე მინდა ახლა „მთელი“ სიმძიმე
 პროლეტ-მწერალის შემოქმედების
 სოფელზე იქნას გადატანილი.
 ჩვენ დავიწყეთ და ვითარდებიან
 სოფლად ქალაქის ელემენტები,
 მაინც არ კმარა ჩვენთვის ზაგესი,
 ან და „ქალაქი“ ოფუცხოვოში.
 მამა ჩემს უყვარს დღეს მით უმეტეს
 „სისხლით ნაყიდი მიწის ნაჭერი“,—
 მაშასადამე უნდა ვებრძოლოთ
 მესაკუთრეთა განწყობილებას
 მესაკუთრეთა საქართველოში.

სალამოობით გაზაფხულისას
 მე ტფილისშიაც ხშირად მინახავს
 სოფლად ბავშების ნააღერსალი
 წყნეთიდან ძროხა შემოიბღავლებს;
 ის მიდის დინჯად ტრამვაის გვერდით,
 ძლივსლა მიათრევს ტბორა ძუძუებს...
 მაინც ტფილისში ეს წყნეთელები
 ჩვეულებრივად ხშირად მოდიან;
 მიიზლახნება ორი კამეჩი
 შუა „რუსთაველს“, და ეგულება:
 ლაფში ჩაფლულა მეხრიანადა
 შინ მიმავალი მისი ურემი...
 და მღერის ჩუმად
 მეხრე გზა და გზა:
 „გოგო ყელი გაქვს გედისა,
 დღეს შენი ნახვა მეღირსა,
 თვალი შავი, წარბი შავი,
 გოგო, შავი გაქვს თმებიცა!...

კომუნისტური ინდუსტრია

მაგრამ სოფლებში თუ კვლავ ბეუტავენ
 კრაქები, მიმქრალ ვარსკვლავებივით,
 სამაგიეროთ სპობენ პრიმიტივს
 რიგი ახალი ელსადგურების.
 ჩაქრება მალე შუქი კრაქების
 და ინდუსტრია შთანთქავს ყველაფერს,

ხარ-კამეჩების ზანტი „ფიქრები“
ტფილისს, გულ-გაშლილს ვერ დაფარავენ,
თუ ვსპობთ სიძველეს ყოველდღიურად,
ჩვენ კომუნიზმის ხუროთმოძღვრები,
ვიბრძვით, ვაშენებთ ახალ ქვეყანას
კომუნისტურად ინდუსტრიალურს.

ტროცკისტულ ოპოზიციის შესახებ

მე ვწერდი პოემას აქტიურ თემაზე:
ჩემი მოხსენება ტროცკიზმის წინააღმდეგ,
ხელთ მქონდა ტომები ამხანაგ ლენინის
და მოხსენების თეზისებს ვადგენდი.
როდესაც საქმეში ძლიერ ხარ გართული
სტუმრობა ვინმესი არც გაგიხარდება,
მაინც მე შეეჩერდი, მომესმა კაკუნი,
ვიღაცა მოვიდა, და კარი გაუღე —
შევხედე მეგობარს, შინ შევიპატიე.

— სალამი!

— სალამი!

უთხარით ერთმანეთს...

და შემდეგ მაშინვე დაიწყო ბასი:

— ამხანაგო ფრიდონ!

რამდენი ხანია

ჩვენ ჭერქვეშელები ერთმანეთს დავშორდით?

შენ პროლეტ-მწერლობას მოკიდე ხელი და

მე კი მუშაობა სულ სხვა გზით გავშალე.

მე ამ მეგობართან

წარსული მაერთებს:

ვიდექით მხარ და მხარ ბრძოლების დროს,



წითელი რაზმები გარს შემოიკრიფენ,
 იბრძოდენ ბოლომდი ბოლშევიკები...
 შემდეგ კი, რა მოხდა, მიაშობს ეს კაცი
 „სტალინმა გამრუდა ლენინის ხაზი...
 „მე როგორც ტროცკისტი ვარ გამორიცხული...
 „მე ცეკას ტაქტიკას არ ვიზიარებ“...

როგორც ძველ ამხანაგს
 მაძლევს წინადადებას:
 ჩვენ სულ სხვა ბრძოლების სფეროში შევედით,
 ხომ ერთად ვიბრძოდით,
 კვლავ ერთად ვიბრძოლოთ,
 ძველი ჭერქვეშელები,
 გავხდეთ ჭერქვეშელები!“

მე ვამბობ:
 ჩვენ მუდამ ამ აზრის ვიქნებით:
 ვიბრძოდით, ვიბრძოლებთ, და კიდევ ვიბრძოლებთ,
 ყოველგვარ ზომებით, ყოველგვარ სასჯელით:
 ჭერქვეშელები ჭერქვეშელობის წინააღმდეგ.

მიამბო გლეხკორმა

გასულ წლის ბოლოს, მზიან ზეცის ქვეშ
 სათემო კრება გამართულიყო,
 და თავმჯდომარე ამავე სოფლისა
 საანგარიშოთ გამოსულიყო...
 თემალმასკომის თავმჯდომარეზე
 გლახკორი ამბობს შემდეგ სტრიქონებს:
 „ვინ იცის ძმაო, ქობში გაჩენილს
 რამდენი ტანჯვა გამოგივლია,
 აიდგი ფეხი და შეგაჩვიეს
 ნორჩი ყმაწვილი, თოხს, სამ გირიანს.“



შენი საყანე იყო ეწერი,
 ბარდით, ღურღენით გარემოსილი,
 ხარ-კამეჩივით უღელს ეწეოდი —
 საყანე ქვიშით ამოგესილა.
 მიწას თოხნიდი თეთრ ღამეშიაც,
 თან გულის ნალველს კლავდი ოცნებით,
 ჯანსაღ სიმინდის ღურჯი ეშვები
 თოხის ალერსით დაგიკოცნია.
 თუმც სევდა იყო ისევ გულიდან
 ფარულ ტკივილით ამონაოხრი,
 სიმინდის მუხლებს მაინც უვლიდა
 პირ-ალესილი პრიალა თოხი.
 ცის შუა გულიდან მზის მხურვალეობა
 ზურგში გასულა შიშველ ქუსლამდი,
 შენ მაინც მდგრად ავარვარებდი
 თოხს და, ბალახებს ისევ მუსრავდი.
 სადაც ხის ჩრდილი გალანდულიყო —
 შენს მაყურებლად ვიღაც მოსულა,
 სიდარბაისლის უშშვიდეს გულით
 და ხელში ქარვის კრიალოსანით.
 შლიდა, ითვლიდა და ისევ შლიდა,
 როს შენს მხარ-ბეჭზე მზე ვარვარებდა:
 მაყურებელი დინჯი და შშვიდი
 ქარვების თვლაში დროს აქარვებდა.
 ბოლოს გაქუსლა ცის მოედანი
 მშემ და, სალამომ კვალი მოშალა,
 ცის თაღებიდან ღამე მოვიდა,
 ცის ყოველ მხრიდან ძილი მოშავდა.
 ტოვებდი ყანებს გამოროდებულს,
 დამშრალ მდინარის განაპირაზე...

შორეულ ყანებს მოედებოდი,
გადახვეწილი თოხის ქირაზე...
გული ტკივილებს დიდხანს ინახავს
შურისძიება მოდის მაგიერ,
შაბიამანით სწამლავდი ვენახს
შენ, ვილაც მღვდელის მოჯამაგირე.
ახალგაზრდობა ასე გათავდა
სხვის ხელში ყოფნით გულგანამწარი,
დაგიქენა, როგორც ვაზის ფოთოლი.
შენი ბავშობა და სიყმაწვილე.
მორჩა! გათავდეს დრო გულსაყლავი
ასე კარნახობს ბრძოლის ანბანი,
ნისლით დაბურულ გზის გამკაფავი
არის თოფი და ტყვია ნაგანის.
იკაფავ გზას და დღე იხურება,
იწვება უკვე წიგნი მოთმენის:
შენ არ გიგრძენია ასე მხურვალეთ
ჯერ, ბრძოლის ცეცხლი და აფეთქება.
სოფლად დევნილი მთაში გაიქერ
გულში სიმხნევე არ გეტეოდა,
გერგო მთაშივე ბევრი ქრილობა,
რომ გამარჯვება ამოგეტანა...
ასე მონობამ დიდხანს გათრია
მოჯამაგირეთ ხელიდან ხელში,
ძლივს მოასწარი გათენებამდის
მზეს გამარჯვებით ამოყოლოდი.
დღეს კი როდესაც მთელი სოფელი
შენს თავდადებულ ბრძოლებს იგონებს,
მრავლად ამართულ ორივე ხელებით
კვლავ თავმჯდომარედ გასახელებენ.

შენაც ჩაუდექ საჭმეს თამამად,
სოფელს დღე და ღამ ესამსახურო...
ხომ ხედავ ძველი მოჯამაგირე
თემალმასკომის თავმჯდომარე ხარ.
შენი ფიქრები ქოხებს გადუვლის:
აი მუშკოპი, აი გლახკომი,
სოფელს სჭირია ახლა ფარდული,
მშრომელთა სახლი და სხვა მრავალი.
წინ ვერ წავიწევთ კავით, სახნისით,
თოხით, კამეჩით და ბულა ხარით,
მზიან დღეების გულს გადაგვიხსნის
ტრაქტორი მიწის გადამბურავი.
იქ წყალდიდობამ ხიდი წაიღო
და თემშარაზე გაწვა მეწყერი, —
სოფელმა უნდა ჯანი გაიღოს
მზისეულ მერმისს რომ მიახწიოს.
სოფელში ჩუმად ასე გაქებენ
მუშაობს, ვარგა თავმჯდომარეთო,
შენაც ჩაუდექ სოფლის საჭმეებს,
შენ გაფასებენ და გენდობიან.
ახლა სოფელში არხი გაყავენ,
იხსნან გოლვისგან გაშლილი ველი,
მთელი სოფელი არის საყანე
შენ კი, ერთგული მისი მეველე.
ძველი სოფელი იყოს გმობილი
ზარის რეკა და ეკლესიებით,
შარაზე გარბის ავტომობილი
უკან ქალაქის შუქი მოყვება.

აენტობიან ცეცხლის ქალები,
 ვარსკვლავებიან ზეცას მოისხამს,
 ცეცხლი, რომელიც აქ გავაჩაღეთ
 გავს მზეს, გაქცეულს სალამოისას.
 ვაიქცეს გინდა უიმისობას
 თითქოს მგონია შეურიგდები:
 ურიცხვ მზეებით ამოივსება
 ჩვენი ქალაქის ყველა უბნები.
 სალამობით დამშვიდებული
 ცეცხლ-მოკიდებულ ხვეულებს უმზერ,
 წყება სვეტები ხელში მზეებით
 მი-მო-რაზმულან ქალაქის ზურგზე.
 სასახლეებზე დროშებს არხვევენ
 სისხლის ნაირად შემოქარგულებს...
 გიგანტიურად გაყავთ არხები,
 ქალაქებისთვის წვავენ აგურებს.
 დანგრეულია ვიწრო ქუჩები,
 ცრემლით ივსება თვალი ყასაბის...
 სახლი არ გვინდა ძველ ჩუქურთმებით
 და ეკლესიურ სტილით აღსავსე.
 გამოჩნდა წყება სასახლეების
 და სართულები ახლად ნაგები,
 ირთვის ცხოვრება განახლებული,
 სტკბებიან ჩემი ამხანაგები.
 „აღდგენილია“ ძველი ბაღები
 ამაყ ბრძოლებით ნაპარტახალი,
 ჩაქრა სინათლე მოხუც ქალების —
 გაჩნდა ქუჩების რიგი ახალი.

უკვე აყარეს სახლთა ბანაკი,
ქუჩებს, მოედნებს სახეს უცვლიან,
ასე იშლება ძველი ქალაქი,
ყოფა, სისტემა და კონსტრუქცია...
მისდევს წყნარ ზღვაზე ხომალდი რეიდს
გარშემორტყმული ტყვიის ვაზნებით:
აღმშენებლობას მტკიცედ იცავენ
ჩვენი თოფები და ზარბაზნები.
კირი და ქვიშა უხვად მოზილეს,
ქალაქს არ ყოფნის კიდევ დუღაბი,
ქვა და აგური ბევრი მოზიდეს,
ქალაქს არ ყოფნის ქვა და აგური.
იწევს ციფრები, ინჟინერები,
ახალ უბანთა გეგმებს ხაზავენ,
ქალაქს არ ყოფნის მთელი ხაზინა,
ქალაქს არ ყოფნის კალატოზები.

1298
იანვარი

მგზავრობა აბარაკში

სამეგრელოში, სვანეთის ახლოს
არც ისე შალალ მთებ შორის
აგარაკია, ჩვენში ცნობილი.

ერთხელ მეც მერგო დასასვენებლად
ივლისის თვე და ერთი ორდერი.

მე მივდიოდი, მორჩა დაბლობი,
გამოჩნდა მთების პირველი რიგი.

ამ მთების ძირში,
სადაც სოფლების სხვა და სხვა მზრიდან
შალლობს მოქცეულ გზა-ჯვარედინზე
შევხვდით ერთმანეთს უცხო მგზავრები,—
გზა იწყებოდა საფეხდაფეხო.

ვიცი სხვაობა არის ჩვენს შორის,
ყოველ ჩვენთაგანს აქვს თავიდანვე
სხვა და სხვა მიზანი,
მაინც როდესაც,

ქარმა ნისლი და ღრუბელი გადილო,—
ჩვენ ყველა მგზავრებმა სხვა და სხვა გვარისამ
ერთად გამოვემგზავრეთ.

გზაც ერთი იყო.

ქარი მიყუჩდა,
დღე კი მზურვალე ოფლში გვწურავდა,
ნაწვიმარისას ძლიერ დაგვსიცხა,
მზემ დანიკავა ცის შუაგული.
მოგვწყურდა წყალი,
სულის მოთქმა და
მაღალ შტოიან ხის შესაფარი.

რა უცებ გაქრა ყველგან ღრუბელი.
რა უცებ დაშრა გზა ნაწვიმარი.

ჩვენ მივდიოდით...

ხმა არ ისმოდა,
გარდა სუნთქვისა, და გულის ცემის...

შუა ხეობაში: ლოდზე ლოდიდან
გადმორბოდა ცივი მდინარე;
გალმა - გამოღმა:

ვეებერთელა ხეები იდგნენ...
ამ ხეობაში: მზე ჩახუთულიყო.

ფართო ჩრდილოში

მზის მზურვალეობას ძლივს დავემალეთ,
ამოვისუნთქეთ ცხელი აერი,
გვესიამოვნა გრილი ნიაფი,
ყველამ ცალ - ცალკე გავეშალეთ სუფრა
და კანტი - კუნტად გავიბაასეთ.

„რა დაგიმალოთ“, — ამბობს ვაქარი,

„რა მწვავე იყო პირველი დარტყმა,
პირდაღებული ველოდი სიკვდილს...

და არც მეგონა

ღრო მოიტანდა, ისევ ვაქრობის თავისუფლებას.



თუმცა ვაქრობა ძლიერ შეზღუდეს,
 მაინც ახლახან აღდგენილი ვარ...
 მივალ აგარაკს,
 ღონეს მოვიკრეფ,

დასვენებული:
 საქმეს სიფრთხილით დაუბრუნდები!!

მე ვეუბნები:
 შწვავე იქნება და სასიკვდილო,
 პირველზე უფრო დარტყმა მეორე...
 და დროულია თქვენი აღდგენა,
 ვით დროულია ეს აგარაკი,
 რომელიც ახლა
 მეტად ჭრელია და მხიარული,
 რომელიც ერთხელ
 ჩვენ შემოვიღეთ, ჩვენ გავაშენეთ...

მზე ჩადიოდა.

ცოტა ხნის შემდეგ
 მთელი ხეობა ჩრდილში მოექცა.
 ჩვენ ავიშალეთ და მივდიოდით.

მგზავრებში გაჩნდა ორი ფრაქცია:
 სხვანი და სხვანი,
 მე და კალატოზი.

ასე ვამზობდით, ასე ვაკეთებთ:
 ვაგოთ მუშათა სახლები,
 ვაგოთ ელსადგური,
 ჩვენთვის ძვირფასია:
 რკინა თუ დულაბი,
 ეს ქვა თუ, ის აგური...



სხვანი?

ცალკე მიდიან და ბაასობენ.

კალატოზი?

მიდის აგარაკს, ლონეს მოიკრეფს,
დასვენებისთვის თვე მოუნდება,
მზეზე დამწვარი, კირში ასვრილი,
დასვენებული:

კვლავ სამუშაოს დაუბრუნდება.

ნეპმანი?

ნეპმანს ხომ უნდა
დააგროვოს ბევრი დოვლათი.
ნეპმანს ხომ უნდა
ბევრი ჩვენგანი გაანეპმანოს
ყოფა - ცხოვრებით და ხასიათით.

ნეპმანი ფიქრობს:

„ამ მშვიდობიან და რთულ ბრძოლაში
ვინ გაიმარჯვებს?
ჩვენ თუ, ისინი?

მე კი,

სანამ საწყობში სძინავთ ზარბაზნებს...
გვირაბებიდან
ქვა-ნახშირის გორებს იღებენ...
ისევ ვაგრძელებ ნაგანის სიმღერებს...
რომ გზაზე გული არ განეპმანდეს,
დარჩეს ბოლომდი საღი, მთლიანი...
სანამ გრძელდება,
სამოქალაქო, ომი უსისხლო,



შშვიდობიანი,
 გასულ ბრძოლებზე უფრო მედგარი
 და უფრო რთული...
 და სხვათა შორის, სანამ გრძელდება
 იდილია მყუდრო ოჯახის:—
 ისევ ვაგრძელებ
 რომანტიკას გასულ ბრძოლების:
 არ დაიღუპოს უგზო უკვალოთ
 კომუნარების დაღვრილი სისხლი...
 კომუნარების ზურგზე შენდება
 ჩვენი სასახლე და ელსადგური...
 ისევ ვაგრძელებ რომანტიკას
 რკინის, დულაბის, ქვის და აგურის.

მე ხშირად უკან ვიხედები
 და წინ მივდივარ...

დადგა საღამო, ვარსკვლავებით ამოჭედილი
 მთებმა კრიალა ზეცა მოისხა,
 ჩვენ გავიარეთ:
 მალღობები და უღელტეხილი.
 ჩვენ, ჩვენზე ვფიქრობთ,
 სხვანი ისევე ცალკე მიდიან და ბაისობენ.

აქვე იწყება ხშირი ხეობა ნაძვნარიანი.
 გაღმა - გამოღმა:
 ტილოების კარვები დგანან...
 ძველი მებრძოლი ახალ არმიელს
 სამოქალაქო ომის დროინდელ
 ვაჟკაცებზე ებაასება.
 მოვედით ორნი... მაგრამ ხომ არის
 ყველა ჩვენები!



რომ კიხვინებენ,
გასულ ბრძოლებით გამოწვრთნილი
თქორა ცხენები.

ტყეში დგას ახლა დასასვენებლად
ჩვენი არმიის ერთი ბანაკი,
და ყოველ დილით
აქ ზარბაზნები ჩამწკრივებულნი
მზეზე თბებიან...
მტერიც ისვენებს და... აგარაკი
როცა მზე ჩავა ცეკვავს... იცინის.
აქვე ყველანი საღამოობით
ასე ხარობენ ასე თვრებიან.

1928

ტყარო

ნაწილი პირველი

I

მოაქვს მდინარეს მთების სიმდიდრე,
 ღვარით მოზიდულ მძიმე ხორაგით,
 ბარში, ხეებით ყელ-გაბოგრილი—
 სოფლად; ყანებზე გადმოვარდნილა.
 იდგა მოხუცი მალალ ჯებირზე,—
 მალალი შუბლი ჩაქრობილ დღეთა;
 შორს შავ-ღრუბლებში ტან-გახვეული
 მზე მთების გაღმა იძირებოდა ..

„ჩემს სიცოცხლეში მოხდა მრავალჯერ,
 მდინარის ნადავლს როცა ვიყოფდით,
 მოუტეხია ბევრს აქ მარჯვენა
 ჩხუბით, შფოთით და აყალმაყალით.
 ახლა ეშვება ხევში ნისლების
 დამძიმებული კორიანტელი,
 და ჩვენს პირდაპირ ცის ერთი კუთხე
 გასარკულია და პირნათელი.
 ახლა, როდესაც სალამოვდება,
 მოაქვს მდინარეს ცხენი დამხრჩვალი,
 ალბად დიდი ხნის ნაჩალანდრალი,—

ცა ჩამოგვეყურებს სველ ვარსკვლავებით
აქ თქვენთან ერთად ვხედავ მდინარეს,
როგორ ჩამოაქვს მთელი ხეობა...
აღბად ის ნაძვი, ვეებერთელა,
ნაპირებს ყელში, რომ ებჯინება, —
საუკუნის წინ, ჩემებრ ბებერი
მიუვალ კლდეზე თუ წაქცეულა.
ო, რა კარგია აქ თუ მოზიდა
ეს მოხეტიაელი მთების დოვლათი,
შეშით ავივსებთ ყველა ეზოებს,
აიმართება ოდები რკინის,
ისლით ნაზვინი ძველი სახლები
აწითლდებიან ახალ ყავრების
სპილენძის ფერი სახურავებით.
აი მდინარე, ერთი დღის წინეთ
რიყის ქვებში, რომ იკარგებოდა,
ისე აღიღდა, ისე გაბრაზდა,
ლამის სოფელი ჩვენი წალეკოს,
თან ჩაიტანოს ნაპირ-ნაპირას
ტყე და სიმინდის ლურჯი ყანები...
მოაქვს მდინარეს ხე ფესვიანად,
წყლით გაბერილი პირშავი ძროხა,
მოაქვს მდინარეს აღბად მწყემსია,
ჯოგს, დასახსნელად გადაყოლილი...
მდინარე მღვრიე სადმე ჩასილავს,
დამხრჩვალს, ლოდებზე თავ-დაჯახებულს,
მუცელ გაბერილს, ქვიშიან წყლითა,
და ჯალაბისთვის უგზოდ დაკარგულს,
მთელი სოფელი მწარედ იგლოვებს
მის ჩოხის ნიშანს, გატენილს ბამბით.

ასე დალამდა, მძიმეთ გაშავდა
 მთელი სოფელი და ცის თალები,
 კერასთან მჯდარნი ჩოხებს აშრობენ
 და კანტი-კუნტად ყეფენ ძაღლები.
 სხვენში ქალამნის ტყავი ჩამოხმა,
 დაბლა შოხუცი აბოლებს ჩიბუხს,
 და სადღაც მარტოთ, ისევ ბოხი ხმით
 იბღაველა გარეთ დარჩენილ ძროხამ.
 ფიქრობს მოხუცი:—გაყვა, უთუოდ
 ამ წყალ-დიდობას მწყემსი ჯოგითა,
 ეგებ ვინ იცის, ცოდვა გადიდდა,
 და ჩემი შვილი, ტყვეს შეხიზნული
 იხრჩობა, ბორგავს შუა მდინარეში.
 შავი ლამეა, ნაღვლობს მოხუცი
 და თვალებს ძილი არ ეკარება...
 გარედ სიმძაფრით უბერავს ქარი
 და ღრუბლებს მთებში მიერეკება...
 კერაზე ციცხლი ქრება თან და თან,
 როგორც მოხუცის ძველი ზღაპარი...
 და მანძილია, გათენებამდი
 თვალების ძილით ჩაბნელებული.
 „ეხ, რაც იქნება!... წამოდგა იგი, —
 საკუთარ იღბალს ვერ გაექცევი“. .
 მოიგდო ზურგზე ხის გრძელი საჭე,
 მდინარისაკენ მიეშურება,
 მოზიდულ დოვლათს რომ დაეწიოს.
 გარედ ლელეებს აღიდებულებს
 წაულეკია ყანის ნაპირი,



და უცებ ისე დამშვიდებულა,
 როგორც ქუხილი მთაში გაჭრილი.
 მისდევს მოხუცი გზას ტალახიანს,
 შარვალ-აკეცელ, მუხლებ-შიშველი...
 ყანა დახრილა მიწის მკერდამდის,
 ცა ახურია სახე პირშავი.
 თედომ მდინარეს საქე დაარტყა
 და მოახვედრა ხეს, წყლით გაბერილს;
 მოსწია ძალზე ტან-შავი კუნძი...
 წაუცდა ქუსლი, თითქმის გადაყვა,
 მან ნაპირ-ნაპირ გადმოათრია
 მკერდის ძალღონით საგობე ცაცხვი.
 შორს კი მაძლარი მთის ხეობებში,
 შავი ძონძები ველარ ეტევა...
 გამოდის ტყიდან წყლით გაბერილი,
 მუცელ ჭაობი, მთვარე ნოტიო.

111

ასე ტრიალებს ყოფის ბორბალი,
 მოხუცდა თედო, დააჩნდა კუზი,
 გააგდო მწყემსის გრძელი კომბალი
 და თავის ქობში გობებს აკეთებს.
 დროება შავად დაუღევეია,
 ეს სილარიბე მაინც ალონებს,
 წინ სიღუბქირის დიდი მთებია
 და სიჭაბუკის ჩაქრა ძალღონეც.
 შვილი კი მისი ტან-ახოვანი
 დაუდგა ტყაჩოდ ვილაც დადიანს;
 და გაიშენა შვილმა კარავი
 შორს გადაკარგულ, ნაძვების ტყეში.

სადაც ნაძვების რაზმი იწყება,
 ღრუბელთ ქვეშ ორბმა გაიჯირითა,
 ხეებს ვაჟკაცი თავდავიწყებით
 აუმღერდება ყოველ დილითა.
 აღარ უგრძენია ბედნიერება,
 ვაჟკაცს ეგზომად ჯერ თავის დღეში:
 მღერის, მოსძახის ხეებს ვაჟურად—
 ხმა მიხმაურობს, ხევიდან, ხევში.
 მომღერალ გუნდათ შემოესევა
 გამთენიისას ფრინველთა წყება,
 ტყეების მცველი ქცეული სმენად
 ეძლევა ისევ თავდავიწყებას.
 ამ დილით ქროდა ნიაფი სველი,
 ტყე სიჩუმეში იფარებოდა,
 შორეულ მთიდან მზე ამოსული
 მთებიდან ტყეში იკარგებოდა.
 ტყაჩოს გონია არ დაბერდება,
 იქნება ტყეც და მისი კარავი,
 მაგრამ წალღებით მოვლენ ბარიდან
 და ტყის სიხარულს მოიპარავენ.
 გავიდა დროც და მოულოდნელად
 სევდამ შეიპყრო ქაბუკი ტყაჩო,
 ტყე იქცეოდა, პატრონის მიერ
 შეუბრალებლად ამოჩეხილი.
 ტანასროლილი წყება ხეების
 რიგ-რიგ ერთმანეთს, რომ ეცემოდა,—
 იდგა ქაბუკი ხელებ დაკრეფით
 და წამწამები ეცრემლებოდა.

მთებს გაშიშვლება არ მოუხდება,
ტყე შრილებდა, ტყე ირზეოდა,
წყეული იყავ, მხეცო, ბატონო
რომ ამოვლიტე მთელი ხეობა!
ზურგით ესროლა ქეები და წყევლა
იქაურობას და თავის კარავს,
შემოტრიალდა, მთებს აეკიდა
და მთის კიდევებს ამოეფარა.

V

ცხრა მთების იქით შემოალამდა,
ტყე ნახა აქვე და იქადნება,
დგას სარდალივით ნაძვი მალალი,
გარს ახვევია რაზში ქედების.
აქ ხის ძირიდან ხელის გულივით
ცა მოსჩანს მხოლოდ ერთი ვარსკვლავით,
და ტყაჩო გრძნობს თავს, ვით დაკარგული
მთაში ნაწვიმარ დღის ნაკვალევი.
მთებია ირგვლივ, მხოლოდ მთებია,
დგანან ხეები ტან-დაბურვილნი,
შტოები შტოებს უერთდებიან,
ამოხეთქილნი მიწის სურვილით.
კივილით ქოტი თვალებს ნაბავდა,
მთა ოქროს ნისლებს შლიდა ბოლივით.
შემოიხურა ტყაჩომ ნაბადი
და ძილში, სიზმარს გაყვა ბოლომდი.
ტყე ხარბად სუნთქავს სიჩუმეს ღამით,
ხეები დგანან დარაჯებივით,
ესროლა მთვარენ ფერ ცივი ლანდი
უკანასკნელად მთების ჯებირებს.

ფიქრობდა ტყაჩო სალამოისას,
 ველარ მოაგნებს აქ დადიანი,
 დილით ქულაჯა ისევ მოისხა
 მოხედა ირგვლივ ტყეს მადიანად.
 მობრუნდა, ნახა შხეცი გზის პირას,
 ესროლა, დაქრა ტყაჩომ ნადირი,
 ბებერი დათვი შემოტრიალდა
 და მტარვალს ეცა სისხლ მონადენი.
 ორივ ბრაზდება, ორივ ხელდება,
 ებრძვის ერთმანეთს ორი ველური.
 და ბოლოს დათვი თვალეზ დათხრილი
 ეცემა, ხანჯლით გამოგრეული.

VI

აქ უპატრონოა მიტოვებული
 შემოიხაზა ტყაჩომ მიდამო;
 ვინ ითავებდებს, შემომიტიოს,
 დავისაკუთრე ტყე ამ მთიდანო.
 ბასრი ფესვებით, ქედ მოუხრელი,
 კლდეზე ბებერი ურთხელა იდგა,
 და ბარელთათვის ხელ მიუწდომელს
 ამოვარდნილი ქარიც ვერ ხრიდა.

VII

ააგო ოდა, ყავრით დახურა,
 კარავი, სხვაც და ჯოგის ბოსელი,
 თან გაიჩინა მოსამსახურე
 ოდნავ ძონძებით ტან შემოსილი.
 გასულა ტყაჩო, შორს, შორს აბრაგად,
 ვინმე მგზავრები გაუძარცვია,
 შეუძენია ჯოგი ძროხების
 და დალუპვასაც გადარჩენილა.

შემოუგდია ზურგზე ნაბადი,
და ლაფშას რბენით თვალ განაბული,
როგორც ბოროტი, კაცი ორგული
მთებში უკვალთ გადაკარგულა.
მთიელთა ფრჩხილებს კლდე დაუთხრია,
აქ კლდეებს შორის ვიწროა შარა:
ეს ბილიკია საბედისწერო,
ყაჩაღებისთვის გზა უშიშარი.
მწყემს დასცემიან, სისხლიც დაღვრილა,
და წამოუსხამთ გასაპარავად
ამ გზით, გამოღმელთ, გაღმელებისთვის
ძლიეს წართმეული ჯოგი და ფარა...
ახლა მაყრული მათი გაისმის,
ისევ ხევ და ხევ მოიმღერიან,
საბედნიეროთ დადგა მაისი,
ტყაჩოც უზომოთ ბედნიერია.
შუა ლამეა, ტყეში-ეცემა,
მთიდან ნასროლი, მთავრე გვიანი;
გადმოიყვანა ტყაჩომ ცხენიდან
გოგო ლამაზი, გიშერ თმიანი.

VIII

ამოვა ზღვიდან შავი ღრუბელი,
და ქედებს ირგვლივ შემოეხვევა.
ხან ხეობებში დაიგუბება
და იბურება ოდა ტყაჩოსი.
ხან ქარი დგება ციცაბოებზე,
ყევენ, ღმუიან მწყემსის ძაღლები;
ხან შავ ღრუბლებში ბორგავს ცა და მზე,
ხან გამოჩდება ელვის თაღები.

მოგა მაისი, მთის წყაროები
 ამოხეთქავენ მიწიდან შტოებს;
 დგება სიჩუმე-დღეების დარდი
 და სიველურე ტყაჩოს მუშტების.
 ახდება ასე მწყემსის ლოდინი,
 შორი მთებიდან, მთებს გადასული...
 როცა რიერატი მზეს ამოდენის,—
 არის სიცხე და ნაძენარის სუნი.
 ზღვაში მზე თაფლის თვალებს დახუჭავს.
 ყუჩდება ლამე მთებში ისევ,
 და შეირხევა ტყე და ხეობა
 ათქორებული ნამის სისველით.
 ტყაჩო სიჩუმით განაწამები
 დაესაკუთრა ტყეებს მუშტებით...
 მიდის დღეები,—მზის წამწამები
 ქრებიან როგორც საპნის ბუშტები.
 მისი ცხოვრება არის ნაძენარი,
 რაა ცოლი ან, რაა მშობელი,
 ტყაჩო ხეებით გაუმადლარი,
 ბარში სიცოცხლის არის მგმობელი.
 დიდი ხანია აღარ უნახავს,
 აღარც დედმამა, აღარც კერია,
 ნაძენარში მისი წაბლის სახლია,
 ნაძენარი მისთვის ყველაფერია.

აღარ უვარგა შურემს ბორბლები,
 თხელია, როგორც ღვედის სარტყელი;
 დადგა მოხუცი ხვეულ ბილიკზე
 და ითესება დაბურულ ტყეში.
 მიყვება ძალლი, მოხუცი თედოს
 ერთგული მცველი და მეგობარი,
 გაირბენს წინ და გზაზე მოუცდის
 ლამის მყეფარი და უშიშარი.
 ეს უკვირს მაინც რათ გაველურდა,
 როგორ დაიპყრო ამ რიგად მთამა:
 შეიღს დაავიწყდა ყანის ველები,
 და სად ბინადრობს არ იცის მამამ...
 დღეს ახსოვს კლდეზე ძველი ურთხელა
 ბარში, საფიცრედ, რომ უნატრია,
 მისი თვალეები, პირალმა მშერით
 ამ ხის მწვერვალზე დატყვევებულა.
 ლამდება, ნახავს მზეს სახვალისო,
 ძალღს ლამეები დაუფლეთია;
 ეს აიმედებს და ახალისებს
 რომ მგელი გარბის გულგახეთქილი.
 გზაშიაც ხშირად შემოიღამებს,
 და ძილში ისევ წვრილმანზე ბოდავს,
 ფიქრობს მოხუცი და აგონდება,
 სად გასაღდება მისი გობები...
 მიყვება ისევ... გამთენიისას
 მოიგდება ნაბადს, გუდას და ნაჯახს,
 და სადმე ტყეში დაითესება,
 რომ შეარჩიოს შურმის ფესვები.

XI



ნახა ვარსკვლავი მოწყდა ცის კიდურს,
 გაიელვა და ხრამში ჩაეარდა:
 „გადაყვა ალბად კლდეციცაბოებს
 თეთრ ცხენიანად მეჩალანდარე...
 თედოს წარბები გაუთამაშდა
 და მხოლოდ ერთხელ იყეფა ძალღმაც,—
 „სჩანს აღარ ვცდები: ძვლებ დამტვრეული
 კვდება უთუოდ მეჩალანდარე“.
 ცის კიდურს მოწყდა ისევ ვარსკვლავი,
 დაეცა ალბად სოფელ ნაჩალარს...
 მივიდა ახლა ასეთ დასკვნამდი:
 „მოკვდა ნამდვილად მეჩალანდარე.“

XII

ბევრი გამქრალან მას შემდეგ წლები
 ცას მოწყვეტილი ვარსკვლავებივით,
 თედო ნაცნობი ადგილს ეწვია
 და დაიკრიფა წელზე მკლავები...
 „ოდესლაც მაშინ, ისეა ახლაც
 მაინც და მაინც არ გამოცვლილა,
 რამდენად შუაგულ სიღრმეში შეხვალ
 გაკვირვებს, მხოლოდ არ გაოცება.
 აი ის ნაძვი, აქა დგას ისევ
 შეზრდილი მიწას დედის მკერდივით,
 ხეების ჯოგი ფერდობებს მისდევს
 ხევიდან ხევში გადაფერდილი.
 უსარგებლოა, ველარ გაიტან
 ალბად ამიტომ არვის სდევნიან,



არ ვიცი ახლა, სიდან, საიდან,
 სიკაბუკის დროს დამირბენია.
 აი ეს არის, იგი ურთხელაც,
 მისი ხსოვნა, რომ გულს ჩამრჩენია
 ვხედავ ფესვები უკვე უხმება
 და დგას შიშველი, ცოცხალ-მკვდარივით.

XIII

მოიხსნა ზურგზე გულა, ქულაჯა,
 ახსენა ღმერთი, კარგად ოჯახი,
 ხეს მოუქნია თედომ ნაჯახი,
 უცებ შეჩერდა, აყვა ტყის შრიალს—
 ყური მიუგდო იქაურობას.
 დადგა მზე მშვიდი ქედის გავაზე,
 გრდემლზე ცუცხლივით იშლის ნაწნავებს,
 უყურებ, როგორ შემოგთავაზებს
 დალამებისას სხივთა წამწამებს.
 ხეს მოუქნია ისევ ნაჯახი
 და ააჩქარა თან რიგ-რიგობით,
 ხევი კიდევებს ხმაურს აჯახებს
 და კიდევებზე მთვარე გაღმოდგა.

XIV

თედო არ ამჩნევს: კვამლი ამოდის,
 ტყეში, იქ სადაც არის ოჯახი...
 ქალი მეუღლეს კართან მოელის,—
 ქმარს დაუმზადა ცხელი ელარჯი.
 თედომ არ იცის: აქ მობინადრე
 ტყაჩომ, რომელიც შვილია მისი,
 შესაძლო არის ხის მოქრისათვის
 კაცი მოკლას და დაღვაროს სისხლი.

XV

მოვიდა ტყაჩო, ხმა ცოლს ანიშნა,
 ქალმა შიგნიდან კარის ურდული
 მოსწია ძალზე და ქმარს შემოყვა
 ძალი გებენი, ტან გაშურდული.
 კერაზე ცეცხლი თითქმის ჩამქრალი
 ააღადარა ცოლმა მაშინვე,
 შავი ტაბაკი კედელს ჩამოხსნა
 და ქმარს ვახშამი გადაუშალა.
 ტყაჩომ შეხვრიბა კართხა მაწონი,
 გაიმეორა ასე მრავალჯერ,
 უღვაში ჩოხის კალთით გაწმინდა
 და დაატანა ცხელი ელარჯი.
 შემდეგ მიმართა ერთგულ მეგობარს,
 რომ მის წინ იდგა მალალ ერჯივით:—
 გებენ გარბენილს, შეუბრალებლად
 რამდენი მგლები დაგიგლეჯია!

XVI

ახლა, როდესაც გვერდით მიუჯდა
 მეუღლეს, მკლავი ძალზე მოხვია,
 მეუღლე თითქოს გაუჯიუტდა
 და პირზე ჩადრი შემოიფარა.
 კერაზე ცეცხლი უფრო ჩააქრეს
 და მხურვალ ალერსს როს ეძლეოდენ,
 მოისმა მაშინ ხმები ნაჯახის...
 ავარდა ტყაჩო, წაქცეულ ხის ხმას
 მოყვა ხრიალი უზარმაზარი..
 ტყაჩომ მოიგდო შავი ნაბადი,

იშიშვლა თოფი და სანამ გარეთ
 ფეხის გადადგმას მოახერხებდა, —
 ცოლი მუდარით გადაელობა:
 „დარჩი ამელამ, ნურსად გარბიხარ,
 ძვირფასო ნუ ხარ გაუმაძლარი,
 შენ ჩემზე რატომ გიყვარს სიხარბით,
 ტან ასროლილი ნაძვი მაღალი?
 — ერთხელაც ჩემთვის გამოიდარა
 ტყე დავიუფლე, ტყე მოვაშენე,
 მთების პატრონი ვიყო მდიდარი,
 მე ხეებს მიტომ არ მოვეშვები.
 ცულით, წალღებით მოვლენ ბარიდან:
 ჩემს მოძახილზე იპარებიან,
 ტყე ჩემია და ნაჯახი მცველის
 ერთხელაც აღარ მიკარებია.
 გულ გაბერილმა მიმართა გებენს;
 გებენ, გადახტი კლდიდან კლდეებზე,
 ეტაკე ისე შეუბრალებლად,
 რომ ტვინი ლოდზე გადმოუნთხიო!..
 თედოს მოესმა ტეხა... შრიალი...
 მან, მოკრილ ხეზე მჯდომარემ ნახა:
 ელვის სისწრაფით ტყიდან გადმოხტა
 ძალი მგელივით გახელებული...
 აი ეს არის, დაგლიჯოს კაცი,
 მაგრამ მოხუცმა ბასრი ნაჯახი,
 გაუსწორა და ძალი ბარბაცით
 შემოტრიალდა, შუბლ გაჩეხილი...
 გადმოადინა ტვინი და სისხლი
 ჩავარდნილ ყეფით, შქერის ფოთლებზე.

წამოდგა თედო გაფითრებული:
 „ვილაც ამ ტყეში დასახლებულა“...
 ტყაჩო კი, მსხვილ ხეს აფარებული
 თოფს უმიზნებდა ქალარა მამას.
 ტყაჩოს ეჩვენა სახე ნაცნობის
 „ვინ არის ნეტავ, რომ ემსგავსება
 ეს ვილაც ქურდი თითქოს მამაჩემს?“
 მოხუცი იდგა კვლავ მოჭრილ ხეზე,
 მისივე ძაღლი, გაოცებული
 იყო შრიალზე აყეფებული.
 ტყაჩომ იფიქრა, გულშებოჭილმა: —
 „ტყეში დამეცა, ძაღლი მოკლაო“.
 ამასობაში თოფმა იჭექა...
 მოხუცი თედო მიწვა ლოდებზე
 ბერდენკის ტყვიით გულგაპობილი.
 ცოლმა, კივილით ჩამოირბინა,
 ქმარს თავს წაადგა: კაცი მოკალი?
 მიიღო ქმარის მშვიდი პასუხი:
 ამ ტყეში ორი, ჩვენ ვართ ბატონი:
 მე და გებენი: მოკლა, მოკალი!
 მოვკალ ვილაცა გულგახელებით,
 სისხლი დავღვარე ტყის დასაცავად;
 არ გაამხილოთ ჩემო ხეებო!
 არ გაამხილოთ მთებო და ცაო!

XVII

ქალებს სჩვევია ცუდი ამბავი,
 საიდუმლოს ვერ შეინახავენ:
 „გიმხელ მხოლოთ შენ, გულს გაბარებო:
 ვეტყვი ჩუმად და არვის უთხრაო“.

იცი ძვირფასო არ გაამხილო,
ეს ქვეყანაზე ანდო არავის,
თორემ ცოცხალი ველარ გამოხვალ
და დაიქცევა ჩვენი კარავიც.

XVIII

ტყაჩომ იფიქრა: „გებენს სათლავი
გაუპო უნდა რჩეულ ადგილზე,
სიკვდილი ძაღლის გულსაკლავია,
პატრონისათვის არა ადვილი.
იგი მოხუცი, როგორც დამცემი
საკუთარ ტყეში შემომპარავი...
გადავაგდებ და კლდეებს დაცდება —
ხრამში ლოდები შეიფარავენ.

XIX

მოხუცს პირაღმა ლოდზე მიწოლილს
მოსდის მკერდიდან სისხლი ზოლივით,
ეფრქვევა შუქი მთვარიდან პირცივს, —
თითქოს ერთმანეთს გვანან ორივე.
აქ ტყაჩომ უცებ ამოიბლავლა:
ეს ვინ მომიკლავს? სისხლი მოსდივა...
ტყაჩომ ასწია თედოს სხეული
ჟაკე ქვასავით გაცივებულ.

XX

კუბოს მაგიერ მონახა ტყეში
ხე ფოტორო და, მოხუცი მამა
ჩასვენებული, დამარხა ღრეში —
არ გაამხილოს ლოდმაც მთისამა.

მოკლული ძალლი, მისი გებენი,
წევს მამისებურ კუბოს ამარა, —
ტყაჩომ ეზოში მიწა გააპო
და გულის სევდით დაასამარა.

XXI

ლამდება, ტყაჩოს არ ეძინება,
ახსოვს ოჯახი, ახსოვს სოფელი;
იყო სიმდიდრის მაძიებელი
და მამის სისხლი ლოდზე დაღვარა.
ტყაჩოს ისევ არ ეძინება,
ბორგავს კარავში შიში აბოდებს:
მამა და მთვარე გაცივებულნი
„მოდიან“ მისკენ გუდა ნაბადით.

XXII

ტყეს შთის ღლიავში დასძინებია,
ლამე ძარღვებში შიშით გაგივლის,
მთებს რამდენი დღე გასთენებია
და დალეულა ტყეში დარდივით.
გრძელდება ისევ სიჩუმე მკვდარის,
გგონია მუდამ ასე იქნება
უსაქმო მთების მზიანი დარი
და უსარგებლოთ დღეების რბენა.

XXIII

ეს ლამეები ტყაჩოს აწამებს,
წუხელ სიზმარმა ისე დაახრჩო,
ხელის განძრევას ვერ ახერხებდა,
მას მოეჩვენა მთვარე და ჩონჩხი.

აქ შეიძლება ჭკუას გაშორდეს
მოჩვენებებით ენა ებმება,
და შიშისაგან ძარღვებ გამწვარი
კიდებშიაც გადაიჩეხოს.

XXIV

და ტყაჩოს გული ისე უბორგავს,
თავის მკვლელობაც კი გაიაზრა,
კრა ხელი თოფს და... სთქვა გაბრუებით
მთაში სიცოცხლე მაინც ტკბილია.
მაგრამ როგორ ქნას, დადგება ღამე,
მას ბნელ კარავში მოეჩვენება:
მთვარე და ჩონჩხი, და ჩვენი ტყაჩო
თვალს ვერ გააღებს გაფითრებული.

XXV

გამთენიისას იცვამს ქალამანს;
გადათასმა და შეშლილივით
გაბრუებული გარეთ გავარდა;
სხეული ისევ მას ემძიმება,
ძლივს ფერდობებზე გული აზიდა,
მიყვება ბილიკს ციცაბოემდი
თავბრუდასხმული, თოფით მზარზედა...

XXVI

ტყაჩო ციცაბოს მზრებზე შემდგარი
მთებს და მის კალთებს გულით ინახავს,
სადაც კლდეებზე შველი გაირბენს
ცხენი ულავი დგება ქიხინით,
ცემა ფლოქვების კლდეებს არხევენ,
სად კლდის აფრებზე ქარი დაქრილი

დაბლა მოდენის მწყემსების ნახირს —
 ტყაჩომ ციცაბოს ზურგი დასტოვა...
 მოყვება ნახირს და ეჯახება
 ღამე მთვარიან ზნით დატვირთული...
 ამბობს მოვკალი... მერე ოჯახი
 მოელის ალბად მის დაბრუნებას,
 მაგრამ ბედკრული მთაში მარხია...
 გავა დღეები, ჩაქრება კერაც
 ღამეებით და ქვრივის ცრემლებით...
 დაწყნარდი გულო, მამის მკვლელობა
 შენ უცაბედად არ გაამზილო...

XXVII

ერთხელ ეს ტყაჩოს მოულოდნელად
 ეზოში რაზმი მიწვა ჯებირზე,
 ტყვიათ ზუილი აღარ ცხრებოდა
 ბარში ამბოხით დამარცხებულთა.
 დაღამებამდის იყო ტყეებში,
 ჩასაფრებული რკინის რიგები...
 უკანასკნელი ჩაქრა შეტევა
 თავგამეტებულ ბოლშევიკების.
 და შეწყდა ბრძოლა პარტიზანული...
 ტყაჩო ფიქრობდა: — ყაჩაღებია,
 ალბათ ერთმანეთს დასევიანდ...
 ტყაჩოს კარავში გაჩნდნენ ერთბაშათ
 გამარჯვებული გვარდიელები;
 ორნი კი, გარეთ ნახირს ზვერავედნ,
 და გამოლადრეს ორი მოზვერი.

XXVIII

გადაირბინა დილით მანქანით
 მაშინ უცხოელ ავიატორმა,
 ტყაჩო ფიქრობდა: თუ არწივია
 ზეცას ზრიალით რატომ მიამტვრევს...
 ქარი არ ზუის, ქარი არ წივის,
 ძირს სიჩუმეა, ტყე და ხეობა
 თითქოს ერთბაშათ გაქვავებულა.

XXIX

ეს ადგილები არის ნაცნობი,
 რაზმი აქ ლოდებს აფარებია;
 მთებიდან იგი ისევ ამოვა
 ვინც აქ ბრძოლაში დამარცხებულა.
 აქ გამუდმებით სცემდა ჩახმახი,
 ისროდა იგი როგორც სკვითელი,
 ლოდებს, რომელსაც სისხლი შეახმა
 ნაცნობია და არის წითელი.

XXX

მან გადმოლახა ღამით მყინვარი
 მიწის გულიდან მზე ამოიღო,
 მთების ხმაურში როგორც მადანი...
 აქ თუ ოდესმე ტყეში შრებოდა
 დღე ბამბასავით, დარდი ველების,
 შეირხა ქედი, ვით სამჭედლოში,
 მთები სუნთქავდა საბერველივით.
 ქარმა ბარიდან ღრუბლების ნაცვლათ
 ამოიტანა სუნი მაზუთის.
 და მყუდროებით გულგამოცლილი
 ხევი ლალუმმა გადმოაბრუნა.

აღმოჩნდა წყლები მინერალური,
 და ახალშენებს დასასვენებელს
 გულ გაღელილნი, რომ აშენებდენ,
 ტყაჩო გადმოდგა და ჯებირიდან
 მოძალადეებს ასე მიმართა:

„თქვენ ეი, ვინ ხართ? ჩემთან რა გინდათ?

ტყეებს რათ მართმევთ მამაპაპეულს?

ტყაჩომ მიზანში ერთი აიღო,

სისხლის დაქცევით შური ეძია,

მაგრამ მუშებმა თოფი წაართვეს,

მოხუცს ეგზომად გულგაცხარებულს...

ეკითხებოდენ: — ვინ ხარ მოხუცო,

ან და ამ ტყეში ბინა რატომ გაქვს?

„— წლები მრავალი ჩაქრა მას შემდეგ,

რაც ტყეში ტყაჩოდ დავბერებულვარ,

თქვენ კი გუგუნით აღარ მასვენებთ

და აქ მესტუმრეთ ვით უღმერთობა.

— აა, შენ ტყაჩო ხარ? მერე დიდი ხნის?

არ შეგიძლია ბარში იცხოვრო?

მოგცემთ თუ გინდა მიწას ნოყიერს,

ან თუ ტყეები ასე გიზიდავს,

შენ ჩაგაბარებთ ქედების კალთებს,

დაიცავ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე,

გექნება მუდამ შენ გასამრჯელო.

აქ კი ვაშენებთ ახალ აგარაკს,

რომ მოვახმაროთ ეს მთავე წყლები

ბარში ციებით გაყვითლებულს.

ტყაჩოს აემღერა ლურჯათ პარსახე,



მობრუნდა უკან, სიტყვა ველარ თქვა,
 შედგა კარავში მძიმეთ ფეხები...
 დაიწყო ბოდვა... „ტყე ჩამომართვეს...“
 ეს საკუთარი ჩემი სიმდიდრე...“
 დადგა შუა ლამე, გაფითრდა სრულეზ,
 ვერ დაეძინა, დაშრა ძარღვები,
 სისხლი მოაწვა მოხუცს ყელამდი,
 შებოჭა სუნთქვა... გაიბორგა და
 როცა გაშეშდა ბებერ ხესავით,—
 გარეთ აყეფდა ძალლი ობოლი...

XXXII

ცაზე ელავდა ელვა-გრეხილი
 ერთხელ მოხუცის წამწამებივით.
 ხარობდა ტყე და სულ სხვა ხეხილი
 ველურ ბუნებით განაწამები.
 ცაზე გარბოდა ელვა გველურად
 და ქარი ნაძვებს ქედებს უხრიდა,
 იხოცებოდა ისევ ველურად
 ღრუბლების ჯოგი ხევში ქუხილით.
 ტანჯვას ვერ იტანს მოხუცის გული,
 მოკვდა ველური ტყაჩო ქედების,
 და შედგა, მთაზე მზე მოგზაური,
 დღეების ურიცხვ შემოქმედებით.

30/IV 27 წ.
 ტფლისი.

არ ვარ ნივთი და
მიწა იჯარად
ქმარის მამულში
რომ ჩავირიცხო

ზ ა რ ა

ჩენი გაცნობა ასე იწყება:
 ჭერქვეშ ერთმანეთს მოგკარით თვალი:
 ბრძოლაში ჩენი თავდავიწყება,
 ბრძოლაში მე და მებრძოლი ქალი.
 ჭერქვეშ ორივემ ერთი გზა ვნახეთ,
 გულებმა იგრძნო აქ სიყვარული:
 ზარამ დასწყევლა მტარვალის სახე,
 ზარამ გამართა კრება ფარული.
 ზარას აცვია რუხი მაზარა,
 თავზე ახურავს ქუდი კრავისა,
 ცეცხლი და ტყვია მოიხაზირა,
 რომ მოიხმაროს ღონე მკლავისა.
 მტრის გვარდიით ვართ გარშემორტყმული,
 ველით ამელამ განადგურებას,
 სწყურიათ ჩენი სისხლი და გული
 და სამარეში დასადგურება.
 მრავალთა დევნას ვერ გაუძელით,
 ამელამ სადმე გადვიჩეხებით,
 მიგვეყვება ზარა თან მაუზერით
 და ჩვენთანაა რაზმი რჩეული ..

გოგო-ბიჭები მიიმღერიან,
როცა ყუმბარა სკდება მეხივით:—
ეს ალბათ ირგვლივ ჩვენი მტერია
ზარას გარშემო შემოხვეული.

ვხედავ ისევე მიიმღერიან:

„შუა ღამეში სროლა გაჩაღდა,
ეს ალბათ ზარას მაუზერია
ქალი, რომ ტყეში დადის ყაჩაღად.“

მის შემდეგ გაქრა წელი, ორი, და
(იციან სისხლიც ბევრი დავღვარეთ)
როდესაც ჩვენში შზე ამოვიდა,
ჩვენც ჩამოვედით ბარში ნალარით.
ვინც გადაურჩით... მთებში დაღლილნი
ჯანი, ბრძოლისგან ძლივს მოვასვენეთ,
როს საბჭოების დროშა მალალი
გულს სიხარულის გრძნობით ავსებდა.
როცა გმირების ქუხდა სახელი,
ზარა გიწოდეს მაშინ არწივი;
მოზღვავედა ხალხი, თვალეზ-ახელილს
რომ სიხარული დაენაწილა...
რბოდა დღეები... შურისძიებით
ზარა დავლიეთ სისხლი მეფური,
მაგრამ სადღაა მკერდზე ბიები
ვნებით და სისხლით დამწიფებული.
აქ უცებ აზრმა გაინებივრა,
რადგანაც კვლავ გულს ვერ ეგულები,—
ზარა თუმც ისევ მეგობრები ვართ,
აღარ მიყვარხარ მაინც სრულეგბით.

ზარას უეცრად ფერი იცვალა
 სახე ერთბაშათ აელადარა:—
 ქალი ამდენხანს მთებში ვიწვალე,
 ქალი ვის უნდა ნაყაჩაღარი?
 ესთქვი:—რათ არ მინდა მასთან ვიყო მე,
 ხომ მთებში ხელი გამომიწოდა,
 რათ არ შევიძელ ისევ მიყვარდეს
 ზარა, რომელიც ჩემთან იბრძოდა.
 მობრუნდა ზარა, სთქვა გალიმებით:—
 გახსოვდეს მაინც დღეს სამაზრკომში:
 ქერქვეშ ბრძოლაში გამოვლილ, დაღლილს,
 რომ მეუბნები ვნების კომშებზე...
 დავშორდით, როცა მზე გადახრილი
 გაცდა აივანს სამაზრკომისას,
 კიოდა გულში მთების ძახილი,
 და ხმები ზარას მაუხერისა.
 რათ არ ვიფიქრო მინდა ამაზე,
 თუ ჩავიდინე დანაშაული,
 რათ მომეწონა სხვა სილამაზე—
 ვისაც ბრძოლის გულს ვერ გადაუშლი...
 დღეს მყავს მეუღლე და თავს უბრუებ,
 ვერ ვუმხელ რაც კი ტვინში გამივლის,
 მე მყავს ბავში და მას სწოვს ძუძუებს,
 საბავშვო ბაღის ერთი ყვავილი.
 ველარ ვენდობი ცოლს საიდუმლოს,
 რაც ჩემშია და ბრძოლის გულია,
 ოჯახი, როგორც სურდეს აბრუნოს,
 სხვა ყველაფერი, დახურულია...



გავიდა წლები, მას შემდეგ ზარას,
 ერთხელაც მინდა დაეინახაედე,
 ვიცი საქმისთვის მალე ვიმგზავრებ
 და ვფიქრობ გულში, როგორ დამხვდება?!...
 თუ წავალ მალე, ვფიქრობ ამაზე,
 ლოდინი მძიმე გულს ემატება,
 ალბად ახლობელ, ჩვენ ყრილობაზე
 შევხვდებით, როგორც დელეგატები.
 გამიხარდება: ჩვენი წარსული
 და მეგობრობა, სისხლის ზოლია,
 ქერქვეშელებთან, ერთად გავსულვართ,
 ორივეს ერთად, რომ გვიბრძოლია.
 კიდეცა უკვე მივემგზავრები,
 ვხედავ ბაქანზე რჩება მრავალი,
 ვზივარ და ვფიქრობ ისევ ზარაზე
 და ასე გარბის თან ორთქმავალი,
 ჩვენ წარსული გვაქვს ამხანაგური,
 ერთად დღეები ვატარეთ ბევრი...
 უკვე გამოჩნდა თანაც სადგური,
 მოადგა ბაქანს მატარებელი.
 მე სიახლოვე მისი მაქვზებს,
 ვიცი აქ არის, თვალი მოგჯარი,
 ზარა სალამი, ხედავ დაგეძებ
 თანამებრძოლი და მეგობარი.
 მე ახლაც მახსოვს: ჩვენი წარსული
 და მეგობრობა სისხლის ზოლია,
 ქერქვეშელებთან ერთად გავსულვართ,
 ორივეს ერთად ხომ გვიბრძოლია...

დგახარ ამაყად თმა გაპარსული,
გაშავებული ქალი ნახშირით;
ზარა მიაგმებ შენი წარსული,
ჩემს შემდეგ, როგორ, სად, ან რას შერები?
გახსოვს გითხარი: შურისძიებით
ზარა დავლიეთ სისხლი მეფური,
მაგრამ სადღაა მკერდზე ბიები
ვნებით და სისხლით დამწიფებული.

ამბობს: არაა გასაკვირველი,
რომ აზრებს ზღუდავს კიდევ წარსული,
მაინც ქართლიდან მე ვარ პირველი
დღეს მემანქანედ, ქალი გასული.
ჩამომრჩენ ბევრნი თუ მაგინებენ,
ცხოვრების კვანძი, თუ მაქვს ნახული,
დროს „ყაჩალობაც“ იყო ვინებე,
ქალობის საზღვარს გადალახული.

დღესაც დაღალზე ფიქრებს უნდება,
ქმრის მონობაში ანატირალი,
გააგდებს, ქუჩას დაუბრუნდება,
იმეძავებს და ხდება ტიალი.
თუმც მკერდს, ძუძუებს დასვრის მახუი,
აცდეს ცხოვრების შხამი და გესლი,
მითხარი მაინც რალას დაუშლის
ქალს, გაქანება მემანქანესი!

მზე როცა არის ძირს დაშვებული,
დღე მოოქროვილ სახეს ღებულაზს
და მემანქანე გაშავებული
მიაპობს ველებს, ატალღებულებს.

შორეულ ნივთებს შემოგისევნ,
როცა ტრიალებს სივრცე გარშემო;
და მემანქანე გარბის ისევე
მინდორ-ველებს ოკეანეში..



მე კი ვაგონებ: „ახლაც მღერიან:
„შუალამეში სროლა გაჩაღდა,
ეს ალბად ზარას მაუზერია,—
რომ დადიოდა ტყეში ყაჩაღად“...
ზარა გრიგალებს თუმც გაუძელი,
გახსოვს დროშები აგჭონდა ცამდი...
მაგრამ სადა გაქვს დღეს მაუზერი
სისხლიან წლებში გამონაცადი,

ის მეუბნება: ახალა წყება,
თუმც შემდეგ მრავლად მოგვეშველება,—
მაინც შეტევას პირველ დავიწყებთ
ჩვენ, განწირული ქერქვეშელები!
მე მიხარია: ჩვენი წარსული
და მეგობრობა სისხლის ზოლია;
ქერქვეშელებთან ერთად გავსულვართ,
ორივეს ერთად, რომ გვიბრძოლია.

28/X 1927 წ.

ამბავი არტემ ნაბრაბალის

ყურს ესმის როგორ სკდება მყინვარი,
ცას აკრიალებს ცივი ბორია,
და ვარსკვლავები დაბუდებულან
ირმის რქებიან ციცაბოებზე.
მთების დაბლა კი, ღელე ძირულა,
სვანის უბრალო წისქვილს აბრუნებს, —
იქვე ჩამოჯდა ლოდზე, მკვირცხალი
ტანად მაღალი ერთი აბრაგი.
ახლა ისვენებს მისი მუხლები,
როცა გულდასმით სწმენდავს იარაღს,
სვანეთის მთები თოვლით მოხრილი
„სახელგანთქმულად შემოიარა“.
შე-პირსახე და შემოზამთროლი,
ისიც ეს იყო კლდეს გადავიდა,
დგას მერეკელა ღამე და მთვარე
ამოსულია მყინვარებიდან.
ლოდზე დაეცა შუქი თოვლიდან,
ზეზე წამოდგა მაშინ აბრაგი,
ერთი მაღლობი, რო გადმოვიდა,
ღამის სათევად ბილიკს გაუდგა.



აქ შერეკელას ნათელია და
 სივრცე კრიალებს სიანკარეთი;
 აბრაგი მდუმარ წისქვილს მიადგა
 და დაკეტილი დახვდა კარები.
 გარედან კაკუნს აყვა მოხუცი,
 კერაზე მიმჭრალ ცეცხლს შეუბერა:
 ეი, ვინ ხარ! თუ არ მეცხვარე,
 ისევ მალვიძებ ნაშუაღამევს.
 ხომ სძინავს წისქვილს,
 გადმოდენილი, მხოლოდ ლოდებზე
 წყალი გადარბის...
 ისმის ბრძანებით:
 „ნუ მალოდინებ,
 მე ვარ მოხუცო არტემ აბრაგი“
 მოხუცმა იგრძნო მკაცრი სტუმარი,
 შეიპატიჟა მაინც გულცივათ,
 შეეჩვიენ და თან საუბარი
 ერთმანეთს შორის ცივად გააბეს: —
 ჭაბუკო არტემ, შენი სახელი
 ხევიდან, ხევში გადადიოდა,
 სადაურ სისხლით ხარ განახელი?
 სად ვისი დედას ცრემლი ადინე?
 — იცი მოხუცო, როგორ ტკბილია
 ცხოვრება კოშკში, ლამაზ ქალთანა...
 მე კი მყინვარი შემომივლია
 და სიჭაბუკეს ასე ვათავებ.
 მიყვარს, უყვარვარ მე მაგ გოგოსაც,
 მაგრამ ცხოვრება მასთან არ მიღირს,
 მოუკალ კაცი შარშან გაღმელებს
 და ვაჟკაცურად სისხლი ავიღე...

ამასობაში უცებ კარებთან
 გამოჩნდა კაცი, ვილაც მოვიდა;
 აბრაგმა ენა სწრაფ ჩაიკეტა
 და მოემზადა მის მოსასპობად.
 შემოდგა ფეხი ახალ მოსულმა
 და თავის დაცეცაც ვერ მოიაზრა...
 ბრძანა აბრაგმა მიზან-მოსწრებით:
 ნულარ იზრუნებთ გამარჯვებისთვის.
 შებოქილია ხომ ხედავ გზები,
 შენი ვაჟობა აქ რა რიგია,
 ძირს იარალი! ხელები ზევით,
 თორემ მკერდს სისხლი გადმოგდინდება.
 — მე მტრობისათვის აქ არ მოვსულვარ,
 არტემ ერთი ვარ, ნუ აღელდები!
 თუ შეგობრობის გახსოვს ამაგი
 ნუ დგახარ ჩემს წინ, როგორც აბრაგი.
 ანბანი ერთად ხომ გავიარეთ,
 როს ქუთაისში... ორნი შევედით,
 ახლა ხომ ხედავ, ვხედებით ამგვარად:
 ვით აბრაგი და კომკაეშირელი*).
 აბრაგი მიხვდა... მტრობა არ იყო,
 სხვა საქმეზეა ეს ამბანაგი,
 ფიქრობს: მხეცურად როგორ გარიყოს,
 თუმც არ აბრაგობს იგი ამბანად.
 იგი არიგებს, შენ ილუპები,
 ველარ ჩაიკრავ გულში მაგ გოგოს,
 საცაა ბოლოს, რომ დაგიპყრობენ,
 სისხლის ამღები თვალნათს მოვისპობს.

*) სოკრატ ჭკადუა.

წამო ქალაქში, დაგმე ეგ საქმე,
მე ვიცი შენთვის გზები აშკარა,
ვაეკაცურ გულით წიგნს დაეწაფე,
იქნები ძმაო შენ მუშუაკელი.
აბრაგის გული თანდათან მოლბა,
რაა მუშუაკი, როცა გაიგო:—
კარგია სწავლა, მაგრამ ბოლომდი
ძმაო ხომ აბრაგს მაინც გასრესენ.

| არტემ მანამდი ერთი საქმეა,
მოიკალ ამით ძველი ბუნება,
მტერი წამოვა მალე აქეთკენ
მრავალთ სიცოცხლის დასაბნელებლად.
დაუხედეთ აქა, ხომ კლდეებია,
ორი მრავალსაც წინ გადუდგება,
თუ ვერ დაგვითმეს, დააკვდებიან,
გზიდან ცოცხალნი ველარ გადავლენ...
— „წამოვალ!“

შზათ ვარ, — “ აბრაგმა ასე
იგრძნო სიამით ეს გარდატეხა —
„მოხერხებულად დაუხედეთ გზაზე
და ჩვენი რისხვა თავს დაატყდებათ.
წაეიდენ, გზაზე, ელიან როდის,
ჯალათთა ხროვა გადმოვა აქეთ,
დგას ქვებთან მხოლოდ ნაბადი ორი —
სადაც თამბაქოს ცეცხლებს აქრობენ.
სვანურ ქუდებით, მოკლე ჩოხებით
აი მოდიან, მოყავთ ისინი,
სამფეროვანი მემამბოხენი
ხელებ შებორკილთ მოასვენებენ.

ყურს ესმის ისევ სკდება მყინვარი,
 ცას აკრწალებს ცივი ბორია,
 და ვარსკვლავები დაბუდებულან
 ირმის რქებიან ციცაბოებზე.
 არის ბილიკი და, ასპარეზი,
 იქით ხრამი და აქეთ კედელი...
 გადმოვა სისხლი და ნაპრალებზე
 ყინვის დალალებს გაეკიდება...
 მაგრამ როდესაც ცეცხლი ერთბაშად
 წითლებზე უნდა დანთებულიყო,
 „აბრაგი“ კლდიდან სწრაფლ გადმოეშვა
 და დაიყვირა ისე მთებურად,
 გაიხმაურა ყრუ ხეობამაც,
 ჯალათები კი შიშმა დაბურა,
 და ისევ ხევა გაიმეორა
 ხევიდან-ხევში, ხევის ზარული.
 ჯალათებს გული ისე ერევათ,
 სიკვდილი ბურავს ტვინს დამბლასავით,
 „აბრავს“ მოსძახის, კომკავშირელი:
 მორჩა, სიკვდილი ჩვენ დაგასწარით.
 ვინც მოისურვა ისევ იბრუნოს,
 მიწის მეფობა... სხვა ამგვარები —
 მათ გამოგვზავნათ, ხელებ ბორკილნი,
 როს დაგეხოცათ ამზანაგები...
 გახსნეს ჯაჭვები და ბორკილები
 თვით ჯალათებმა ხევში ჩაყარეს...
 და სახეები ნასიკვდილევი
 მათ დიდხანს შერჩათ გაყვითლებული.
 გამთენიისას მთების მაყარი
 თავისუფლებას, რო იბრუნებდა —

მზის სადღეგრძელოს სვამდა ამაყად
ხელ შეუხები მათი ბუნება.
გამთენიისას, როცა კიოდა
ვარსკვლავებამდი ტყვია ნაგანის,
ხევიდან ხევში გადადიოდა
ამბავი არტემ ნააბრაგალის.
დღეები გასულ დღეებს არ გვანან.
გუშინ დღეობდა სისხლის აღება...
ჩამოდიოდა ნააბრაგალი
და სხვა შერმისის კარებს აღებდა.
ახსოვს მღეროდენ: რო გადმომდგარან,
მზის ციცაბოზე — აბრაგებია, —
ქალო იმაღე! შენი ბინაა
კოშკი ძველის-ძველ ანაგებია.
ახლა მღერიან: ქალო გამოდი,
დრო ჯერ ასეთი მთებს არ რგებია,
გინდა დღისით და გინდ საღამოთი,
მზის ციცაბოზე გადმოდგებია.

1927

შ ა ვ ა ც ხ რ ი ა

I

რ ე ბ ე კ ა ს ბ ა რ ა თ ი

— შორეული ქალაქში მეგულები მე გულო,
 შვილო, იბედნიერე და სახელით ამაშენე!...
 ბედნიერი დედა ხარ, — მეუბნება მე გული...
 სახით ჩემო გოგონაე ემსგავსები მამაშენს.
 იცი? ძალზე ახველებს მოხუცებულ საბასა,
 დლიდან დღეზე მოელის ქელეხობას სოფელი,
 ახურია საცოდავს დაფლეთილი საბანი,
 ბოდავს სულებს წინაპართ,
 პირ დაღებულ საფლავებს.
 ტანშიშველი ხეები ილუნება ზვინებით,
 ველებიდან ველებზე ჩხიკვი გადაიჩხავლებს;
 ხან ლაშქარი ჩიტების ქოხებს შეეხიზნება,
 ხან კი, ქარი მიაფრენს ქარვისეულ ყვავილებს.
 ნაჩალარი მინდვრები მდუმარებით მიშხერის,
 რქებით მიწას ბულრავენ ნიშა, ბულა ხარები;
 გაიტენა სიმინდით ჩვენი დიდი მალაზა, —
 დაიყურსა ნაყოფით ბალში ფორთოხალები.
 და ჩეროებს კედელზე ღამით აღარ ეშვება,
 იჭერს ლანდებს უენი და, — ძალზე მომკინარეა;

შენი სახელობის ხბო დედას ეთამაშება, მალე ხარი ვახდება, ხარობს მცენარესავით. იცი? გოგო, დედაშენს თმები აეჭალარა და ოხერი სიბერე ჩუმაღ შემოეპარა. მინდა შენი გათხოვება აღარ დავაგვიანო, მინდა ახალ ოჯახში, იგრძნო თავი ნეტარად. გოგო გიშერ-ნაწნავენს მოუარე ლამაზად და იცოდე რუსულად ნულარ გაიპარსები, შენ ისეთი თმები გაქვს, შეშურდება ავაზაკს, — მკერდზე დალალ გადმოყრილს, სახე გიაღმასდება. გოგო შენი ქალობა მინდა ისე ვიხილო, სამარეში საოცრად გაუხარდეს მამაშენს, მინდა შენი ქორწილით თავი დავისახელო, მინდა კარგი მზითევით გული აგითამაშდეს. ჩემი დარიგებანი კიდევ დიდხანს გკირდება, ერთხელ ვილაც ყმაწვილი კარგიაო, მითხარი, — ნუ ენდობი ნურავის, თორემ დაგაქორებენ და მე ჯავრით მოგკვდები, იქნე გაუხარელი. ვიცი აღარ შემარცხვენ, ისე გონიერი ხარ; ტფილისელი ვაჟები ველარ მოგატყუებენ, თორემ უბედურება შენზე გაიმერებებს, — მაშინ უკეთესია დაიხალო ტყვია გულს. უბედური შოშინო, ჩემგან გაგიგონია, როცა მოგიყვებოდი ცრემლით გაგუბებულხარ... მაშინ უკეთესია მოიკიდო გენია, ქალაქიდან ცოცხალი ნულარ დაბრუნებულხარ. ვიცი, გაგელიმება უღრამატო ბარათით, მაინც შორით გეხვევი, გულო, გულით მიმეკარ, იყავ ასე ჯანმრთელად ჩემო შვილო მარადის, ჭკუით ასიამოვნე დედაშენი რებეკა.

II

მოთხრობა უმუშინოზე

1

ღელავს ეზოში

ლურჯი ყანა

დღეს ილლიამდი...

ზორბა ჭაბუკი

გოგო მამას

რომ ეხმარება, -

მალე, სადილი

მიუტანე, -

დაგაგვიანდა!

და ჩალის კონაც

დაუყარე

შშიერ ბულა ხარს.

2

სარწყულით წყალი

ამოიტანე მოელვარეო,

შეკრთი, ქურდულად

თმებზე ჭაბუკი, რომ გეამბორა;

გულ-მკერდზე დოქით

წყალი სიცილად შემოგაღვარა;

შემოგანათა,

თვალეებში ორი მზე ჩაგიგორა.

შრიალებს ტყე და,
 ფერად ბუნების რხევა გახარებს,
 თეთრი გედვიით უცდი საყვარელს,
 გულს იმაისებ;
 გკვივა სახეზე ტყის ყვავილები,
 ცეკვით, ხარხარით,
 და ნეტარების მოლოდინით
 გული აივსე.
 არ იცი რამე
 სიხარულის, ტრფობის გარეშე,
 ასე გგონია
 ყველა იცინის და დამტკბარია,
 ვნებას არ სჯერა
 სხვა კანონი, სხვა ანგარიში, —
 მიყვები სისხლის მღელვარებას
 გულ-ატბორებით.
 მოგიახლოვდა გული გიჟი, განამწარები,
 იწვი კოცნაში,
 ტყის სიცილით მოთოვლილი ხარ,
 უმანკო ვნებით
 შეილება ყვავილნარები
 და ნაფუტკრალი ყვავილივით მოთენთილი ხარ.
 არ გიღალატებს, თუ ცხოვრებამ არ უღალატა,
 ჭაბუკს უყვარხარ
 ფეხშიშველა ლერწა შოშინო,
 მზე გაგორებულს,
 ღამე გულში მოგეკალათა
 და სიქალწულის ტკივილებიც
 გიშოშმინდება.

გავიდა ხანი... ჩაქრა იმედი, შუე დაგიმარცხეს,
შენ შემოდგომამ მოგიტანა ეს ტკივილები,
მოგიკლეს გული, შენ გაწამებენ და შეგარცხვენენ
და შემატებულს, ქოხში მშობლებიც აგაკივლებენ.
დარჩები მარტოდ ყველასგან ახირებული,
თავს ჩამოიხრჩობ

კვამლით გარუჯულ სახლის დირეზე,
შენ განიზრახე ამ საშუალებამ მოგიღოს ბოლო,
აი მარტოდ ხარ და ქოხის კარი შიგნით დარაზე.
სკამი გაიგდე... მაგრამ სიკვდილი აღარ გადროვეს,
შენ ვნახეს ბაწრით ქანაობდი გალურჯებული,
იკივლა დედამ, მოგეშველა ისევ ადრიან —
ყელგასისხლულმა ამოახველე გული ჯავრებით.



გეყოლა ვაჟი...
 გეუბნებიან: უკანონოა...
 იგრძენი ბავშვის სიყვარული
 უძლიერესი;
 ძვირფასო ქალო,
 ვერ გადურჩები ასეთ მონობას...
 შენ გაიღიმე:
 იქნება შეილთ კარგი მერმისი.
 აღარ გადროვეს ქალო დედობა,
 წაგართვეს ისიც,
 თურმე ვილაცა არის უშვილო
 და ბერდებაო,
 მიიღებს იგი...
 და შენს მომავალს შებოჭავს ნისლი,
 რომ დაგიბრუნონ
 ყალბი, ქალწულის მდგომარეობა.
 მშობელის მკერდზე
 ლოართქო ძუძუებს შეუჩვეველი,
 ღამით ვილაცას
 აივანზე ბავში დაუგდეს,
 ჭვითინებ, მაგრამ
 „უკანონოა შენი ჩივილი“ —
 შენთვის ახალი ბედი მონახა
 მოხუც დეიღამ.

გოგო უხვი სოფელი არის საბალმარვანი,
 გეუბნები მომავალს შენ კარგი დეიდა,
 ზუგდიდელი ბეჯანი, ავსებული მარანით,
 და რაც სიამაყეა, — ეზო-კარი მდიდარის.
 დარდებს თავი ანებე, გული დაიშოშმინე,
 შენ იღბალი გილიმის, სიხარული ორწილი.
 ბეჯანს მოეწონები, მშვენიერო შოშინო —
 მალე ვიმზიარულეშ შენი დიდი ქორწილით.
 მიგათხოვებ გოგო შენ, ვიცი იბედნიერებ,
 უმადლოდღე დეიდას შენტვის, რომ იწირება,
 შენ მოგვივა სანიშნო გოგო, მრავალნაირი,
 ქმარი ჩოხოსანი და ულვაშ შემოწერილი.

7

ბ ე ჟ ა ნ :

აიშალენ ძაღლები,
 ლამის ხევას ბედავენ,
 ხედავ მოვათამაშებ
 დაუდგარ ბედაურს.
 გოგო, შენტვის შარაზე
 ვარსკვლავები დაყარეს,
 შენ არალეს გიმღერის
 შერჩეული მაყარი.
 გოგო სახე გაშალე
 და სიცილი მახარე,
 აისროლეს მაშხალა
 შენტვის ახალ-ახალი.
 გავიარეთ, ინგრევა
 უკან გიყი ენგური, —
 ნისლი შემოიფანტე
 გოგო, ბედს ნუ ემღური.

დ ი ა რ ა მ დ ი :

ვაჟო პირი იბრუნე, თვალში ნულარ მიყურებ,
 ნუ თუ ასე გიზიდავს სახე ოქროს საყურით,
 ხელში დაულალავად ვატრიალებ დაირას,
 არის ტაში, ტაში და უკრავ ნაირ ნაირად.
 მომწონს შენი ცეკვა მე, რომ წრე შემოიხაზე,
 მეტყვი: შემიბრალო, ვიჭერ ა, შენ ცხვირსახოცს.
 მღერის გუნდი ჩაგუნას... და ჩონგურზე მაირა,
 მეგრულ ლექსებს ამღერებს უკრავს ნაირ-ნაირად.

9

ქ ე ი ფ ი :

დიარაა გართული,
 დაკლეს ბევრი ხარები,
 მდიდარია ამ ღამით
 მასპინძელი ღარიბი.
 შაჟ კედელზე იცინის
 კერას აპრიალება,
 თეთრი ტანისამოსი
 სახე ფერად ქალების.
 ისმის ახლოს სიმღერა,
 დაქორწინდა შოშინო,
 სეფა მოწყენილია
 პატარძალო უშენოთ,
 თქვენ ჭიშკარი გაუღეთ,
 ჯებირები აყარეთ,
 აა! სროლით, ქუხილით
 შემოფრინდა მაყარი.

გოგო შემოიყვანეს,
ხევეში ოქრო ერიოს,
თქვენ პატარძალს უმღერეთ,
„კუჩხა ბედინერიო“.
ასდის ცხელი გოროთი,
ქობს გაგუდულს, ისლიანს,
და ლოთები სუფრიდან
თოფ-დამბაჩებს ისვრიან.
ვილაც გაყოყოჩებით
არის მთაზე მაღალი,
არის სმაში ყოჩალი, —
უყვარს აყალ-მაყალი.
„შერიქიფე დაასხი,
მე მუცელი მეშვება,
მიყვარს ასე ქეიფი,
ღვინით შეხარხოშება.
გოგო, შენი მხერითა
მეწამლება მე გული,
აა ჩემი სიმღერაც
გითავაზე მეგრული“.



მოხუცი ტოლუმბაში

მე ოჯალეშის მეფედ მიხილეს,
 ძირს მთვრალი ხალხი როცა ეყარა,
 ქეიფში მქონდა მუდამ სახელი —
 ბევრჯერ ვყოფილვარ ასე მაყარად.
 ერთხელ მურზაყანს ქონდა ნადიმი,
 მე გულში მომხვდა, როგორც ეკალი,
 მეტოქემ ღვინო ძირს, რომ აღინა
 და თითქმის ხელში შემოვიკალი.
 გათენებამდი გადაირევით,
 ბევრი მარცხდება ჩემს ტოლობაში,
 გჯობნით სმაში და გაშაირებით
 თქვენი მოხუცი, დღეს ტოლუმბაში.
 ოთხმოცი წლები სულს მიხუთავენ,
 მახრჩობდა სისხლი სიჯიელეში,
 ცხოვრება სმაში დავახურდავე
 ბებერმა, როგორც ხე ოჯალეშის.
 რა მსხვილი იყო ტანი ვენახის,
 დიდი ხის შტოებს გადატეფნილი,
 ავსებდა ხარბად მამის საწნახელს
 გორად ამდგარი ზვინი მტევენების.
 გვიდულდა სისხლი მარნის ქვევრებით,
 ვმართავდით ქეიფს საგვარეულოდ,
 და ღვინის ძალა ტვინში აღვრილი
 გვახალისებდა ვით გარეულებს.



ახლა როდესაც ველურ ხის ხარდანს
 ვუმზერთ გარუჯულს, სენით გაღეშილს,
 გახმა ძირეულ, ან გადაგვარდა
 და ვსვამთ სამძიმარს ჩვენ ოჯალეშის.
 თქვენ შეჯიბრების იქნებით წევრი,
 ჩვენ ღვინო ბლომად ხომ გვეშოვება,
 გათენებამდის დაწვეებით ბევრი
 ვინც კი, ჩემსავით გაიღეშებით.
 და დილით ხიდან მე ჩამოვაგდებ,
 ერთი გასროლით ქათამს ბუმბულას,
 ვთვრები, ცხოვრებას არაფრად ვაგდებ
 და საუკუნით ვარ გაგუბული.
 გამომიცილია ცხოვრების თასი,
 ველად მზის სხივებს ვჭრიდი ნამგალით,
 ვარ ჩამოქნილი ვით ღვედი-თასმა, —
 მე,—მთებში ხშირად ნააბრაგალი.
 გავივსებ მუცელს გომბეშოებით
 გახუნებული შავ ჩოხასავით,
 მოვიგრებ ფიქრებს, როგორც უღვაშებს—
 და მზეს გაუშვერ მკერდს ჩახავსებულს.
 ხან მოგონება ოქროებს სჯობნის,
 მამის მუცელი: ქვევრი და გულა,—
 გატაცებული ტახების ჯოგით
 სვამდა და ნადირს დასდევდა მუღამ.
 ბევრი ჩვენგანი ჩადგება ლაფში,
 და თუმც სიბერე ყელში მაწვება,
 მე ჯიელივით გავაჭენ ლაფშას
 ცინცხალ დილაზე ვერცხლის ყანწებით,



11

დ ი ლ ი თ :

პატარძალი შოშინო
ლაშაზია
გვრიტივით,
იმორცხვება ზამთარის
შორეული
შხესავით;
ვაჟმა, შემოღამებამ
გული
აუტივტივა,
უნდა მარტოობაში
ბეჟანს
ენათესაოს.

ღვას

ი რ დ ა ნ ე

შუახნის

ულვაშ შემოგრებილი,
 მკერდზე ვერცხლის ქილები ალამაზებს ძალიან,—
 „მიწავ, მამა-პაპისავ, ბედმა კარგად გიხილა:
 ცას მნათობი მოწყდა და ჩემი პატარძალია.
 ვამბობ ბედნიერი ხარ ჩემო შვილო ბეჯანი,
 მშვენიერი შოშინოს ვერვინ შეეღარება,
 თაფლის თვე და ლამენი, უტკბილესი დროეამი,
 გულში შემოგებვევა საუცხოვო დარებით...

მამაჩემის

ლიმილი იყო მშვენიერება,

დედაშენი

მზითევით თუმცა იყო ღარიბი,
 მაგრამ უმანკოება, არის ბედნიერება:
 როცა ქმარის საწოლზე მხოლოდ დაიღვარება.

ოდა სპილენძეული

ჩემო ბეჯან გეთმობა,

სანავარდოდ, სატახტოდ

მეფე-დედოფალისა,

კარგად დაასაჩუქრე ტახტის დამლაგებელი,

და შოშინოს ალერსით

გული გაიხალისე.

ქ ი ს ა :

ჩემო, მოხუცო თოლი,
 ჩემო, ერთგულო ქმარო,
 ბარზე მოვიდა თოვლი—
 ჩაგვიდგა გულში მთვარე.
 ტაიქს უჭერდი ალვირს,
 ახ, თუ დაბერდა კესაც,
 გაიცხოველე ძარღვი,
 შენ აბედით და კვესით!
 თაფლის ლამეებს ვშლიდით,
 ვსვამდით სიყვარულს ნეტა,
 ახლა კი ჩვენი შვილი
 ქალწულს ეხვევა ნეტარს.
 ზეწარს ვიხილავ დილით,
 ო! გავიხარებ თუ მან...
 არ უღალატა მანდილს—
 შვილი მაჩუქებს თუმანს.
 ჩვენ ბედი ასე ვკერეთ,
 ასე დაბერდა გულიც,
 ორივ უზივართ კერას,
 ცვივა ნაცარზე ლული.

წარსული, როგორც ელვა, ქარცხენი,
 გაირბენს,—ცრემლი ეფრქვევა საბანს,
 უსმენს შოშინოს თვალეზ დარცხვენილს
 სიტყვასთან სიტყვას სლოკინით აბამს:
 მომიკლეს სატრფო, და სანანოა,
 სისხლით სერავდენ მთების უღელხიდს,
 როცა ლაშქარი ალიხანოვის
 შფოთიან სოფელს კისერს უგრებდა.

ცოლის უქალწულობა
 ბეჟან ლოდათ გეცემა,
 მაგრამ იგი დაუთმე სახეს ამზეურებულს,
 მისი მკერდი გაშლილი
 და თვალების ციმციმი
 სიყვარულის უნაზეს გრძნობით გეხმაურება.

მაგრამ დილით იორდანემ, რომ ასწია საბანი
 და იხილა უსისხლოთ დედოფალის ზეწარი,
 ბრძანა: ბარგი, ბარხანით დაუბრუნეთ მამა მისს.—
 ბრაზით გაგუდებულმა დაანთხია სიმწარე,
 „ცოლი გაბახებული ბეჟან ნულარ გინდება,
 და რა საშინელია:
 ბედი დაკარგულისა,
 ნივთი უსარგებლოა
 როცა გაგიხუნდება—
 ვინც დაკარგა ნამუსი,
 სისხლი სიქალწულისა“.

ბ ე შ ა ნ :

ნუ აყვები სიბრაზეს,
და დაუთმე ის...
არ მოვიყვან მე სხვა მზეს—
მას ცრემლები სდის.
მამა, თუ შენს გაიტან,
წყდება ბედის თმა,
დაბნელდება მზე ლაიტის,
დამემსხვრევა მთა.

ი რ ა დ ა ნ ე :

არა, არა ათასჯერ, არის გაუგონარი,
ოღამ სახელ-განთქმულმა
გაბახება იკადროს,—
მე ოჯახის მეფე ვარ, ჩაიკმინდე ხონარი!—
ქალმა ნამუს ახდილმა ყელი გამოილადროს.

შ რ შ ი ნ რ

შენ კი მირბიხარ უკვალო გზებით,
რისხვას და სირცხვილს გამოეპარე,
შენს გონებაში გადაწყვეტილად
ბნელი ზრახვები შემოიფარე.
ასე მორბიხარ — ენგურის პირას,
ცრემლ მორეული გეძებს ბეჯანი,
ბედკრულო ქალო მამის ეზოში
დაიწურება შენი დრო-ქამი,

დალალ გაშლილი ვალალებით, მხოლოდ დარდი ხარ,
 ფიქრობ შეგრცხვება კუბოს ზარი, რომ მოეხვევა,
 უკანასკნელად ნაჩვევ ეზოში მწარეთ დარბიხარ,
 რომ ყოველს საგანს სიყვარულით გამოეთხოვო.
 აგდია ქალა შემოდგომის აერტანილი,
 რქებ მოგრეხილი ბულა ეზოში წვეს სიამაყით,
 გიყურებს ოდა ვით მწუხარება აუტანელი
 და სიჩუმეში ზეცა უბედურთ ვარსკვლავებს გაყრის.
 გადაიკრიფენ დღეები, როგორც თეთრი გედები;
 ოდეს დარბოდი მამის ეზოში შენ ფეხშიშველა,
 ცალიერდება შემოდგომით სავსე გოდრები
 და მოგონების ტკბილი წარსულიც ველარ გიშველის.
 შენ გელანდება სად დაიღვარა ქალწულის სისხლი,
 მაისის ტყეში აყვავებული ბალახებს შორის,
 გიყვარდა იგი, მას ლამეები თავზე დაესხა,
 ტყვეთ შეპყრობილი, მოგიკლა მეფემ, მზის სიშორეში.
 ამ წუთში ფიქრობ,
 შენთვის დაკარგულ საყვარელ შვილზე,
 შვილზე, რომელმაც სრულეა არ იცის შენი დედობა,
 შავი იღბალი, როგორც აჩრდილი თვალეებში გიმზერს
 და შენ შეშლილის ამღვრეული ალი გედება.
 შესდექი სერზე, ზეცას ესროლე მზერა: მიშველეთ!!!
 მშობლებს კივილზე, გაეზმორათ სიზმარეულად,
 ჩაეშვი ქაში, თან ჩაიტანე ლამე შიშველი...
 და ამოსწურე შენი ცხოვრების მწარე რვეული...

III

შ ა ვ ა ც ხ ო ნ ა ს

პანუხი, რაბეკას:

სატრფოს ფიქრებმა თუ იმთაბარა,
 თუ მწერდი ერთხელ, როგორ არისო,
 როგორც ქუჩების ძველი ავარა
 ცხოვრებას ისევ იუარესებს.
 დღეს რაღაც „ცოლი“ მეუცხოება,
 და სიტყვა: „ქმარიც“ იჭვებით მავსებს,
 ხვალ რა ვიქნები შავა ცხოია,
 რომ ჩარჩოებში არ მოვეთავსე?
 ძვირფასო დედავ, ნულარ იჯავრებ,
 გჯეროდეს მტკიცედ: აღარ შეგარცხვენ,
 არა ვარ მიწა მე ხომ, იჯარად
 ქმარის მამულში, რო ჩავირიცხო.
 არ ვარ შოშინო ცირა მონობის,
 მე გავეტაცე ახალი მზითა,
 შენ საქორწინო ცერემონიებს
 თურმე ფიქრობ და ამზადებ მზითევს.
 შენ წერილებში ხშირად მარიგებ:
 პირველი ღამეს, ქმართან დაწოლით,
 ნუ შერცხვები და, თვალს ნუ მარიდებ—
 უნდა იხილონ სისხლი ქალწულის.



მწერ: „მოუარე გიშერ ნაწნავებს,
 რუსულად ნულარ აიქოჩრები“,—
 დავყრი დალალებს, რადგან მაწვალეებს,—
 ჩვეულებას ვერ დავეჩოქები.
 დედაო, ვიცი გამიჯავრდები,
 რომ უარყყავი შენი ტაძარი,
 გსურს დამაყარონ თავზე ვარდები
 და ნატრობ შევას პატარძალობას.
 ჩემში მომწიფდა გაპიროვნება,
 ღამე წამებით რატომ ვათიო,
 არა ვარ მარტო სიამოვნება
 ქმარიდან ქმარის ხელში მათრიონ.
 მე განვიზრახე:—ამ გზით გავიარ,
 ყოფაში გაშლილ მზეში ვთვრებოდე,
 რა უაზრობა, რა სიავეა,
 რომ ქმარისათვის ინივთებოდე.
 ჩემი ფიქრების შეათასედიც,
 თუმც ვიცი ძლიერ გეუცხოება:
 რათ ჩაიღინა საქმე ასეთი?
 რათ ილუპება შევა ცხოია?
 მახსოვს შოშინო, ცირა მონობის,
 მე კი მოვდივარ სხვა გვარი მზითა,
 ნუ აწყობ ბებერ ცერემონიებს—
 თავი ანებე ქორწილს და მზითევს.
 ჩემს ქალწულობას ნულარ იჯავრებ,
 სხვა ვარ ახლა და სხვა ფერ ვიცხოვრებ,
 არ ვარ ნივთი და მიწა, იჯარად
 ქმარის მამულში, რომ ჩავირიცხო.

1/11—27.

ზოგიერთი ლექსები

როდესაც დგამენ ახალ გიგანტებს,
თქვი რა ცეცხლი გაქვს ან და რა გული,
თუ ზურგით თვითონ არ მიიტანე
სიტყვა კი არა—ნაღდი აგური.

დილით მორბოდა ჩვენი მხედარი,
 დროშით, ნაგანით და გატაცებით;
 იყო ბრწყინვალე შესახედავი
 გადმოხურული ცა პლაკატებით...
 სდიოდა სისხლი ძარღვების კბენით,
 გულმკერდ-ჭალარას, ავსებულს ბოლმით...
 რა კარგი იყო მზის ამორბენით
 ქვაფენილებზე ცხენოსანთ დოლი...
 შენ კი ჭალარავ, გქონდა მანძილი
 მძაფრ გრივალეების გზებით გადმოვლილს
 საქართველოს ზურგზე განვლილი,
 ქალაქ ბათუმის ნავთსადგურამდი...
 ერთხელ მოხუცო, ცამდი ახველი
 ქუხდი ძლიერ და ისე იდიდე:
 ცეცხლში წააგე შენი სახელი,
 ცეცხლში წააგე შენი სიმდიდრე...
 ურტყამდი სიტყვას ზღვის აღმუებით
 ცხრაას ჩვიდმეტის გემის ნალმებზე...
 მაგრამ მოხუცო გულმა, ჭალარამ
 გაყიდა საქმე მეზღვაურების.
 ლენინგრადიდან შავ ზღვის პირამდი
 ვინ იცის სად არ წამოიჩოქე!
 შენ ემიგრანტი რევოლიუციის
 შავ ზღვას გასცილდი და მიიჩქმალე...
 გტანჯავს რიჟრაჟი თებერვალისა,
 ქვეყნის ნაყოფით ჩამორტოება,
 ჩვენი მუხლები მაგარ ძვალისა
 და ოქტომბერის მონაპოვარი.
 დაპყრობილია დრო აღმავალი,
 რკინის მკლავებით დღეებს ვამარცხებთ,
 ვდგამთ სასახლეებს მომავალისას
 ჩვენ დედამიწის შემარცხენენი.

1927.

ჩვენ დარაზმული განთიადები

როგორ ვიზარდეთ, სულ ათიოდე,
 ვიბრძოდით უწინ თავგანწირულად,
 დღეს კი, ურიცხვი განთიადები
 ვართ დარაზმული კომკავშირულად.
 გულ - მკერდი ტყვიით ნაამბორია,
 გვიფეთქდა გული ძალზე გმირულად,
 განთიადივით იდგა ბორია,
 ბარიკადებზე კომკავშირულად,
 დროშა ათასჯერ იყო დახრილი,
 წითელ რაზმების გატიალებით,
 დღეში ათასჯერ იყო დახილი
 მზის ხელმეორედ მოტრიალება,
 როგორ ვიზარდეთ! ჩვენი ქსელები —
 არ იყო უწინ ასე ხშირად,
 დღეს კი, ურიცხვი ბორისელები,
 ვართ დარაზმული კომკავშირად.
 დგას შებორკილი მიწა ბობოლა,
 იწვის, ილევა რკინის ბადეში,
 ბებერ სახეზე ცრემლთა ობობა
 სიკვდილის გრძნობით გადმოეშვება.
 ბერდება ცაც და მიწაც ბერდება,
 ლამაზ ქალივით შენც გახუნდები!
 სულ ამოა შენი ვედრება:—
 არ დაბრუნდები, არ დაბრუნდები.

ზღვა სიხარულით მიწას ვადგივართ,
 გულ მძიმე ქედებს ვებრძვით გმირულად,
 წალკით, ლალუმით გვირახს გავდივართ,
 ჩვენ, დარაზმულნი კომკავშირულად.
 ბარიკადებით გადარაზული,
 ცხოვრება სისხლით არის ნაბანი,
 განთიადები, ტალღად რაზმულნი,
 მოვალთ, ათასჯერ დავიბადებით.
 სასიხარულოდ გასივრცებულნი,
 გული სამზეოდ გადაშლილია,
 უჯრედით, უჯრედს შეხორცებული
 ჩვენი სამშობლო კომკავშირია.
 არ გვიტირია მამის ძვლებზედა,
 სულ სხვაა ჩვენი გულის ნადები;
 გავჩნდებით ისევ ბრძოლის ველზედა
 ჩვენ დარაზმული განთიადები.
 გულმკერდი ტყვიით ნაამბორია,
 გვიფეთქდა გული ასე გმირულად,
 დავდგებით, როგორც იდგა ბორია
 ბარიკადებზე კომკავშირულად.

14, VIII—27 წ.

ДОГНАТЬ И ПЕРЕГНАТЬ

შენ, ახალ დროის ადამიანო,
 ხარ მოქალაქე, პასუხმგებელი,
 ხუთი დღით აღარ დაავციანო,
 რაც სამ დღეშია დასაძლეველი.
 რთულ მანქანებით გუგუნებს მტერი,
 აჯანყებული ქვეყნის საკირე,
 უნდა დასძლიო შენ ყველაფერით
 იარაღ ასხმული მოპირდაპირე.
 გაყევ ამხანაგს და ნედლეული
 კრიფე, ეძიე თუ სადმე არი,
 აღარ ჩააქრო ცეცხლი და გული,
 გასწი, იჩქარე და გაუსწარი
 როდესაც დგამენ ახალ გიგანტებს,
 თქვი რა ცეცხლი გაქვს, ან და რა გული,
 თუ ზურგით თვითონ არ მიიტანე
 სიტყვა "კი არა, ნაღდი აგური.
 გასწი, იჩქარე და დაეწიე,
 ჯერ გზა ცოტაა გადარბენილი,
 გასწი, იჩქარე და გაუსწარი!
 უნდა ჩამორჩეს მოსკოვს ბერლინი,
 რომ გაიმარჯვოს თვით გერმანიამ,
 სად გინდენბურგის ბატონობს ხმალი;
 შენი გმირობა და მიზანია:
 გასწი! იჩქარე!... და გაუსწარი!

ლამით ნაბანი

ეს როცა ლამით კივის ნაგანი,
 დგება გარშემო ცეცხლის ფერია,
 არის ცხოვრება სისხლით ნაბანი
 და დედამიწა სისხლის ფერია.
 ჩინეთის მთებში მღერის ფირალი,
 ის ერთად-ერთი შემკვიდრე მამის,
 ალის ტყეებში ნასაკირალი,
 თავგანწირული და გულ თამამი.
 მთებში ვარდება შუე დაჩეხილი,
 მთები აავსეს ჩინელ გვამებით,
 მთის ორწოხები ზურგ ჩალეწილი
 ტყის კალთებს შლიან სამგლოვიაროთ.
 საკუთარ თმებით ჩამოხრჩობილი
 კიდია ხეზე ძმების თავები...
 და, შებრალებას გადაჩვეული,
 ამოდის ზღვიდან ყორნების გუნდი.
 რამდენ ათასებს ხევში ხვრეტავენ
 უცხოეთიდან შემოსეულნი,
 და ისმის ლამით ძმების ხროტინი,
 და ხმა დაქრილის გულდამსერავი.
 გარშემო ცეცხლი დამეპატრონა,
 საკუთარ შხისთვის ვაცხადებ ტერორს,
 უცხო „სტუმარი“, რომ ზის ბატონად,
 გულზე ტყვიების დაუკარ ტაში.

ქუჩის ქვაფენი სისხლით ნაბანი,
გულგაპობილი ჩინელის ლეში,
მახსოვს კივილი ღამით ნაგანის
და უღმობელი მტერის თარეში.
დღეს, ხსნა არ არის სისხლის გარეშე,
სჩანს გზა არსაით და გასაქანი...
ღამეში მტერის სიავთარეშეს
გააცამტვერებს ისევ ნაგანი.
შერჩა პლანეტას ამაყი სული,
პლანეტა სისხლით შემოიღება
ვართ მოლოდინის კართან მისული
და მოლოდინის კარიც იღება.
დედაო მიწავ, ტანჯვა გეყოფა,
შემოგეგლიჯა ღრუბელთ საბანი...
ისტერიულად სუნთქავს ევროპა
და... კივის, კივის ღამით ნაგანი.
1925 წ.

მუშების საახალწლო შეხვედრა

როცა თავდება ძველი წელი და,
 თორმეტს დარეკავს კედლის საათი, —
 გაშლიან სუფრას საახალწლოსა,
 ნაირნაირად აყვავებულსა.
 ჩვეულებრივად ყავთ ტოლუმბაში,
 ის სათამადო ქებას ღებულობს,
 და ახალ დროის პირველ საათზე
 უკვე სმა არის გაჩაღებული.
 გონება თვრება წამით-წამობით
 და მას სიჩუმე ესმის გრიალით,
 შემდეგ იწყება თანდათანობით
 მოჭეიფეთა უშნო ღრიალი.
 ქეიფს მოყვება აყალ-მაყალი,
 ვინმეს მოჟვა ჟინი გალახვის,
 ვინმე აღგება და ბრაზ ნაყარი
 მას ღვინიან ბოთლს თავზე დაახლის.
 შემდეგ ყანწებით, ბოთლებით სვამენ,
 ზოგნი სუფრაზე პირით კვდებიან,
 ასე გრძელდება მზის ამოსვლამდე —
 მზეს ქართველები ასე ხვდებიან.
 ასე იცოდენ, მრავალს ეხება,
 ამას მუშებიც ასე აწყობდენ, —
 უარესი იყო ჩვენი შეხვედრა
 მიღეულ დროის საახალწლოზე.

მუშამ დახარჯა მთლად ჯამაგირი,
ღვინით დაათრო ქკუა თავისი,
მეორე კვირას სამაგიეროდ
პურიც არ ქონდა მას საკმარისი.
თავგაბრუებულს სუნი აქვს მყრალი,
მიდის ბარბაციტ ცხვირპირ ნაცემი,
მე მეზიზღება კაცი დამთვრალი,
მისი სიმღერა და ღრიანცელი.

მაგრამ მე ვიყავ ერთ ქარხანაში,
სადაც ახალი რამ შევამჩნიე,
სადაც ნაცნობი მყავს ამხანაგი
მუშა და ქეიფს იყო ნაჩვევი, —
გულგასარკულად გაშალეს სუფრა,
არა ძველებურ ყანწით და ბოთლიტ,
შეხვდენ მუშები ახალ წელიწადს,
რძიანი ჩაიტ და ბუტერბროტიტ.

შრომის ერთიანობა

თქვენ იცით ჩვენში, სად ოჯალეში,
 უკვე სავსებით ამოგდებულა—
 ვაზის კულტურა სოფელს მოედო
 და გაიზარდა მოჭარბებულად
 მოთხოვნილება ნერგეულობის.
 ყოველ გლეხს უნდა ქონდეს ვენახი,
 მაგრამ მიწა, რომ გადააბრუნონ,
 და შეიძინონ სხვა საჭირო რამ,
 ყველას არ შესწევს ამის ძალ-ლონე;
 ამიტომაა სურვილი რჩება
 მრავალთათვის მხოლოდ სურვილად —
 სანამ არა აქვთ შეგნებული
 ერთიანობა სასარბიელოდ;
 ერთი ან ორი მიზანს წვდება და
 აქვთ ვენახები სახარბიელო.
 კულაკს, რომ კითხვით, ჩემობის დამცველს,
 ვისაც ნაყოფი მოუვა ბევრი,
 გაიძვერულად პასუხებს გაგცემს —
 ერთიანობის მოჭიშპე მტერი.
 და აგრანომი ვინც ძველი იყო,
 მსოფლმხედველობით კულაკობისა,
 ჩვენს სოფელშიაც ასჯერ უარყო
 ერთიანობა ჩვენი შრომისა.

რამდენჯერ უთქვამს: განკერძოებით
 უნდა მოაწყოთ მიწა და, ჩვენში
 იყო ამ კაცის ყურის მგდებელი
 სამეურნეო სასწავლებელი.

გადავაყენეთ, ჩვენთან მოვიდა
 სხვა აგრანომი ახალი გრძნობით
 და ძველ აგრანომს შეხვდა პირისპირ
 ახალი კაცი, მისი გეგმების
 ისევ ხელახლად გადაგეგმებით.

ბევრმა დაიწყო ცალ-ცალკე მიწის
 მეტრის სიღრმემდი გადაბრუნება,
 რომ ჩაეყარათ ვაზის ნერგები —
 ამერიკულის ძირზე ნამყნობი,
 მაგრამ ბევრისთვის აღმოჩნდა ფუჭი
 კარჩაკეტილი შრომის ნაყოფი.

უნდა გარდავექმნათ მოსახლეობის
 ძველი სოფელი ახალ უბნებათ,
 ამიტომ გლეხებს ახალი კაცი
 ახალ წყობაზე ესაუბრება.

სოფელმაც იგრძნო: ექვს გარეშეა
 ახალი კაცი ეს აგრანომი,
 დღეს, ხვალ, ძველებურ ურთიერთობის
 მას სურს შესცვალოს გარემოება.

კულაკმაც იგრძნო საშიშროება.
 მაინც არ არის ისეთი საჭმე,
 სოფელის ფონზე წამოწყებული,
 ის ყველგან არის, კაცი წყეული
 არ შეიძლება არ გაეჩხიროს;

სულ ას მცხოვრებში სამი, ორია,
 მაგრამ მანე და სულით მძორია,
 მას იმედი აქვს ძველებურ ყოფის —

ხორც შესხმული და ეგზომ მკაცრია,
ფიქრობს: გლეხებში გამოიღვიძებს
მისი გრძნობების შავი ფრაქცია.
და აგრანომი, ახალი კაცი,
გლეხებმა ასე რომ იძმობილეს,
ებრძვის ყოველთვის, ყველგან ამ კულაკს
და ყოველ გლეხში კულაკურ გრძნობებს.
აი ამ კაცის ახალი საქმე:
გლეხები იმის გარეშემოა,
კოლმეურნეთა ბეჯით მეთაურს
ერთიანობა შრომის შემოაქვს.
ერთ მშვენიერ დღეს აყარეს ხურგი,
წინაპართ მიერ ჩალაგებული,
გაამთლიანეს ყველას თანხმობით
მიწა ცამეტად დანაქრებული.
შეორე დღესვე მოდის ბარებით
ცამეტი გლეხი და აგრანომი,
გულმზიარულად ახალ მიწაზე
შრომა დაიწყეს ერთიანობით.

1928 წ.

წყალდიდობის უმღეობ

ჩვენში ავდარი იყო ხანგრძლივი,
წამოიზარდა ბულახ-ბალახი;
ზეცა წვიმიან კვამლით დამძიმდა
და შარა-გზებზე დადგა ტალახი.
თოლი მოაელო სივრცეს მოხუცმა:
გოლვა მოელის ჩვენსა მხარესო,
ღრუბლებისაგან ცა დაიცილება,
ზეგ, ან ხეალის ზეგ გაიდარებსო.
მაგრამ ღრუბლებში ცა ჩაძირული
აენტო უცებ ელვა-მეხებით,
მოვიდა წვიმა კოკისპირული,
გაანადგურა ყანა გლეხების,
და ილლიამდის ატალღებული,
წლის მოსავალი მისცა ნიაღვარს —
ასე სტიქიამ ჩვენი სოფელი
თითქმის ერთბაშათ გაანიავა.
გლეხებს წუხილი შემოეყარათ,
მერმინდელ დღეზე ბჭობდენ, დაობდენ,
კარებთან მომდგარ ზარალის გამო
ქონდათ აზრების სხვა და სხვაობა.

მათი წისქვილი მდინარის პირას,
 იყო ნაგები კოლექტიურად,
 აქ ზაასობდენ ისინი ხშირად,
 ყოფდენ მოსაველს ყოველთვიურად.
 მე ზაფხულობით მელიან გლეხები,
 ავდრიან დღესა მათ ვესტუმრები,
 მათთვის საკირო კითხვებს ვეხები,
 ამბებს ქვეყნისას ვესაუბრები.

დარჩენ მათ შორის ზოგიერთები,
 მსოფლიო ომში ვინაც გასულან,
 უნდათ უამბო, მონათმფლობელებს
 თუ ჩიჩერინმა რა უპასუხა.

არ გვინდა ომი, მწვერვალოებზე
 ფრიალებს ჩვენი დროშა გაშლილი,
 იცავს მსოფლიო საბჭოების მზეს
 რესპუბლიკების მტკიცე კავშირი.
 გარეთ წვიმაა, შიგნით მღერიათ,
 და ღრიალებენ წისქვილის ქვები;
 მოდის ბობოლა — ჩვენი მტერია,
 სოფლად მთესველი ბოროტი ხმების.
 ბოლოს აღმოჩნდა პრავაკატორი,
 პაექრობაში რომ ჩაერია:

„იცით? გრიგალი მოხდა რატომო,
 ანდა ჩვენს ირგვლივ რა აერია?

„აღმასკომის წინ ხატი გორაობს,
 ტალახში ჯვარი ჩაეანგებულნი,
 ცა სამერმისოთ ჩამოგვენგრაო,
 წყალდიდობისგან გატაცებულებს.

„სახარებები ვარაყ-ყდიანნი,
 ნაყიდი სრავალ ოქროს ფულებით,

ნაფლეთ, ნაფლეთად გაუხდიანო
ულმერთოების განკარგულებით.
„ჩვენში ურწმუნო ახლა ბევრია,
ვართ ბოროტებით ამოვსებული,
ამ ულმერთოთა ჯგუფის წევრია
ახალგაზრდა თუ მოხუცებული...
მაშინ ქალარა ულმერთოთაგანი
მოსულ ბობოლას გაეკამათა:
ჯვრები, ხატები და სხვა ამგვარი
შენთვის მიძღვნია ერთი კალათა.
ასე გლეხები წვიმიან დღესა,
როცა წისქვილში თავს მოიყრიან,
ხუმრობენ, ბკობენ და სათითაოდ
წარსულ-მერმინდელ ამბებს იტყვიან.

1928 წ.

ციდან მოესმა
სტვენა და რეკა

პავლე გორგასლან

ამ ფელეტონში მოხსენებულ კაცის სახელი
 მგონი გეჭნებათ თქვენ ყურმოკრული,
 ან იქნებოდით მისი მნახველი, —
 იყო მოღეჭე და მონადირე,
 მაგრამ მის მიერ ტყვიით მოკლული
 ჯერ არ ყოფილა ერთი ნადირიც.
 თავბლუ აზნაურს ცისფერი ყანწით,
 მისი ქვეყანა არ ყვარებია ღვინოზე უფრო,
 ხიბლავდა ძლიერ
 გაამაყებულს „ქართული“ მწვადით,
 ყარაჩოდლებში სუფრა გაშლილი.
 სწვავდა ოცნება გამხდარიყო მგოსანი სუფრის,
 კახურ ღვინის და ვინმე მიკიტან ჩოფურაშვილის.
 ერთხელ, როდესაც მთაზე ღრუბლები
 მეცხვარის მიერ გადაირეკა, —
 სამიკიტნოში პავლე გორგასლანს
 ციდან მოესმა სტვენა და რეკა...
 ამხელა კაცს, ტანად ახოვანს
 ცხარე კრემლები დაუდენია,
 ორბელიანის არღანის ხმაზე
 უმაღლ გამხდარა თურმე გენიად.
 უთქვამს მეარღნე ტიტეს:
 იცით, ვინ არის პავლე გორგასლან?
 „ქართველობაში არ ყავს ბადალი,

დიდი კაცია, ტანად მაღალი,
 ორას თუმნად ღირს თუ მან ინება,
 დღისით რუსთველის გამზირზე,
 ერთხელ ქართულად გასეირნება...
 ერთხელ გორგასლან ხელცარიელი
 ნადირობიდან დაბრუნდა დაღლილი,
 გულს შემოაწვა სევდა ძლიერი:
 ავად გაუხდა ძალი...
 მოუკვდა, უმაღ ჯაიკვა თალხი,
 უბედურება აცნობა მეგობარ-პოეტებს:
 „ძმებო, დამიბნელდა მზე და ლხინი,
 ძალი მომიკვდა ტვინის ანთებით
 და გასვენება მინდა ბალდახინით...
 იყო სამარე ბალში გათხრილი,
 და განსვენებულ ძალის წინაშე
 თვით გორგასლანი თავით დახრილი,
 სამგლოვიარო სიტყვას იტყოდა:
 „უნდა ატირდეს მწერალი
 სენტიმენტალურ ცრემლის მოდებით,
 დგას მწუხარების მწვერვალი —
 აშენებული სევდის ლოდებით...
 სადმე სასტიკად ქუხდა და წვიმდა,
 როცა კვდებოდა ჩიბის წვალებით,
 ძალს იისფერი წმინდათა-წმინდა
 ქონდა „იესოს თვალები“...
 ამ ტრალიკული ამბავის შემდეგ...
 იყო ყარაჩოდელთ სუფრა გადაშლილი,
 სად გორგასლანის მეგობარ-პოეტებს
 ქონდათ განსვენებულ ძალზე პანაშვიდი.
 უცებ მოფრინდა პეპელა ქრელი



და განსვენებულ ძაღლმა იყეფა,
 პავლემ კალმისტარს მოკიდა ხელი
 და შთაგონების ალით იწვება...
 ტვინში აღმოჩნდა სიტყვის მაღანი,
 სტრიქონები და რითმები მისი,
 და გორგასლანის ლექსის საგანი:
 იყო... არ არის ძაღლი ჩიბისი...
 იგრძნოს წუხილი ქართველმა ერმა,
 მტკვარმა, რიონმა, ბარმა და კლდემა,
 მოკვდა ჩიბისი... და შემოვიდა
 პოეზიაში ახალი თემა...
 პავლე გორგასლან!
 ბავშმაც კი იცის საქართველოში,
 სუფრის მელექსე,
 კაცს ექპრომტები რომ ეხერხება,
 თვალებს დაითხრის ეს ტოლუმბაში,
 თუ მზეს ყანწებით ველარ შეხვდება.
 კაცი ყოველმხრივ ელასტიური,
 იყო და უთქვამს სიტყვა „ერთგული“
 არჩევნების წინ ლექსი შეუთხზავს —
 მის ასარჩევად ამხედრებული.
 წარმოიდგინეთ პავლე გორგასლან,
 მისი წარსულით მიუღებელი,
 წითლად ჩვენს აწმყოს შემოეგარსა.
 მუცელ მაძლარი და კმაყოფილი.
 მიქრის... გონია „პოეტ“ გორგასლანს —
 გაგრილებულს ავტომობილით, —
 უკვე ბრძოლებმა გადიგრიალა.
 წითლად უღებავს ყვითელი რუქა
 და მით უმეტეს საჯაროდ უთქვამს:



„შრომა სარდლობს და შრომა განაგებს,
მეც შრომის მზე და ცეცხლი მეღება,
ებრძვის თამამად მტერის ბანაკებს
ჩემი ახალი შემოქმედება“.

მიტომ ძნელია სადმე ხელთ იგდო,
სიტყვით წითელი, გულით ფარული
წითლად მოსილი ადამიანი,
წითლებში მტრულად შემოპარული.
გულწრფელად უთქვამს:

„ჩვენს წინ სუფრაა ლალად გაშლილი
და „რია-რიით სკდება არღანი“.

გვივლის ქართულად ჩოფურაშვილი —
მესაიდუმლე ჩვენი ბალამის.

აქ ძველებს შორის ვთქვათ ძველებურად
ლოთი-მოთი და ლექსები:

მკლავში ერეკლეს ძელები გვაქვს,
ტანში ერეკლეს ფესვები“...

წარმოიდგინეთ ეს კაცი თურმე
ხედება ნავთლულში ჩამოსულ სტუმრებს,
წარმომადგენლობს მწერალთ სახელით
არა მწერალი და გამბედავი,
კაცი მაღალი, ტანად ზორბა და
ასე... მდაბიოდ შესახედავი.

უმედობს თავხედობს სმაში გართული,
ტოლუმბაშური ენამქვერობით,
გამომხატველი არა ქართულის, —
ჩიბისის მწერლობის...

1930 წ.
მაისი

ბოლშევიკური
ჭერქვეშელების
ლეგალურ კრებას
გახსნილად ვაცხადებ

რევკომის თავმჯდომარე იყო შოფერი

— დამსწრეთა შორის რომელი იქნებით
იმ რაიონიდან, სადაც შოფერმა
თვით უხელმძღვანელა გასაბჭოებას?
— მე თვითონ გახლავართ სამეგრელოში,
ჭერჭვეშელების იმ რაზმელთაგანი,
რომლის მეთაური იყო შოფერი.

ვინ იყო შოფერი?

— ობოლი, სოფლელი...

სოფელში ამბობენ:

გაექცა მსახური აქაურ მღვდელს;

დასტოვა ქოხი,

დასტოვა მიწა და —

წავიდა,

მისი ხმა სრულებით მიწყნარდა.

ახლობელ კომლებმა ქოხსა და მიწაზე

იდავეს, იჩხუბეს, ძლივს გაინაწილეს.

ხან და ხან, კვირა დღით

ნასახლკარ მინდორის გადამწვარ ყორეზე,

მიმოგზაურნი ხმებს ჩამოაგდებენ:

უწინ აქ სახლობდა, ვილაცა ლატაკი,

ჩაუქრა კერა და რა გულდამწველია,

მეორე... მესამე... მეოთხე... მეხუთე...

წავიდენ წლები და —

არ არის ეს კაცი.

წავიდა, და ობოლს ვინ გაედევნება, —

ასე ასკვნიდენ ამ კაცის შესახებ..

.....
ახლა კი, აქედან წასული,

ოქტომბრის ცეცხლით აქ ჩამოვიდა...

თვითონ ეს ლექსი მიტომ დავსწერე,

რადგან ასეთი სანიმუშოა:

ჩვენს რაიონში ეს ამხანაგი

იყო ბელადი გასაბჭოების,

ჩვენს რაიონში ეს ამხანაგი

იყო რევკომის თავმჯდომარე.

ვინლა დაგიცავს, ვინლა მოგივლის,

როცა მძარცველნი თვით განაგებენ:

ეს რაიონი იყო ცნობილი

ქურდ-ბაცაცეებით და აბრაგებით.

დღე გაიზარდა, ავგულებისთვის

მოსაწყენი და ჩვეულებრივი,

დალამებამდი გამოქვაბულში

სძინავთ აბრაგებს ღამურებივით.

სოფელი ამბობდა: მოსე ცანა

ქურდობს, აბრაგობს ორმოც წელიწადს,

ახლა ძაღლებიც ამ „კაცს“ იცნობენ

ცხენის წყალიდან, ხობის წყალამდი;

სოფელი ამბობდა: რა გაჭირდა,

გაჭიანურდა ქურდის სიცოცხლე!



გასაბჭოების მეორე დღეს,
 გამუდმებით წვიმდა და წვიმდა;
 ჩვენს რაიონში იცის ტალახი,
 მაინც ბაზარი დაბაქალაქის
 მდინარის ახლოს, ნარიყალაზე
 ჩამოსულ ხალხით გავსებულყო.
 ცნობილი ქურდი და მელამური,
 ვინაც აიკლო მთელი ოდიში,
 გამოქვამულში დღეს დაეჭირათ
 და შუა ბაზრით ჩამოატარეს.

ეს მოხდა დაკვრით,
 პირველ წესრიგში,
 გასაბჭოების მეორე დღეს,
 ცოტა ხნის შემდეგ თოფმა იქეჭა
 და გაუთავდა ამ კაცს სიცოცხლე.

ეგდო ეს ქურდი ნაბდით ტალახში,
 იქვე შიშველი ხე დაყურებდა,
 მის ვიწრო თავს, ბაშლაყ მოგლეჯილს,
 მის ვიწრო თვალებს,
 წაბლისფერ უღვაშს —
 ღორმა დაუწყო გატალახება.
 აქ მოსულებმა თანვე წაიღეს
 სიამოვნებით სახლში ამბავი —
 სოფლიდან, სოფლად,
 ქოხიდან, ქოხში —
 მთელი თვეობით ამას ამბობდენ:—
 რეგკომმა მოკლა სამეგრელოში
 ცნობილი ქურდი და მელამური.



ამ ქურდმა იცოდა (მამაჩემს უთქვამს)
 ყოველი ბილიკი, ყოველი გზა,
 ამ ქურდმა იცოდა, ყოველი ღელე,
 ყოველი მდინარე, ყოველი მთა —
 ამ ქურდმა იცოდა სხვა და სხვა ხერხები,
 ქურდობის ხერხების იყო გამომგონი,
 მოყავდა ხარები ენგურ გაღმიდან,
 მიყავდა საბაზროდ ცხენის წყლის გადაღმა.

სოფელში ვინმე ავად თუ გახდება,
 ქოხში მნახველნი ბევრნი იმყოფებიან,
 გუზგუზებს ცეცხლი და, ერთი ამბავს მოყვება,
 ამ კაცის შესახებ როგორც ეპოპეიას...
 ის დაასრულებს:

ეშველა და მოკლეს,
 სოფლიდან ალაგმეს,
 გზაშივე დამარხეს, —
 ეს მოხდა სწორედ, გასაბჭოების მეორე დღეს,
 როცა რევკომის თავმჯდომარე იყო შოფერი.

ეხლა?

— სოფელში არც რევკომია, აღარც შოფერი.

გუშინ ქუჩაზე, აღლუმის დროს,
 შოფერს დაყავდა ავტომობილით
 საბავშვო ბაღის გულჩიორები.
 გარბის ისევე ავტომობილი,
 შიგ მზეებივით სხედან ბავშვები,
 გარბის — სიცილით პაწია დროშებს,
 გულწითელები ათამაშებენ.

ეპატიებათ თუ არ იციან
ბავშებმა საქმე ჩვენი შოჯერის...
მე მოგახსენეთ—ეს //ოლშევიკი
და ჭერქვეშელი, ჩვენს რაიონში,
იყო ბელადი გასაბჭოების.

მაშინ, როდესაც, ცხრაას-ოცდაერთს
მტერს ფუძეები გამოვაცალეთ —
მზე იყო დახრამდის,
დღე იყო უნისლო,
მე მაგონდება პირველი სხდომა,
თავისუფალი პირველი სიტყვა —
ადგა, დაიწყო ჯმუხა შოფერმა:
ბოლშევიკური ჭერქვეშელების
ლეგალურ კრებას გახსნილად ვაცხადებ!...

ბრძოლა ორ მისამართიან
ყოფის წინააღმდეგ

ორი მისამართი

ნ ა რ კ ვ ი ვ ი

ფიქრობს კერაზე დაზვასთან მდგარი
(პოემა სხვა და სხვა საკითხებზე)

ნედლეული და ბაქოს ბენზინის
უხვი დოვლათი მუდამ სწყურია,
ქალაქს, რომელსაც „ენ“ ფაბრიკების
მონაცრისფერო ცა ახურია.

„ენ“ ფაბრიკების შავი უბანი
მუდამ ნახშირით არის მსუქანი...
დღეა თუ ღამე შეუჩერებლივ,
მწყობრად მოქმედობს ათასი დაზვა,
და საყვირების გრიალს ამოყავს,
განთიადი და მზე ახალგაზრდა...
ყველგან მაზუთის მავნე სუნია
და ყვავილების ბალი არ არის,
მაინც ცხოვრება გახლავთ მალალი,
მიწა მაზუთით არის მაძლარი,
მიწა შავია, ვით ორთქმავალი.
უბანს გარშემო შემოვლებული
კაცზე მალალი გალავანია,
შიგნით შესული ბაქოელები,
ეს ცისტერნების ქარავანია.

ერთხელ ხარობდა ტყე გაუვალი,
ვაშლი, ატამიც და ალუბალი, —



მოსპო რკინის გზამ,
 მათი ცხოვრება
 ეხლა მოხუცებს ემახსოვრება.
 სად მიმოჩეხეს ტყუთა წყებანი,—
 ფეთქავს ქარხნების შავი უბანი,
 უვლის რკინის გზა,
 დაჯახებანი,
 სადაც ყოფილა ხშირად ჩვენს დროშიც...
 და ორთქმავალი მძიმეთ დაქრილი?
 მოუყვანიათ სახელოსნოში...
 დგას ერთფეროვან მოძრაობაში
 კაცი, მალალი და ჯანიანი,
 და ორთქმავალის მძიმე ქრილობას
 სჭედავს ქალარა,
 მკერდ ბალნიანი.

მისი გატნობა თქვენთან მწადია,
 მის ცხოვრებაში მინდა შევიდე,
 უბანი იცნობს, დიდი ხანია,
 მუშა, გიორგი დარაშელიძეს.
 პოემის გმირმა ცხრამეტი წელი,
 მძიმე შრომაში აქ გაატარა,
 ბევრი რამ ახსოვს,
 მისი ქალარას
 განვლილ ბრძოლების
 სცემდა ნალარა.
 ბრძოლის შუაგული იყო უბანი,
 მღელვარებებზე
 მღელვარებანი;
 კიოდა როგორც ღამით ნაგანი
 ხმა ცხრაას ხუთელ გრივალთაგანის.

რა „გავიცანი“ ვთხოვე გიორგის,
თუ საამისოდ დრო გეშოვებათ,
მიამბეთ,
რაც კი გემახსოვრებათ,
მინდა აეწერო
თქვენი ცხოვრება.



„მე დავიბადე 18...
ასე მოგვითხრობს დარაშელიძე, —
მამა გასტეხა
დღე და ღამ შრომამ,
სოფელს უკვირდა
ჯაფა მამისა,
მიუხედავით ამისა —
მან, სიქესატე ვერ მოიშორა.
ულარიბესი გლეხის ოჯახი,
სადაც ვიყავით თოთხმეტი სული, —
სალამოობით კერიის ირგვლივ,
იყო ჩოჩქოლი, წრეს გადასული,
რამდენი ღამე დაღონებულებს
უპურმარილოთ გაგვთენებია,
თერთმეტ ქალ-ვაჟებს შემოყუროდენ
ჩემი მშობლები და ყრუ ბებია.
თერთმეტს მოაკლდა მალე სამი და
ჩვენი ოჯახი ქელებმა წაიღო.
ორი, დებს შორის ქმრებთან წავიდა, —
ჩვენი ოჯახი მზითევა აიკლო.
მესამე და ხელთ შემოგვაბერდა,
გაუთხოვრობით დამწვარი,



და, წლოვანებით ჩემზე უფროსი
 დარჩა ბოლომდის ქალწული.
 ნურას დაძძრახავთ, ახირებული,
 ხუთ წელში ერთხელ
 ტან განაბანი,
 მოკვდა ბებიაც,
 დაწვირებული
 მას ასწლოვანი დარჩა საბანი.
 ჩვენი დღეები
 იყო სხვაგვარი,
 უბედურება ზეცამ გვაწვიმა;
 მამამ
 გვასწავლა ვაჟებს ანბანი,
 შემდეგ
 ამ რიგად დაგვანაწილა:
 ერთი, სახლშივე მამას შევლიდა,
 მე მიმაბარა მკედელს შევირდად,
 მესამე ხარაზს,
 მეოთხე დურგალს,
 მეხუთე მუშად — პორტში შევიდა.
 ჩვენში, რომელიც გახდა დურგალი,
 დადგა სამ-თვალი სახლი ფიცრული,
 შუბლ შეკრული და გაულიმარი,
 წაახალისა
 მან მამის გული.
 ძმა კი, რომელიც გახდა ხარაზი,
 „მასწავლებელმა“ ძლივს დალოცა,
 დედამ ხალისით ცრემლი ლამაზი,
 ჩამოყარა და წულეებს აკოცა.

ეზო მოგრკალეთ მაღალ კედლით,
 სოფელს ეფარა
 ჩრდილი სახლისა,
 მე კი, როდესაც გავხდი მკედელი
 ჩამოუტანე მამას სახნისი.
 ასე დღითი დღე ჩვენ ვიზრდებოდით,
 წყალმა ძველი გზა ისევ მონახა,
 აი სოფელი,
 სად ვითვლებოდით,
 ჩვენ შეძლებული გლახის ოჯახად.
 მაგრამ როდესაც მამის ქონება,
 როგორც სოფლურმა ცხოვრებამ იცის,
 ხუთად გავყავით,
 მე მერგო რალაც
 ათი ფიცარი და ქცევა მიწის.
 გახრიოკებულ
 ფიცრებს უცქერდი,
 ცოლიან ძმებმა
 მხოლოდ ეს მარგეს,
 მე ქცევა მიწას ვერ გაუჩერდი
 და ოჯახიდან გადავიკარგე.

- შემდეგ სოფელს არ დაბრუნებიხართ?
 — დიდხანს ერთმანეთს
 გადავავიწყდით,
 არც ძმა, დედ-მამა,
 აქ არ მწვევია,
 არ მიმიღია მათი ბარათი,
 არც მე იმათთვის მიმიწერია.
 — მეფის დროს
 ომში წაუყვანიხართ?

— ერზერუმამდი ამოქლექტილთა,
განუწყვეტელი სისხლის ზოლია
და მოფენილი მათი ლეშითა,
ერზერუმამდი მე მიბრძოლია...
როცა მაზარა

დაქრილ-დახოცილთ,
სისხლის ნაკადით
დამსველებია, —

მე უპატრონოდ მიტოვებული
ჩემი ცოლშვილი
გამხსენებია,

— მაშინ სად იყო თქვენი ცოლშვილი?

— ერზერუმიდან

ცოლს შეუთვალე

მე მისამართი მივიწყებული.

სახლშიც წერილი მიმიწერია,
როცა დამჭირდა მამის კერია:

„რა საჭიროა შავი მელანი,
მოკითხვის წერა სისხლით მიხდება,
ამხანაგები გვერდით მიკვდება,
სკდება,

კიხვინებს, როგორც მერანი

ყუმბარები და

სისხლი იღვრება...

ცუდი ამბავი მოაქვს შენდამი
წერილს, იტირე ჩემზე ახია,
ათი წელია ძვირფასო მამო,
მე შენი სახე არ მინახია.

გადაკარგულს ნუ დამემღურები,
ქალაქს დავტოვე უბედურები,

იყოს ცოტა ხანს
შენთან დგმურებად,
ჩემი ცოლშვილი
თუ გესტუმრება.
თუ დედ-მამის შზე გადავიცანი
გადამეყაროს თათრის მიწა მე,
სახლში ხომ მერგო ათი ფიცარი
და ნოყიერი ქცევა მიწისა...
ყუმბარა მოდის
ჩემსკენ ნაგეში,
სკდება, სიკვდილი...
სინათლე შეაქვს
მას ბნელ სანგრებში...
გულშემზარავი
დაქრილთ ხმებია...
ქუხს ქვეშეხები...
მე შევეხები...
ჩვენი მკერდები
ერზერუმს როგორ დაჯახებია...
— ნუ გააგრძელებთ!
შევწყვიტოთ ომი!
ამ მოთხრობების
არა ვარ მდომი,
მე ის მინდოდა...
თქვენთვის შეკითხა...
ამხანაგო დარაშელიძე!
სოფელში, ცოლ-შვილს დაბრუნებიახართ?
— შემდეგ?..
ომიდან დაბრუნებული
თუმცა ცოტა ხანს ვთოხნიდი ყანებს,



ვერ შევაჩვიე ლობეებს გული,
 ქალაქს ცოლ-შვილი ჩამოვიყვანე,
 ვერ მოვიმარჯვე ნამგალი, ცელი,
 სხვა პრიმიტიულ იარაღთ გროვა;
 ქალაქში დაყო ცხრამეტი წელი,
 მეტად მძიმე და ხანგრძლივი დროა;
 ცხრამეტი წელის სიყაირათე,
 სხვა მზე, სხვა ცა და ქალაქის ფონი,
 გამოგეცვლება კაცს ხასიათი
 შეხედულება და ლექსიკონი.
 გადაგივიწყებს შენი თაობა,
 ტოლ-ამხანაგი და მეგობარი,
 გზორდება
 სოფლის ნათესაობა,
 ნაცნობი მთა და ნაცნობი ბარი.
 აქ სხვანაირი მზეს ეგებები,
 სხვაგვარი დილა და საღამოა,
 გზორდება
 ძველი მოგონებები,
 სხვა სიტყვები და გრძნობები მოვა.

— ახლა მიაშბეთ
 თქვენი დროება,
 თქვენი ბრძოლები,
 და თუ შევიძელ —
 შენზე დავწერო მინდა პოემა
 მე, ამხანაგო დარაშელიძე!

—
 ჩემი ბრძოლები?

იგი აგრძელებს, —
არის წაშლილი
და დაგმობილი,
მაგრამ შემთხვევა და ერთად-ერთი
ჩემთვის მზესავით არის ბრწყინვალე,
გადავარჩინე დახვრეტას მე თვით,
კაცი მებრძოლი და მოწინავე;
ჩემთვის ძმა-კაცი და მეგობარი,
ჩვენს ფაბრიკებში
კარგად ცნობილი,
როგორც საშიში,
კაცი მაგარი,
აჯანყებისთვის
მუშებს ამზადებს,
მის მოსასპობად ძალებს რაზმავენ,
იგი ფარულად მაინც აგრძელებს,
ხელისუფლება დღე-ღამ დაეძებს
გაუსწორებელ მეუმრავლესეს...
აი ეს არის
ქერქვეშელთ ბინა,
ქანდარმერიათ აღმოაჩინა...
უბანს გარშემო პოლიციელთა
გამხეცებული რაზმი არტყია, —
ასეთ მომენტში გადავარჩინე,
მე უღალატე მაშინ პარტიას —
მე გავაპარე გრიგორიევი...

—
ძალიან კარგი,
სიაშკარავე
პოლიტიკური თქვენში ხომ არი,



მე თქვენ მიამბეთ
 დაუფარავად
 წარსული
 ცუდად მოსაგონარი...
 ახლა იმაზე ვილაპარაკოთ,
 „ათი ფიცარი“ მსურს გაგახსენოთ...
 ხომ არ მიიწევთ „ქცევა მიწისკენ“,
 ხომ არ იღვიძებს
 თქვენს ხასიათში
 სოფლის სიმწვანე?!

იგი ჩაფიქრდა,
 დაუნაოჭდა სახის ღიმილი...

.

უკვე თორმეტი დაკრა საათმა,
 დარაშეღიძეს ვემშვიდობები,
 მე ჩამიწერა
 მან მისამართი:
 (ფრუნზეს ქუჩა,
 მეხუთე №, ოთახი 13,
 სართული მესამე)
 — შემოიარეთ
 და დაბეჭდვამდის
 თქვენი პოემა გამიზიარეთ.
 რაც მოგიყვებით, გამომიცლია:
 ზოგის მომქმედი,
 ზოგის მნახველი,
 ჩემზე თუ დაწერთ, როგორც იციან,
 არ შემიცვალათ გვარი, სახელი.

უკვე გამოველ,
 ტრამეაის უცდი,
 აი მოდის და მოედანს უვლის,
 ქუჩაზე იდგა დეკემბრის სუსხი,

ცა იყო სუფთა და გასარკული.
 გზაზე თავის თავს ვეუბნებოდი:
 მეთაურები მისი წარსულის
 ვაქციეთ მტვერად,
 ჩვენმა მკლავებმა
 ისე მოსპო და დაანგრია,
 რა უყოთ, ძველად
 თუ იყო მტერი,
 ახლა ხომ ჩვენი ამხანაგია.
 იგი მაძლევდა
 ცნობებს ეკლიანს,
 მშობლებისაკენ ხელგაშვერილი,
 მე გადავწყვიტე
 გამომეკვლია,
 ნამდვილი სახე
 დარაშელიძის.

დადგა ოცდა ცხრის ახალი წელი,
 მიდის ზამთარი და გაზაფხული,
 მე სხვა პოემის სტრიქონებს ვწერდი...
 უკანასკნელი დღეა ზაფხულის —
 დარაშელიძის ყოფა-ცხოვრება,
 დაუმთავრებლად მაქვს შენახული.
 შესაძლო არის
 მისი ნათქვამი
 არაა სრული,
 ანდა ყალბია
 და მეც, ამიტომ მაქვს განზრახული,
 გრიგორიევთან
 გამოვაკვლიო
 მისი ნამდვილი ბიოგრაფია.

ბიოგრაფი ღარაშელიძის ვინაობის
ბიოგრაფიული ნარკვევი



(წინასწარ ავტორი აშხ. გრიგორიევის შესახებ)

— კვლევა,
მორიგი გმირის ბადალი
ძირს ეცემა და სული ელვება,
გავა წლები და ძველი სარდალი
ჯარს, აგერ-ეგერ
გამოერევა.
წიგნში მიკითხავს გამბედაობა
მე, ბოლშევიკურ ჭერქვეშელების...
მიდის ქალარა ძველი თაობა,
როცა ეპოქა არის შენების.
მოდის ოქტომბრის შემოქმედება:
პიონერების დიდი არმია,
მათ ისტორიის ცეცხლი ედება,
რევოლიუცია მათ უსწავლია,
მე თქვენთან მოველ იმათთაგანი,
თქვენი დღეები
სისხლით ნაბანი,
ვისაც, ლექსებად დაურაზმია,—
თქვენი ბრძოლა და
თქვენი ნაგანი,
მისი პოემის დედა აზრია.

აშხ. ბრიგორიევი თავის ვინაობის შესახებ

„ჩემი ბაბუა
ჩემს უნახავად
კერიის პირას დაბერდა მოკვდა,

მამაჩემი კი, სიჭაბუკეში
აქ, ქარხანაში მუშად დამდგარა.
სოფლიდან თუ რამ მოყვა გლეხური,
შემდეგ დიდია სხვადასხვაობა:
მამა პირველი,
მე ვარ მეორე,
შვილი, მესამე თაობა.
აქ დავიბადე,
ქალაქის ცის ქვეშ
მითამაშია და მიმღერია,
მამა, უკან არ დაბრუნებულა,
არც მე მინახავს „მისი“ კერია.
დიდი ხანია, გადავიცანით,
არ ვართ ძმები და
არ ვართ ბიძანი,
ნათესაობა გაქრა სავსებით,
სახით ერთმანეთს არ ვემსგავსებით.

აშხ. ბრიგოროიძე
ბიოგრაფი დარაშვილიძის შესახებ

შარშან ზაფხულში დასასვენებლად
ერთად ავიღეთ ჩვენ შვეებულება.
ქალაქელი ვარ, მოგეხსენებათ,
მე აგარაკი შორს მეგულება.
მივალ იქ, სადაც შრომით დაღლილნი,
მოსვენებაში დროს ატარებენ,
ის ჩამომცილდა
და შუალამით
გაყვა ნამდვილად
სხვა მატარებელს.



ძლივს ორთქმავალი
 მიგუგუნებდა
 დაბლობებიდან
 მალლობზე ხვნეშით,
 ირგვლივ ცაა და სუფთა ბუნება
 და მე შევდივარ ფიჭვნარის ტყეში.
 ჩვეულებრივად აღრე ვდგებოდი,
 გამიჯანსაღდა დალილს მე გული,
 საუზმის შემდეგ მზეზე ვწვებოდი,
 და მე დავბრუნდი დასვენებული.

ჩვენი გიორგი?
 ჯანშეძლებული
 ძველი მუშაა,
 კიდეც ეტყობა,
 სწორეთ ამიტომ
 დარაშელიძე
 წამოვაყენეთ
 ჩვენ დირექტორად.
 რამდენი წელი, ოფლით უღებავს,
 დაზგა და ჯაფა ძალღონეს აცლის,
 შესაფერისად საქმეს უძღვება,
 ჩვენი ფაბრიკის ჭალარა კაცი.
 რა უყოთ თუმცა მისი დროება
 ბოლშევიკურად აღარ ელვარებს,
 ჩვენი წარსულის
 ვრცელი ამბავი
 ოკეანეა, წყნარი, მღელვარე,
 სადაც წარსული დარაშელიძის
 ჩაძირულია

როგორც მტრის გემი,
თუმც კაპიტანი ის არ ყოფილა,
მაინც ამაზე ვინც მედავება,
ახასიათებს უარყოფითად
დარაშელიძის დაწინავებას.

„ენ“ ფაბრიკებმა როგორც გარიყოს,
ჩვენთან ამდენ ხანს შრომობს ერთგულად,
ძველი მუშაა, რაგინდ არ იყოს
კაცი, დაზგასთან დაბერებულა.

ქვეყანამ იცის
წარმოებებში,
რამდენი სპეცი
ჩვენი მტერია,
დავიღუპებით
თუ არ აყვავდა
ჩვენი მუშათა
ინტენერია.
აღმშენებლობა
გავაძლიეროთ,
ძველი კერპების
დღითი-დღე შეცვლით,
მუშა მოვიდა,
სამაგიეროთ
უნდა მოგვეხსნა
საეჭვო სპეცი.
დარაშელიძეს უნდა ეთავა,
მისდამი ეჭვიც აქ იბადება,
შემოიტანა გაუბედავათ
მან, კომფრაქციის წინადადება.



ამხანაგი (გვარს ასახელებს)
 როგორც ერთ - ერთი მომყავს ნიმუშად,
 ჩვენი ფაბრიკის ყოფილი მუშა,
 ჩვენ დაგვიბრუნდა როგორც ინტენერი.
 დარაშელიძემ მიმოიხედა,
 ააწკრიალა მაგიდის ზარი,
 საექვო სპეცი
 პირდაპირ მჯდარი
 მას უყურებდა „ამხანაგურად“.
 დარაშელიძე იყო ცნობილი
 ჩვენ შორის
 მუდამ მჭერმეტყველობით,
 ჩვენ საამისო
 სიტყვას ველოდით
 და მით უმეტეს
 იყო ვალდებული.
 მაშინ წამოდგა ერთ - ერთი სპეცი,
 ლაპარაკობდა ენა წყლიანი:
 შემდეგ ვინანოთ
 იქნება გვიანი,
 ახალ ინტენერს
 მოყვეს ზარალი.
 მან „დაამტკიცა“:
 — დაწინავებას
 ჩემებრ ხალისით
 ვერ ხვდება კაცი,
 მაგრამ აქ თქვენებრ
 ვიქნები მკაცრი
 ჩვენი ქარხნების
 საკეთილდღეოდ.

ამ „უპარტიო“ მჭერმეტყველებამ
ლამის შესცვალა განწყობილება,
და კომფრაქციის დადგენილება,
ლამის ვერ იქნა გატარებული,
დარაშელიძეს უნდა ეთავა,
მისდამი ექვი აქ იბადება,
ჩვენს წინააღმდეგ გაუბედავათ
მიემხრო სპეცის წინადადებას.

გიორგი დარაშელიძის საკითხი
კომპუჯრადის დახურულ სხდომაზე

აცხადებს თავმჯდომარე:

ამხანაგებო! დარაშელიძე
როგორც ფრაქციის
ერთ-ერთი წევრი
და ხელმძღვანელი
გუშინდელ კრების,
დგას თქვენს წინაშე
ვით ბრალდებული.
ამხანაგებო! დარაშელიძემ
მოულოდნელათ
შესცვალა გეზი...
მისცა საჯაროდ
ხმა კომფრაქციის
საპირდაპირო წინადადებას.

„მას მერყეობა ახასიათებს,
ხშირად კრებებზე თავს შეიკავებს,
გუშინ კი, უცებ ნამდვილი სახე
გამოამჟღავნა
ყოფილ მენშევიკმა.

დარაშელიძე თავჩალუნული
კრებას ქურდულად ათვალაიერებს,
იწერს რალაცებს და ემზადება,
დამშვიდებულად თქვას საბოლოოდ.
დარაშელიძე კრების წინაშე
ზის, გახვეული თამბაქოს ბოლში.

„მენშევიკიო“, ეს ბნელი სიტყვა
სისხლში დარბოდა ვით ელექტრონი,
მაგრამ ვერ ნახა, ვერ შეამჩნია
ვინ იძახოდა ასეთი ტონით.
ფრაქციის წესი თუ დაარღვია,
ამის შესახებ პასუხს აგებდა...
ის დაიჭირეს თითქოს პირველად
ქურდობაში ამხანაგებმა.

კრებას თამამად
ის ვერ შეხედავს,
კრების თვალები
მხოლოდ მას უმზერს,

„მენშევიკიო“,
ეს სიტყვა სცემდა
როგორც ჩაქუჩი,
მას ბელატ შუბლზე.

ისე ესხმიან თითქოს ამ კაცში
აღმოაჩინეს რალაც მტერიო,
დარაშელიძე წამოდგა, მკაცრი
შეურაცხყოფა მოიგერიოს.

წამოიძახა: „ნუ მიყვირით!
მე მენშევიკებს სასტიკად ვწყველი,
ტყვიამ გააპო მათი გამჩენი,

მე, კომპარტიის ერთგული წევრი —
მორიგ ბრძოლაში თქვენთან დავრჩები.



მე მომერიდა
ინჟინერ სპეცის,
თვალს ჩამაცივდა
პირდაპირ მჯდარი,
არ ვიცი თუმცა, მგონია შეეცდი...
მე კომფრაქციის დადგენილება
თუ დავარღვიე...“

(კრებამ გააშავა დარაშელიძე).

ამხ. ბრიგოზიძე „გაამართლა“
დარაშელიძე

„ყოველ ჩვენთაგანს ნების სიმტკიცე
გასულ ბრძოლებით აქვს დაპყრობილი,
ამ ბრძოლებშია ჩვენი გრძნობები
ბოლშევიკურად გამოწრთობილი,
ხან ამხანაგი გვერდით გეგულვის,
მას შენებურად ცეცხლი ეღება;
მისი გრძნობები მიძინებული
მენშევიკურად ამეტყველდება.
დარაშელიძეს ვიცნობთ ყველანი,
საზიზღარ წარსულს ზურგი აქცია,
მაგრამ ჭაღარას გადმოყოლია
მენშევიკური „გრძნობის ფრაქცია“.
მეც თქვენებურად მოვიქცეოდი,
გამოვიდოდი თქვენებურ აზრით,
მისი გარდაქმნას რომ უშველიდეს
სამართლიანი წყევლა და ბრახი...“

მსურს ეპატიოს დარაშელიძეს
არ გატარება მუშური ხაზის.
ათეულ წლობით დაზვასთან მდგარი,
იგი უთუოდ ჩვენი კაცია,
ბნელი წარსულის სიმაგრეები
მან, ნანგრევებათ გადააქცია.

გრიგორიევს
მე ვეთანხმები
პოემის გმირის
შეფასებაში,
მაგრამ ვერ არის
ჩემთვის ნათელი
ბნელით მოცული
მისი ცხოვრება.
მე გადავწყვიტე
სხვაგან ვესტუმრო
ამხანაგ გიორგი დარაშელიძეს.
მე ვეკითხები გრიგორიევს:
დარაშელიძეს სოფელი აქვს?
— მგონია, არა?!
დარაშელიძეს, დიდი ხანია
მე ვიცნობ
როგორც ქალაქის მკვიდრს,
რათ ჩააცივდით
ამ მუშას მარტო,
ხომ არ უპირებთ
„გადასახლებას“?
— განზრახული მაქვს
თქვენთვის დავხატო

დარაშელიძის
ნამდვილი სახე.
თქვენ ხომ არ იცით
მისი მისამართი?

— ვიცი,
ხშირად ვყოფილვარ,
ის ცხოვრობს
ფრუნზეს ქუჩაზე,
ეს არის
როგორც მგონია,
ერთად - ერთი
მისი მისამართი.

მე და ახვ. გრიგორიძევი მივდივართ მეორე მისამართის
გამოკვლევის მიზნით დარაშელიძის სოფალში

— მე თქვენ
გუშინწინ შეუბნებოდით:
„ის ჩამომცილდა
და შუალამით
გაყვა ნამდვილად
სხვა მატარებელს“.
შვებულების დროს
როგორც დაღლილი,
დასვენებაში
თქვენ ატარებდით —
ის კი?
დასასვენებელ სახლში წავიდა,
თუ სამუშაოდ
საკუთარ სახლში?
— ... აი რა არის გამოსაკვლევი!!!

მომწყვდეული ვართ
საბჭოთა ეზოში,
ჩვენ ვემზადებით
ყვითელი ფრონტის
დღეს თუ, ხვალისზეგ
შემოსარღვევად,
რომ წაიშალოს საერთოდ ეზო,
კერძოთ:

საბჭოთა ეზოში

კერძო ცხოვრება და ეზოები.

დინჯად აგრძელებს გრიგორიევი,
— სოფლად ჩავყარეთ მყარი, ძლიერი,
კომუნისტური საფუძველები,
სოფლის ძველ ყოფას სახე უცვლია,
და ჩვენი ქვეყნის მწვანე ველები
განიცდის მედგარ რეკონსტრუქციას...
იშლება ძველი და ამ რიგადა,
ჩვენი ქარხნების ხელმძღვანელობით,
სოფელში მიდის ჩვენი ბრიგადა,
არა იმიტომ, რომ განამტკიცოს
დარაშელიძის „მიწის მეობა“, —
უნდა გარდაქმნას კომუნისტურად
ძველი გლეხური მეურნეობა...
ჩვენ შეუხვიეთ ფრუნზეს ქუჩაზე,
გვინდა გავიგოთ დანამდვილებით
დარაშელიძის სოფლის მისამართი.
— ჩვენს წინ დგას სახლი № ხუთი,
ავდივართ მესამე სართულზე
აი ეს არის ბინა 13.

აქ ცხოვრობს დარაშელიძე.
კარს ვუკაკუნებთ.
— ვინ არის?..
განმეორებით კარს ვუკაკუნებთ.
— ვინ არის?
ისმის ქალის ხმა.
კარი გაიღო.
ქალი მაკვირდება.
თითქოს მცნობს,
კიდევაც მიცნო.
— რა გნებავთ?
ბოდიშს ვიხდი
მე და გრიგორიევს
გვინდა ვესტუმროთ
ამხანაგ გიორგის,
სოფლად, საკუთარ სახლში.
თუ შეიძლება
გვითხარით მისამართი!
ქალს გაელიმა.
— დაგაგვიანდათ,
ქმარი სოფლიდან
დღეს ჩამოვიდა.
— აქ არის?
— დიახ! აქ არის.
— ვინ მკითხულობს?
(ისმის ბოხი ხმა).
— ის... შწერალი,
შარშან რომ იყო.
— მობრძანდით!
(გვეპატიება პოემის გმირი).

აა გრიგორიევიც?
მობრძანდით!



დარაშელიძეს ესიამოვნა
ჩვენი სტუმრობა, მოულოდნელი.
— ამას ვნატრობდი,
კიდევაც მნახეთ,
ჩამოვიტანე მთელი სოფელი,
— მე თქვენთან ერთად
მსურს მთელი ღამე
დაუცხრომელად ვიმხიარულო?
თქვენ!?
(მომიბრუნდა დარაშელიძე)
ტყუილი გცოდნიათ,
წელიწადია აღარ მოსულხართ,
ხომ არ დაკარგეთ
ჩემი მისამართი?
მე თქვენ პოემას დამპირდით,
თქვენზე დავწერო...
დაგავიწყდათ?
— აი ეს არის,
ამხანაგო დარაშელიძე!
თქვენზე პოემა დღეს დავამთავრო.

პ უ რ მ ა რ ი ლ ი

როცა გიორგის სახე ამწვანდა,
ღვინომ თვალები
აუთამაშა და გაუღიმა,
ოდნავ დამთვრალი
გადმოიხარა

ჩვენსკენ ჯალარა
და ინტიმურად
გვითხრა მართალი:

„სოფელი არ გაქვს?!

რა გეშველება!
პირი სოფლისკენ
ხომ კანონია!

მოგვარეთ
სუფრის დასამშვენებლად
ნაყოფი ჩემი კალონიხს!

„თუ დაივიწყე შენი ოჯახი,
შენი ბავშობის სიზმარი მუქი,
წამოგეწევა სადმე ქარბუქი,
გაგანადგურებს,
დედმამის კერას
დაუბრუნდები
შუბლ შერცხვენილი.

როცა ქალაქში იდგა გრიგალი,
და თავს ესხმოდა ქუჩებს, ქუჩები,
მე ბავშიანად მომსდევდა ქალი,
უნდა ცოლშვილი გადამერჩინა,
უნდა მენახა თავშესაფარი...
მოგაგონდება მაშინ სოფელი,
და მით უმეტეს თუ გაქვს სახლკარი.

„მე ქალაქშიაც ვრჩები გულდია,
მიყვარს სუფრული თქვენთან ქებითა,
ეს ტკბილი ღვინო ამომიღია
საკუთარ მარნის ცივ ქვევრებიდან.



ხშირად ვიმღერი და მიმღერია
 სოფლური გრძნობა რა ძლიერია!
 ჩემი საშობლო სახელ ქებული,
 არის სადგურის ახლო მდებარე,
 მის უკეთესი არსად მეგულვის,
 ან უკეთესი რა მყვარებია,
 ამ სოფლის ცა არის ჩემი ცა,
 და ვარსკვლავებიც
 ჩემი ვარსკვლავებია...

— სოფელი?

— დიახ სოფელი!

სოფლად, ოჯახში
 შვებულების დრო გავატარე,
 ისევ და ისევ, მძიმე შრომაში,
 წუთს, მოსვენებით ვერ გააპარებ,
 სოფლურ ცხოვრებას გადაჩვეული.
 ხელმარჯვე გლეხები,
 სიმდიდრის მოლოდინში.
 მინდვრად ლამეებს
 ათევენ უძილოთ,
 მძიმეა ოჯახი,
 ღრმა და უძირო,
 თუ მოსავალი გაუხვავდება —
 ბელღებით,
 ზვარებით,
 ბაღებით დატვირთულს, —
 მოხუცი მამა ვერ უმკლავდება.
 სხვა ამის გარდა,
 მდგომარეობა ხასიათს ავირევს,
 მე არ მცალია,
 ქალაქში ვარ და

საქირო იქნა
მოჯამაგირეც...
მოვრჩი ყველაფერს.
ეზოს გარეშე
ჩალა თუ დამრჩა.
შემოვიკრიფე
წლიური სარჩო,
ოქრო მოსავლის
ხევეით ავივსე,
არ ვარ ამაყი,
რა კაცობაა სიუკადრისე —
სოფლურ ხორაგით აქ გეახელი,
მშვიდათ დავტოვე
ეზო და სახლი,
ჩამოვიტანე
ტკბილი მაჭარი,
გოჭი, ქათამი,
და ჩემი სახით,
ფეხი შემოდგა აქ შემოდგომამ“.

გრიგორიევმა
სახე შეიკმუხა
(დარაშელიძე გახდა ნათელი)
— მოგიტანიათ სოფელი უხვად,
მაგრამ არა ვარ თქვენი დამცველი.
„ენ“ ფაბრიკების ყველა დაზგები
ხმას აიმაღლებს,
დავირაზმებით,
რომ ვაწარმოოთ „სასტიკი ბრძოლა
ორ მისამართიან ყოფის წინააღმდეგ“.

მოქალაქე დარაშელიძე!
თქვენ არც მუშა ხართ,
თქვენ არც გლეხი ხართ,
მაგრამ ამავე დროს კიდევ ორივე.
ჩემთვის მზესავით არის ნათელი,
შენში რომ კიდევ გლეხის ძვლებია,
მისამართები შენი წარსულის
და მერყეობის საფუძველია.
სხვა გზა არ არის
თუ წარსული გინდათ უარყოთ
უნდა უარყოთ ორი მისამართი.
პირველი:
აი, ეს სახლი ფრუნზეს ქუჩაზე,
მეორე:
სოფელი, სადღაც სადგურის ახლოს,
სადაც გქონიათ:
მიწა, ბაღი და ზეარები,
სახლი, ეზო და კარი,
სადაც გყოლიათ მოჯამაგირე,
და ყოველ წლობით შემოდგომისას
შვებულებაში მიემგზავრებით.
ქალაქში ვიცნობენ
ქედ მალალ მუშად,
სოფელში ყოფილხართ:
გლეხი და ისიც,
თურმე ბობოლა...
სხვა გზა არ არის,
უნდა მოშორდეთ
ერთს ან მეორეს,
საქმეს აფუჭებს

აქაც და იქაც
 ორგვარი ხელი.
 მე კი მგონია
 ქარხნებს აირჩევთ,
 ისე მძიმეა ცხრამეტი წელი —
 ცხრამეტ სართულებს
 ისე ალაგებს —
 ვძლიოს სოფელის
 ლობემ და ალაგემ?
 აქამდი გული გლგხურად გერჩისთ,
 სოფლის სიმწვანეს
 და საკუთრებას დაუმონიხართ;
 მე კი, ქალაქის მკვიდრი მგონიხართ.
 დიდხანს არჩევანს ნუ მოუნდებით.
 მუშური ხაზი უნდა გამართოთ:
 ან ოირჩიეთ, მტკიცე, მუდმივი
 საბოლოოთ ერთი მისამართი.

პურმარილის ღალატი

(ავტორისაგან მოკ. დარაშელიძეს)

ვააშკარავებ
 ძმომ ვინცა ხარ,
 სოფლის სიმწვანეს
 რამ შეგათვისა.
 ნურას მიძრახავ,
 თუ საიდუმლოთ
 არ შემინახავს
 პატივისცემა
 თქვენი სუფრისა.

ვანხორციელებ ჩემს დაპირებას,
ორგვარ ცხოვრების გამომსახველი;
თქვენი თქმისამებრ, როგორც იციან,
პოემისათვის არ შემიცვლია
თქვენი გვარი და თქვენი სახელი.

მკითხველებისადმი

დიად სამუშაოს გმირულად ეწევა
კაცი, რომელიც არის მისაბაძი;
მე მიზნათ მქონდა თქვენთვის დამეწერა
პოემა სათაურით: „ერთი მისამართი“,
რასაც ველოდი ის არ მეღივრსა,
მეგონა მუდამ ის აქაური,
და მე პოემა დამთავრებისას
გადავასწორე სხვა სათაურით.

1928



ს ა რ რ ი ვ ი

	83-
1. ქალაქი ოფუცხოვოში	9
2. ხოლტი ეწევა აგიტაციას	17
3. ივანეს ცხოვრება	22
4. მას შეიბრალებს ვინმე მწერალი — ვინმე მეძველე	30
5. პოემა სხვადასხვა საკითხებზე.	43
6. მგზავრობა აგარაკში	59
7. ტყაჩო	65
8. ზარა.	89
9. ამბავი არტემ ნაბრაგალის	95
10. შავა ცხოია.	101
11. ჩვენ დედამიწის მემარცხენენი.	123
12. ჩვენ დარახმული განთიადები	124
13. Догнать и перегнать.	126
14. ლამით ნაგანი.	127
15. მუშების საახალწლო შეხვედრა.	129
16. შრომის ერთიანობა	131
17. წყალდიდობის შემდეგ	134
18. პავლე გორგასლან.	139
19. რევკომის თავმჯდომარე იყო შოფერი.	145
20. ორი მისამართი.	153

ს. 4/191



საბელგამის პირველი სტამბა,
პლ. პროსპ. № 91 შგვ. № 1020.
მთავლიტი № 644. ტირ. 2000.

1 202. 80 222.

~~157/21~~

4 9/21
10/21
10/21
10/21

